სარგიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 ოქტომბერი 1999 №202 (975) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა სენსაცია!

მორაგბეთა მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში გასასვლელ საპლეიოფო მატჩებში ერთი ისეთი იყო, ყველა რომ გააკვირვა: არგენტინამ ირლანდია დაამარცხა. სხვა შეხვედრები კი უსენსაციოდ დამთავრდა.

ირლანდია 24:28 არგენტინა
შოტლანდია 35:20 სამოა
ინგლისი 45:24 ფიჯი

მეოთხედფინალში ითამაშებენ:

ავსტრალია — უელსი
შოტლანდია — ახალი ზელანდია
არგენტინა — საფრანგეთი
ინგლისი — სამხრეთ აფრიკა

1 ფრთხილად, მსაჯებო!

ინგლისელები მსაჯთა დასჯის ახალ ფორმებს გვთავაზობენ

2 ქალბატონი საუკუნის ოცეულიდან

4 ჩემბერლენი VS რასელი

მსოფლიოს სპორტის უდიდესი დაპირისპირება

ბორდო მეორე ეტაპზე გავიდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

IV ტური

E ჯგუფი	
პორტუ	2
რეალი	1
მოლდე	3
ოლიმპიაკოსი	2
F ჯგუფი	
რეინჯერსი	4
პსვ	1
ვალენსია	1
ბაიერნი	1
G ჯგუფი	
სპარტაკი	1
ბორდო	2
ტილბურგი	3
სპარტა	4
H ჯგუფი	
ჰერტა	1
მილანი	0
გალათასარაი	0
ჩელსი	5

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS

ვალენსია — ბაიერნი 1:1. სტუმარმა ლოთარ მათეუსმა მასპინძელთა რუმინელი ლეგიონერი ადრიან ილიე ვერ შეაჩერა

დაიწყეს, ესე იგი წააგეს

ბაადრი ჯითლაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: ბერძნი ციროგიანისი ქართველთა კარის დალამქვრას „მარატელათი“ ცდილობს

გუშინ, თბილისში „შევარდენისა“ და ეროვნულ სტადიონზე თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო მეორე ჯგუფში. საბერძნეთმა, რომელიც ევრო 2000-ის შესარჩევსა თუ წლევანდელ ევროთასეულზე ქართველთა შეტოქე იყო, ამ ასაკშიც იმარჯვა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

Under 16

II ჯგუფი, I ტური

20 ოქტომბერი, ოთხშაბათი

ბულგარეთი	**0**
სორვატია	**1**
საბერძნეთი	**2**
საქართველო	**0**

საბერძნეთი	1	1	0	0	2:0	3
სორვატია	1	1	0	0	1:0	3
ბულგარეთი	1	0	0	1	0:1	0
საქართველო	1	0	0	1	0:2	0

ბორდო მეორე ეტაპზე გაჰყვა

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური

E ჯგუფი

პორტუ 2:1 რეალი

1:0, 2:0 ჟარდელი (13,35), 2:1 პეიშუ (68ს.კ.)

პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ფუქსი (ალოიზიო ალვეში 74), ესკერდინია, რუბენს ჟუნიორი (დრულოვიჩი 36), ნუნო კაპუჩო, ჩაინიო, პეიშე, დეკო სოუზა, ჟარდელი

რეალი: ილგნერი, მიჩელ სალგადო, იერო, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, ხერემი (გუტი 65), რედონდო, ანელკა (ზეედორფი 47), სავიო, მორიენტესი, რაული

მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

მოლდე 3:2 ოლიმპიაკოსი

0:1 მავროგენიდისი (36), 0:2 ზაპოვიჩი (40), 1:2, 2:2 ლუნდი (55, 59), 3:2 ჰესტადი (74)

მოლდე: ბაკე, დოს სანტოსი, სინგასასი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი, ინგე ოლსენი, ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი, ლუნდი, ჰოსეტი (მორკი 89)

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი (ანცასი 58), ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯოვანი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, პასალისი (იანაკოპულოსი 77), კარაპიალისი (ოფორი კუაე 46), ზაპოვიჩი, ანატოლაკისი

მსაჯი: რ. ვოიჩეკი (პოლონეთი)

პორტუ	4	3	0	1	6:4	9
რეალი	4	2	1	1	11:7	7
ოლიმპიაკოსი	4	1	1	2	89	4
მოლდე	4	1	0	3	5:10	3

26 ოქტომბერი, V ტური. რეალი — ოლიმპიაკოსი, პორტუ — მოლდე

F ჯგუფი

რეინჯერსი 4:1 პსვ

1:0 ამორუზო (19), 2:0 მოლსი (39), 2:1 ვან ნისტელროი (45ვ), 3:1 მაკკენი (56), 4:1 მოლსი (80)

რეინჯერსი: კლოსი, პორინი, ლ. ამორუზო, მური, ვიდმარი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მაკკინესი, მაკკენი (ალბერტეი 71), მოლსი (იოჰანსონი 81), უოლესი (კანჩელსკისი 88)

პსვ: კრალი, ჰაინცე, ფაბერი, ნიკიფოროვი, ვიელაერტი (კოლკა 38), ვოგელი, ვან ბომელი, ხოხლოვი, სტინგა (რომედალი 74), ნილისი (ბრუგინკი 85), ვან ნისტელროი

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

ვალენსია 1:1 ბაიერნი

1:0 ილიე (10), 1:1 ეფენბერგი (17პ)

ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ბიორკლუნდი (ჯუკიჩი 19), ანგულო, კილი გონსალესი (ოსკარი 40), ხერარდი, ალბელდა, მენდიეტა (ფარინოსი 69), კლაუდიო ლოპესი, ილიე

ბაიერნი: კანი, ლინკე, მათეუსი, კუფური, ბაბელი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, იერემისი, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 75), პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 45), ელბერი (იანკერი 81)

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

რეინჯერსი	4	2	1	1	6:4	7
ვალენსია	4	1	3	0	5:3	6
ბაიერნი	4	1	3	0	5:4	6
პსვ	4	0	1	3	3:8	1

26 ოქტომბერი, V ტური. პსვ — ბაიერნი, რეინჯერსი — ვალენსია

REUTERS ბერლინიდან

ჰერტა — მილანი 1:0. მილანელმა ალესანდრო კოსტაკურტამ დარიუს ვოშს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

REUTERS პორტუდან

პორტუ — რეალი 2:1. მადრიდელმა ფერნანდო მორიენტესმა მასპინძელ პეიშეს კი აჯობა, მაგრამ „რეალმა“ „პორტუს“ — ვერა

შურისძიება — ასე შეიძლება ეწოდოს E ჯგუფში „პორტუს“ მიერ მადრიდის „რეალის“ ძლევას. მასპინძელთაგან ორივე გოლი მარიო ჟარდელმა გაიტანა და იმის გარდა, რომ სამი კვირის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნაწვნევი 1:3-ის შემდეგ მეტად თუ ნაკლებად გული მოიფხანა, 9 ქულით ჯგუფის სათავეშიც მოექცა.

ბრაზილიელმა ფორვარდმა ორივე გოლი შეხვედრის დასაწყისში გაიტანა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „პორტუ“ სრულყოფილ შურისძიებასაც შეძლებდა, მაგრამ ეს შეუძლებელი გამოდგა. „რეალმა“ სხვაობის შემცირება მეორე ტაიმში შეძლო, მისი შეტევით შეკიწროებულმა მასპინძელმა ემილიო პეიშემ ავტოგოლი შეაგდო.

ბოლოს ესპანელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს, მაგრამ „პორტუს“ ცნობილმა მეკარემ, ვიტორ ბაიამ, ორჯერ დიდებულად ითამაშა და მისმა გუნდმა ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად მოუგო „რეალს“.

E ჯგუფის მეორე შეხვედრაში ნორვეგიულმა „მოლდემ“ შინ 3:2 დაამარცხა ბერძნული „ოლიმპიაკოსი“. საგულისხმოა, რომ თავიდან მასპინძლები 0:2-ს აგებდნენ. „ოლიმპიაკოსმა“ თავისი გოლები ოთხწუთიან ინტერვალში გაიტანა.

F ჯგუფში „რეინჯერსმა“ „აიბროქს პარკზე“ 4:1 სძლია პსვ-ს. ოთხიდან ორი ჰოლანდიურ გუნდს გლაზგოელთა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მიხაელ მოლსმა გაუტანა.

მასპინძელმა როდნი უოლესმა ორი აშკარა საგოლე მომენტიც გაუშვა ხელიდან, თორემ „რეინჯერსის“ მწვრთნელის დიკ ადვოკაატის ყოფილი გუნდი უფრო დიდი ანგარიშით წააგებდა.

„ვალენსიასა“ და „ბაიერნის“ შეხვედრაში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს. ორივე გუნდმა მეტოქის კარის დალაშქვრა პირველი ტაიმის დასაწყისში შეძლო.

მძიმე გრუნტმა ორივე გუნდს გაურთულა საქმე, მაგრამ მასპინძლებმა მაინც მეტი მომენტის შექმნა მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ სამი კვირის წინ ამავე გუნდების მიუნხენური მატჩი იმავე ანგარიშით დამთავრდა.

G ჯგუფში ყველაზე ყურადღებრამ მოხდა: ფრანგულმა „ბორდომ“ მოსკოვში „სპარტაკს“ 2:1 მოუგო და ისევე როგორც წინ დღეს B ჯგუფელმა „ბარსელონამ“ შეჯიბრების მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება გაინაღდა. დარჩენილ შეხვედრებში რაც გინდა მოხდეს, ფრანგები მეორე ადგილზე დაბლა ვეღარ აღმოჩნდებიან.

იმავე ჯგუფში დიდი მცდელობის მიუხედავად პირველი ქულა ვერ მოიპოვა „ტილბურგმა“. იგი მარიალია 2:0-ს იგებდა, მაგრამ 3:4 წააგო პრაღის „სპარტასთან“

G ჯგუფი

სპარტაკი 1:2 ბორდო

0:1 მიკუ (22), 1:1 ტიხონოვი (54პ), 1:2 ვილტორდი (74)

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, პარფიონოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 55), ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი

ბორდო: რამე, აფანუ, ბონისელი, გრენე, მარტენსი (რუვიე 75), პავონი, დიაბატე, ალიკარტე, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი (ბატლე 85)

მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

ტილბურგი 3:4 სპარტა

1:0 ბომბარდა (1), 2:0 შუკოვი (6), 2:1 ნოვოტნი (17), 3:1 შენინგი (50), 3:2 ლაბანტი (54პ), 3:3 ბარანეკი (62), 3:4 ლაბანტი (90პ)

ტილბურგი: მამეი (ვან ფესემი 67), პრომაიონი, ვიქტორია, იალიენსი, ჰილი, ლანდზაატი, გალაშეკი, შენინგი, სესაი, ბომბარდა (ვალკი 60), შუკოვი (სანუ 77)

სპარტა: პოსტულკა, ფუკალი, ი. ნოვოტნი, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, ბარანეკი (ობაიდინი 70), სვობოდა, როსიკი (ზიგლი 61), სიონკო, ლოკვენცი (იაროშიკი 80)

გაძევება: გალაშეკი (53)

მსაჯი: ო. სარვანი (თურქეთი)

ბორდო	4	3	1	0	7:4	10
სპარტა	4	2	2	0	9:4	8
სპარტაკი	4	1	1	2	6:6	4
ტილბურგი	4	0	0	4	6:14	0

26 ოქტომბერი, V ტური. სპარტაკი — ტილბურგ, ბორდო — სპარტა

H ჯგუფი

ჰერტა 1:0 მილანი

1:0 ვოში (41)

ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, ვოში, დაეი (არაჩიჩი 70), რეკდალი, პრეეტეი, დარდაი (სანე 87), მიხალკე, დაისლერი, ჰელმერი

მილანი: აბიატი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა (აიალა 46), ამბროზინი (ჯუნტი 64), გულიელმინპიეტრო, სალა, სერჟინიო (ორლანდინი 75), ლეონარდო, შევჩენკო, ბირჰოფი

მსაჯი: ხ. გარსია არანდა (ესპანეთი)

გალათასარაი 0:5 ჩელსი

0:1, 0:2 ფლო (32, 49), 0:3 ძოლა (54), 0:4 უაიზი (79), 0:5 ამბროზეტი (88)

გალათასარაი: ბოლუქბაში, ჯიკა პოპესკუ, დელოზოლლუ, არიფი, ოკანი, ჰაკან შუქური (საფეტი 63), ჰაჯი (ჰასან სასი 46), აკიელი (დავალა უმითი 46), ქერიმოღლუ, ჰაკან უნსალი, კაპონე

ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი (უაიზი 66), პოიეტი (პეტრესკუ 66), ლე სო, ფერერი, ფლო, მორისი, ძოლა (ამბროზეტი 74)

მსაჯი: ვ. მანუელ პერეირა (პორტუგალია)

ჰერტა	4	2	2	0	6:4	8
ჩელსი	4	2	1	1	7:2	7
მილანი	4	1	2	1	3:3	5
გალათასარაი	4	0	1	3	3:10	1

26 ოქტომბერი, V ტური. მილანი — ჩელსი, ჰერტა — გალათასარაი

REUTERS გლაზგოდან

რეინჯერსი — პსვ 4:1. შოტლანდიელმა ნილ მაკკენს ჰოლანდიელთა კარში მესამე გოლი გააქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მსაჯი მსაჯი როდია

ყველაფერი ახალიც კარგად დავიწყებული ძველი როდია. ზოგი სიახლე მართლა სიახლეა და ასეთი აღმოჩენებისთვის ჩვენს თანამედროვეებს ნობელის პრემიით აჯილდოვებენ. თუმცა, ესეც სათქმელია, რომ ასეთი პატივი ცოტას თუ ერგება...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უკეთ მის რამდენიმე მუშაკს აქვს პატივი „ნოუ ჰაუ" დააპატენტოს. სიმართლე ვთქვათ, ეს აღმოჩენა კონკურენციას ვერასდიდებით გაუწევს კორლალიძისეულ ცხვართშეწირვის თეორიას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ უკანასკნელის ყოვლადგანსაცვიფრებელი შედეგი კარგა ხანია სახეზეა, ფედერაციის დანერგილი სიახლე კი მსხმოიარებამდე ჯერ ისევეა დაშორებული, როგორც თებერვალი, ვთქვათ, სექტემბერს. და მაინც...

ერთი სიტყვით, მიუკიბ-მოუკიბავად ვთქვათ, სფფ-ში ფეირ პლეის კომისია რომ ჩამოყალიბდა, გეცოდინებათ. და თუ არ იცით, მის დანიშნულებას ახლავე მოგახსენებთ. ერთი კვირის წინ იყო, კომისია მეორედ რომ შეიკრიბა და ხაზი გაუსვა: „ფეირ პლეის პრინციპი საფუძველში შეიცავს მხოლოდ ღირსეული საქციელის წახალისებას და არა, ვთქვათ, არაჯენტლმენური ქცევის გამო საჯარიმო ქულების დარიცხვას. ამიტომაც, ახლაც და მომავალშიც ფეირ პლეის კომისია იმსჯელებს იმ კარგზე, რაც ჩვენში ხდება. — ჩვენი საქმიანობის საგანი არ უნდა გახდეს ნაკლოვანებანი, ეს სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის სფეროა — ითქვა სხდომაზე" (პარასკევის „სარბიელიდან").

კეთილი და პატიოსანი, კომისიას საკუთარი ფუნქცია, როგორც თავად ფიქრობს, ღრმად შეუგნია, მაგრამ კომისიის წევრთა დიდი ნაწილის პატივისცემის მიუხედავად, თავს უფლებას მივცემ, ვიკითხო: ფედერაციელებს საქმე გამოლევიათ თუ ყველა სხვა საქმე აჟურშია და მეშლება რამე.

განა, ამქვეყნად არის რამე, რასაც შეიძლება ოდენ ცალმხრივად შეხედო? განა, ფეირ პლეის გამარჯვებულს ისეთ მედალს დაჰკიდებენ, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე ექნება? დამეთანხმებით, ასე არაა და მაშინ რატომ ჰყოფს ეს კომისია ასე ერთმნიშვნელოვნად ღირსებას უღირსობისგან, განა, ერთს მეორისგან ნაბიჯი არ აშორებს?

მომკალით და, ვერ მივმხვდარვარ, როგორ შეიძლება „ბათუმის" თავკაც ჯანი კარნევალეს აქტივში ჩაეთვალოს ასე საჯაროდ, ვიტელთათვის მატჩის მერე მადლობის მოხდა, შუაგულ „ეროვნულზე", მსაჯთა „პუტანად" გამოცხადება კი პასივში — არა.

განა, შეიძლება, გუნდს ჯენტლმენურ ქცევად ჩაეთვალოს ის, რომ მატჩზე დაგვიანებულ მეტოქეს (მოწინაალმდეგეს) მანამდე უცადა, სანამ ის არ გამოეცხადა და მომლოდინე არ დაამარცხა. და ეს მაშინ, როცა თხუთმეტი წუთის შემდეგ სრული უფლება ჰქონდა, არ დალოდებოდა. ყველა შემთხვევაში მოგება ჩაეთვლებოდა.

ასე სამტრედიაში ჩასული რუსთავის „გორდა" მოიქცა. გუნდი, რომელიც ბოლო წუთზე ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტით დამარცხდა. ძნელი გასარკვევია საფეხბურთო ალტრუიზმთან გვაქვს საქმე, ელემენტარულ სიბეცესთან თუ ჭორად დარხეულ „ვალის გასტუმრებასთან".

ერთი კია, „გორდამ" ოთხეულში შესასვლელ ბრძოლაში კონკურენტ „იბერიას" უშელავათა. და ეს იმიტომ, რომ თამაში არ ჩაშლილიყო. მეტი რომ არ ვთქვათ, საოცარია.

ახლა მთავარზე, მე რომ მკითხოთ, ყველაზე უპატიებელ ჯენტლმენობაზეც: „ჯერჯერობით სარეკორდოდ, 7 (რვიდან) ბალით შეფასდა „მარგვეთის" ხელმძღვანელობის მოქმედება, რომლებიც თანახმანი გახდნენ გადაეხადათ მეტოქის, ვანის „სულორის" დავალიანება, ოღონდ კი ვანში თამაში არ ჩაშლილიყო...

შარშან, მაისში იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი შემადგენლობა რომ ვერ ამხელდა სტუმარმა „გურიამ" უკვე გავარდნილ „მარგვეთს" მსაჯების ფული გადაუხადაო, ახლანდელს კი ჰყოფნის თავხედობა წაახალისოს მეტოქის თუ მსაჯის მოქრთამვის ლამის დაკანონებული მცდელობა. აბა, იმას რა ცოდნა სჭირდება, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც რომ ის უკვეთავს?

ერთი სიტყვით, კომისიამ თავისი იცის, მე კი ვერ მოვითმინე, არ მეთქვა — ფეირ პლეის ყველაზე ობიექტური პრინციპი წითელ-ყვითელი ბარათებია. ფიფა-უეფაც ამ პრინციპით ებრძვის სუბიექტივიზმს და ჩვენ რა ახალ ველოსიპედს ვიგონებთ?

თუ მაინცდამაინც ვინმემ ვინმეს საქციელი უნდა მოუწონოს, ინებეთ, კარგი მაგალითი: „თბილის" — „სიონის" თანამსაჯი ავთანდილ შალამბერიძე.

თბილისის ფეხბურთელები რომ „ჩემი დედა, უშველეთო"-ს ძახილით თავზე ადგნენ მეკარე ნუგზარ ლალაქიშვილთან შეჯახებისას ხორხდაზიანებულ და სუნთქვაშეკრულ თბილისელთა თავდამსხმელს, ლევან მელქაძეს, მსაჯი, როგორც ფოტოზე ხედავთ, სასწრაფო დახმარების ყუთს მიარბენინებდა...

ეს ჯენტლმენური თამაში (ეს სიტყვა აქ, მგონი, ზედმეტია), მეტიც ადამიანური საქციელი არაა? ასეა, მაგრამ, ჯვარი სწერია და შალამბერიძეს რომ მსაჯობისას რამე შეეშალოს იმიტომ უნდა ეპატიოს, ადამიანი რომაა?!

ხომ ცხადია, რომ მსაჯიც მხოლოდ ის კაცი არაა, ვინც ყვითელ-წითელი ბარათი თუ ალამი უნდა აფრიალოს. ზოგჯერ მსაჯიც ადამიანის მეგობარია. და თუ ასეა, რატომ არ მონაწილეობს მსაჯი ჩვენებური ფეირ პლეის კონკურსში, იმიტომ, რომ თემიდის მსახური, უსიამოვნებასთან უფრო ასოცირდება?

ვახტანგ ბზიკაძე

გიორგი ქინქლაძე ინგლისს, შეიძლება, კვირის ბოლოს დუბრუნდეს

პითი დაიღალა

კვირის ბოლომდე ქინქლაძეს ან ვიყიდით, ანაც შევეშვებითო, განაცხადა შეფილდ იუნაიტედის მწვრთნელმა

გუშინ ინგლისის პირველი დივიზიონის „შეფილდი" — „ნორვიჩის" შეხვედრის შემდეგ, რომელიც 0:0 დასრულდა, „შეფილდ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა ადრიან ჰითმა მედიას განუცხადა, რომ დაიღალა ქინქლაძის ტრანსფერზე მუშაობით.

„თვეზე მეტი გავიდა, რაც ქართველის გადმოყვანაზე ვმუშაობთ და გადამწყვეტ მომენტში სულ პრობლემები ჩნდება" — განაცხადა ჰითმა.

მისივე თქმით, კვირის ბოლომდე გიორგი ქინქლაძე ან გახდება „სამართებელი" („შეფილდ იუნაიტედის" მეტსახელია), ანაც კლუბი მის გადმოყვანაზე ხელს აიღებს".

ბოლო კვირების მანძილზე ქინქლაძის შესახებ „შეფილდ იუნაიტედისა" და „აიაქსის" თითქოსდა წარმატებული მოლაპარაკებები, მას შემდეგ შეფერხდა, რაც „შეფილდმა" ბოლო მომენტში არ გარისკა ქართველში სარეკორდო თანხის — 2,5 მილიონი გირვანქის გადახდა და სეზონის ბოლომდე მისი იჯარით აყვანა მოითხოვა.

ქინქლაძის იჯარით განათხოვრებას კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამსტერდამის „აიაქსი". ჰოლანდიური „ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში კლუბის პრეზიდენტმა ვან პრააგმა აღნიშნა: „ქინქლაძე მხოლოდ იყიდება!"

„შეფილდი" კვლავ იმედოვნებს, რომ კვირის ბოლომდე იჯარით აიყვანს ქინქლაძეს. ადრიან ჰითი აცხადებს, რომ გუშინ პირადად ესაუბრა ინგლისში ჩასულ ქართველს, რომელსაც ინგლისში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონია.

ერთი სიტყვით, ქინქლაძეს ძალიან სერიოზული საფრთხე ემუქრება — სავსებით შესაძლებელია, მას „შეფილდში" გადასვლაც ჩაეშალოს და ივნისამდე ისევ უკლუბოდ იყოს.

სიმონ მენაბდე

ადრიან ჰითი

ქეცბაია ნიუკასლშიც ვერ ითამაშებს

დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, თემურ ქეცბაია შვეიცარიაში „ციურიხის" წინააღმდეგ გამართულ უეფას თასის მატჩში ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ქართველი „ნიუკასლ" — „ლიდსის" შეხვედრისას უმძიმესად დაშავდა.

ქეცბაიას იმედი ჰქონდა, რომ ჯამარაულისა და ყაველაშვილის გუნდის წინააღმდეგ განმეორებით მატჩში, ნიუკასლში მაინც ითამაშებდა, თუმცა კლუბის ექიმმა ეს იმედებიც დაუმსხვრია.

„თემური, მართალია, სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, მაგრამ თითქმის გამორიცხულია, რომ მან „ციურიხთან" განმეორებითი შეხვედრა ითამაშოს. ნებისმიერი გართულება უნდა ავიცილოთ თავიდან, რადგან ტრავმა მეტად სერიოზულია" — განაცხადა მან „ივნინგ ქრონიკლისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სიმონ მენაბდე

საფეხბურთო ასოციაციები

გახსოვთ, ამასწინათ ანიმალიური ფეხბურთის საფეხბურთო ცნობარი რომ შემოგთავაზეთ? ამჯერად, საფეხბურთო ასოციაციებით გაგიმასპინძლდებით.

რითი განსხვავდებიან?

ფეხბურთელები და პარლამენტარები — ფეხბურთელები ყოველ წელიწადს ინომრებიან, პარლამენტარები კი ოთხ წელიწადში ერთხელ.

პოლიციელი და მეკარე — მეკარე დარტყმულს იჭერს, პოლიციელი დამრტყმელს.

მსაჯი და ინსპექტორი (საი-ს) — ინსპექტორს უხარია, როცა უსტვენს, მსაჯს კი არა.

მუთაქა და ბურთი — მუთაქას ჯერ ბერავენ, მერე ჰკერავენ, ბურთს პირიქით — ჯერ ჰკერავენ მერე ბერავენ.

მუშკეტერი და მესაკაცე-სანიტარი — მუშკეტერი გაჰყავთ, მესაკაცეს კი გაჰყავს.

გუდის ყველი და საფეხბურთო კლუბი — გუდის ყველი ცხვრის ტყავში კეთდება, კლუბი კი ცხვრის გატყავებით...

რითი გვანან?

პენსიონერი და მწვრთნელი — პენსიონერი ამაოდ ელის პენსიას, მწვრთნელი კი შედეგს.

ხარი და მსაჯი — ფერებს ვერ არჩევენ.

გილიოტინა და ეროვნული ნაკრები — ორივე თავისმომჭრელია.

სამედიცინო ხელჩანთიანი ავთანდილ შალამბერიძე სუნთქვაშეკრულ ლევან მელქაძისკენ მიიჩქარის

ვაი ბერძნებისგან

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. I ტური
20 ოქტომბერი. 16 საათი. თბილისი. ეროვნული. 1300 მაყურებელი

საბერძნეთი 2:0 საქართველო

1:0 გუნდულაკისი (42), 2:0 გ. პაპადოპულოსი (62)

საბერძნეთი: ეფთიმიუ, პეტკაკისი, ტრიადაფილაკისი, ანასტასიადისი, მ. პაპადოპულოსი, ნიკოლაიდისი, ციროგიანისი (როსიოსი 78), გუნდულაკისი (ფოტიადისი 67), გ პაპადოპულოსი, აბარცისი, ვასადაკისი (პიპერიასი 41)

საქართველო: ჭრიკიშვილი, კუპრეიშვილი, ჭელიძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, ფეიქრიშვილი, ნაკანი, ქოქიაშვილი (მალაზონია 61), ქარდავა (მანჭარაული 13, დ. შენგელია 78), სამხარაძე, გიგიაძე

გაფრთხილება: ტრიადაფილაკისი (44)

მსაჯი: ზ. საბო (უნგრეთი); უეფას დელეგატი: ფ. კოლოსი (რუმინეთი);

ბადრი კოდიაშვილის ფოტო

ქართველთა კაპიტანი ირაკლი სამხარაძე (№10) და ბერძენი იოანის ნიკოლაიდისი

პაატა კვანტალიანი

მართლაც რომ ვაი, აბა, სხვა რა ვთქვათ, სადაც კი გადაგვეყარნენ ელინები, ყველგან სირცხვილი გვაჭამეს. 1997 წელი გავიხსენოთ — შემოდგომის თბილი დღე, ქართველ თექვსმეტწლამდელებს ერთი ნაბიჯი აშორებთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს. „ბერძნულ უსიამოვნებებსაც“ იმ დღეს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ბერძენმა ჭაბუკებმა გამარჯვებამოწყურებულ ქართველთა ჟინი უპრობლემოდ დააცხრეს, სასურველ ფრეს მიაღწიეს და ფინალურ ეტაპზეც გაემგზავრნენ. ბერძნულ კედელს ორგზის შემსხვრეული ეროვნული ნაკრებიც გავიხსენოთ, ათენში მარცხნაჭამი ახალგაზრდულიც არ დაგვავიწყდეს, პაოკი, აეკი და აგერ 16-წლამდელებიც. ისევ ბერძნები, ისევ ქართველთა მარცხი და ალბათ ოცნება — იმედების მორიგი სასაფლაოც, რადგან გუშინდელი მარცხის შემდეგ ძალიან მცირე პრაქტიკული შანსი გვაქვს საიმისოდ, რომ ოთხგუნდა ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. თეორიული შანსი კი, აბა, ჩვენთვის რა ბედენაა, როდის გამოგვიყენებია იგი ქართველებს, რომ დღეს გამოვიყენოთ, თუმც ვინ იცის...

რა თქმა უნდა, აქ მარტო „ბერძნულ სინდრომში“ არ არის საქმე. ფაქტია, ჩვენი ჭაბუკები დამარცხდნენ და ამას უფრო სერიოზული მიზეზები გააჩნია, ვიდრე ის, რომ მეტოქედ საბერძნეთის ნაკრები გვყავდა.

მგონი, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა წაგებული მატჩებიდანაც ბევრს სასარგებლოს გამოვადნობდით ხოლმე (ჩვენივე თავის დასამშვიდებლად), ვიომეთ და დავმარცხდით, ვჯობდით და გაუმართლათ, არ უნდა გაეტანათ და გაიტანეს და მისთანები. წაგება წაგებაა, შეცდომის, თუ შეცდომების შედეგია, შეცდომებს კი ჯერ სააშკარაოზე გამოტანა (ახსნა) სჭირდება, შემდეგ კი მათი გამოსწორებისთვისაც უნდა ვიზრუნოთ.

ცოტა უხერხულიცაა, თექვსმეტი წლის ყმაწვილ ფეხბურთელს შეცდომებზე უკიჟინო, მით უფრო, რომ ქართველ 16-წლამდელებს კიდევ ორი თამაში აქვთ ქვეჯგუფში ჩასატარებელი, მაგრამ მგონი ამის თქმა ამთავითვე ღირს. მჯერა, ბიჭები სწორად გაიგებენ, ისინი ბოლოს და ბოლოს დიდი ფეხბურთის თამაშს აპირებენ და ვინ იცის, დღევანდელი უთქმელობა იქნებ მომავალში წინ დაუხვდეთ, მაგრამ გუშინდელ მარცხში ყმაწვილი ფეხბურთელების წვლილი მაინც პირობითია, რადგან საქართველოს ნაკრებმა მთლიანობაში მცდარი ტაქტიკური მონახაზის წყალობით დათმო შეხვედრა.

ბერძნებმა დასაწყისშივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. პირველი, ეს მათი ფიზიკური აღნაგობა იყო, ჯანიანი სტუმრების შემხედვარეს რევაზ გაგუას წინადღით ნათქვამი სიტყვები გამახსენდა — ახლა მათ აღნაგობაზე მეტად ის მადარდებს, ბერძნებმა და ხორვატებმა სხვანაირი ხალხი არ ჩამოგვიყვანონო — გადაზრდილ ფეხბურთელებს გულისხმობდა ბატონი რევაზი. დარწმუნებით ვერ გეტყვით, სხვანაირები იყვნენ თუ არა სტუმრები, ერთი რამ კი ცხადი გახდა, კარგი ფიზიკური მონაცემების წყალობით ბერძნები ამ შეხვედრაში გარკვეულ უპირატესობას მოიპოვებდნენ, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

მეორე ფაქტორი კი, რამაც ბერძნების უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე თვალში საცემი გახადა, წმინდა სათამაშო კომპონენტს უკავშირდება. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ქართველები მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მას მარწუხებს მოუჭერდნენ. ჩვენების წმინდა წყლის „მასპინძლური გაქაჩვა“ მეტოქეზე სულ რაღაც სამ წუთს გაგრძელდა, ბერძნები მეოთხე წუთზე მოეგნენ გონს, ანასტასიადისმა შორეული გადაცემით ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა ციროგიანისი, მას კი ბედად კუპრეიშვილმა დაასწრო. ამის შემდეგ ბერძნებმა მჭიდროდ დაიკავეს ცენტრალური ხაზი და თითქოსდა მათი ტაქტიკური ჩანაფიქრიც ნათელი გახდა — სამი ნომინალური მცველით მოთამაშე გუნდი ცენტრალურ ხაზში ბურთის დაჭერით აპირებდა ფონს გასვლას, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე-12 წუთისთვის ბერძნებმა მოულოდნელად უკან დაიხიეს და ცენტრალური ხაზი მოაშიშვლეს. რა იყო ეს? „ეშმაკური ტაქტიკური თამაში“ — სხვას ვერაფერს ვუწოდებ ყოველივეს. სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა დიდი როლი ბერძენთა გამარჯვებაში. მეტოქემ მშვენივრად გათვალა ქართველთა ფიზიკური შესაძლებლობები, მოწინააღმდეგეს ცენტრალურ ხაზში სირბილის საშუალება მისცა, თავად კი თითქოსდა მოდუნებული, მაგრამ საჭირო დროს საოცრად შემართული გეგმაზომიერად შეუყვა საქმეს.

რა დაუპირისპირა რევაზ გაგუამ ბერძენთა ამგვარ „გამოხტომას“? თითქმის არაფერი. ჩვენების ტაქტიკური მონახაზი ერთმოქმედებიან უნიჭო სპექტაკლს წააგავდა. გუნდის თამაში ირაკლი სამხარაძეზე იყო აგებული. ქართველთა კაპიტანს მოედნის თითქმის ყველა კიდეში ჰკიდებდით თვალს, რადგან ბურთი მისაღები იყო, მეტოქე — მოსატყუებელი, პასი — გასაკეთებელი, დაცვაშიც პრობლემები იყო, იქ შეტევა უნდა წამოწყებულიყო და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ირაკლი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ არ იყო გუშინ სამხარაძე ის მოთამაშე, რომელიც მატჩის ბედის ჩვენდა სასიკეთოდ შემოტრიალება შეეძლო, მისი ცდა მაინც ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე იყო დამყარებული, ინდივიდუალიზმი კი მეტ-ნაკლებად კარგა ხნის მოყირჭებული აქვს თანამედროვე ფეხბურთს. თანაც, ვფიქრობ, ამ ფეხბურთელის რამდენიმე ფუნქციით დატვირთვაც მცდარი გადაწყვეტილება იყო.

მატჩის წინ რევაზ გაგუა შიშობდა, ყველაზე დიდი პრობლემა დაცვის ხაზში გვაქვსო, შეხვედრამ კი გვიჩვენა, რომ დაცვასთან ერთად თავდასხმაშიც ვერ გვქონია საქმე კარგად. გაგუამ მე-13 წუთზე ტრავმირებული ქარდავა, ასევე ფეხმტკივანი მანჭარაულით შეცვალა. ალბათ ამის ბრალი იყო, ირაკლი ფეხით თამაშით თავს რომ არიდებდა. მან ერთი ორჯერ თავით კარში დაურტყა ეფთიმიუს, რამდენჯერმე საჰაერო დუელიც მოიგო, ეს იყო და ეს. თავდასხმის ხაზი კი საოცრად მოდუნებული და ინერტული ჩანდა.

მეორე სახიფათო მომენტი ბერძნებმა ჩვენს კართან 32-ე წუთზე შექმნეს. გეორგიოს პაპადოპულოსი ლაღად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე (ყველაზე მეტ ხიფათს სტუმრები სწორედ აქედან გვიქმნიდნენ) და საჯარიმოში, შორეულ ძელთან ჩაჰკიდა ბურთი. ამას ვასადაკისმა მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმა მოაყოლა. ბურთმა კარის ხაზის გასწვრივ ჩაიარა და მცველებმა შეძლეს ამ ეპიზოდში სიტუაციის განმუხტვა, თუმცა ამ მომენტში ბერძენთა შეტევამ გვარიანი პანიკა გამოიწვია ქართველთა შორის.

მიუხედავად ამისა, პირველი ნახევარი მაინც რიხით ჩავამთავრეთ. ქუხილავას ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი მოშორებით მოიგერია ბერძენთა მეკარემ, ამას კი 20-ოდე მეტრიდან ნაკანის ყუმბარისებური გასროლილი მოჰყვა, ბურთი მცირედ ასცდა ეფთიმიუს კარს.

დაიწყო მეორე ნახევარი და ბერძნებმა პირველი კარტანეს. სტუმართა შეტევას, ქართველთა საჯარიმოში კვლავ არეულობა მოჰყვა, ბურთი ჭყრა- ფრთო... მასპინძლებმა, გუნდულაკისმაც მოდუნება არ აპატია ქართველებს და 13-ოდე მეტრიდან ბურთი კარის ბადეში მოათავსა. მარცხის საფრთხის წინაშე მდგარმა ქართველმა 16-წლამდელებმა თითქოს გაიბრძოლეს, მარცხენა ფრთაზე კარგად გაიჭრა სამხარაძე, მეურვეც ჩამოიშორა და მანჭარაულს კარგი პასიც გადააწოდა, თუმც ამ უკანასკნელს წამით დააასწრო მეურვემ და ხიფათი აირიდა.

ბერძნები ისევ მოეშვნენ, ისევ დაუთმეს ცენტრი მასპინძლებს და რამდენიმე შემთხვევაში პასის მიცემის თუ პოზიციის შერჩევის დროს მცირე შეცდომებიც დაუშვეს, თითქოსდა ამ ყოველივეს არეულობა უნდა გამოეწვია სტუმართა რიგებში, მაგრამ ეს ბერძნების მოჩვენებითი პანიკა გახლდათ. ქართველები ისევ მიაწყდნენ ბერძენთა საჯარიმოს მისადგომებს, იყო ფლანგებზე მონაცვლეობა, ცენტრში გაუთავებელი სირბილი, ბურთის ზედმეტი თრევა და... მე-60 წუთს საქართველოს ნაკრები სრულიად დაღლილი შეხვდა. დაიღალნენ ქართველები და მეორე გოლიც გაუშვეს. მარჯვენა ფრთაზე ამჯერად ამბარცისმა გაილაღა, მის დიაგონალურ პასს შეცვლაზე შესულმა პიპერიასმა დარტყმა შეაგება, ბურთის კარში შესვლა კი გეორგიოს პაპადოპულოსმა დააჩქარა. 2:0 — ეს უკვე საბოლოო დამარცხება იყო.

პირველი ნახევრის ბოლო წუთების მსგავსად, მასპინძლებმა მატჩის მიწურულსაც გაიბრძოლეს, გიგიაძის კუთხურიდან ჩაწოდებულს ნაკანმა გაწოლილი თავური შეაგება, ეფთიმიუმ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და ძნელი ბურთის აღება შეძლო. ეს იყო და ეს, დავმარცხდით, დავმარცხდით პირველივე შეხვედრაში და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა. სამწუხაროა ისიც, რომ ამ მატჩში ქართველთათვის ხელიხელსაგოგმანებელი ერთადერთი ელექტრონული ტაბლოც დავკარგეთ, უფრო სწორად, ტექნიკამ გვიმტყუნა, ტაბლო გაფუჭდა და მეორე ნახევარში შეხვედრის სათადარიგო მსაჯ ირლანდიელ მაკკოლს ტრადიციული ქართული მამაპაპური მეთოდით უხდებოდა შემსვლელ-გამომსვლელთა ნომრების ჩვენება.

ერთადერთი ნათელი წერტილი გუშინდელ მატჩში, აკაკი კუპრეიშვილი იყო. ეს ფეხბურთელი კარგად ართმევდა მოვალეობას თავს. გამორჩევით კი აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩაგდებული პასებით მოვიხიბლე. რამდენი ქართველი ფეხბურთელი გეგულებათ, მსგავს რამეს აკეთებდეს? ეგ იყო, კუპრეიშვილის მონდომებას გამგრძელებელი არ უჩანდა.

დავმარცხდით. დავმარცხდით და მაინც, ამ მარცხს უფრო ღრმა საფუძველი აქვს... აქეთ ყვავილნარი — ლაგოდეხური შეკრება, იქეთ საერთაშორისო ტურნირებიდან თბილისს ჩამოსული ჩვენი თანაჯგუფელები. აქეთ ასფალტი, იქეთ ხასხასა მწვანე... ეეჰ, მგონი მიმიხვდით საითაც ვუმიზნებ...



ტომას სადელიდისი

ბადრი კოდიაშვილის ფოტოები

რევაზ გაგუა

პიპერიასის ამ დარტყმას გეორგიოს პაპადოპულოსის გოლი მოჰყვა

ნუგზარ კოდიაშვილის ფოტო

ხორვატი უნდა იყო!

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. I ტური
20 ოქტომბერი. 13 საათი. თბილისი. შევარდენი. 200 მაყურებელი

ბულგარეთი 0:1 ხორვატია

0:1 პოპოვიჩი (29)

ბულგარეთი: უზუნოვი, კლენოვსკი, გრიგოროვი, მიხაილოვი (ვენკოვი 41), კუნჩევი, კრასტევი, ნეშევი (რადანოვი 71), ბოიკოვი, პარლოვი, ანდრიოვი (ივანოვი 47), გუეროვი

ხორვატია: დელკიჩი, ჩოსიჩი, უდოვიჩიჩი, პაბუში, პოპოვიჩი, პაინეშეკი, რადნიჩი, სესარეცი, ტომიჩი (მინანოვიჩი 57, პოლიაკი 76), კულაშევიჩი (მოსტარლიჩი 70), ლიუბოევიჩი

მსაჯი: ნ. ვოლკვარცი (დანია); უეფას დელეგატი: ფ. კოლოსი (რუმინეთი); უეფას დამკვირვებელი: ანგონესი (იტალია)

ხორვატი ზდრავკო პოპოვიჩის ამ დარტყმულს ბულგარელი დიმიტარ კრასტევი ამაოდ გადაეღობა — 0:1

პრესკონფერენცია

მატჩისშემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ორივე ნაკრების მთავარი მწვრთნელი გამოცხადდა. თავიდან ბერძენთა თავკაც *ტომას სადელიდისს* დაეთმო სიტყვა.

— ჩვენი დღევანდელი წარმატება ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა — კარგი ფიზიკური მომზადება და ასევე კარგი ტაქტიკური მზადყოფნა.

ჩვენ საქართველოს ნაკრებს როგორც ერთ-ერთ ძლიერ გუნდს, ისე ვიცნობდით. იგი კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც განსაკუთრებით ტექნიკის მხრივ გამოირჩევიან, თუმცა ჩანს, რომ შესაფერისი პირობები და ხელშეწყობა აკლიათ. თქვენს ნაკრებთან მატჩს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, რადგან ძალიან უხერხულ მეტოქედ გთვლიდით. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა მჯერა მომდევნო შეხვედრებში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. იმედია, ასეთი დასაწყისი შემდეგ მატჩებზეც კარგად იმოქმედებს.

ჯგუფში მთავარ კონკურენტად ხორვატებს მივიჩნევ, მათთან ძნელი ბრძოლა გველის. ამ შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე საკმაო რაოდენობის საერთაშორისო ამხანაგური მატჩები ჩავატარეთ, გუნდი კარგად არის მომზადებული, ეს კი საბოლოო წარმატების დიდ იმედს გვაძლევს — თქვა სედელიდისმა და გამოგვემშვიდობა.

შემდეგ კი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების დამრიგებლის რევაზ *გავუას* ჯერი დადგა.

— ამ მარცხის უმთავრეს მიზეზად გამოუცდელობას და იმ ორ შეცდომას მივიჩნევ, რომელიც გოლების ფასად დაგვიჯდა. ტაქტიკური შეცდომები მოგვივიდა მწვრთნელებსაც. მთლიანობაში კი ბიჭებისგან ასეთ კარგ თამაშს არ ველოდი. სიმართლეს გეტყვით — მეგონა, მატჩი ჩვენთვის უფრო ცუდი შედეგით დასრულდებოდა.

შეხვედრის დასაწყისშივე ცვლილების გაკეთება მომიხდა. ქარდავამ ტრავმა მიიღო და ამის გამო გავიყვანე მინდვრიდან, თუმცა მისი შემცვლელი მანჭარაულიც არ არის ფორმაში. მას ბოლო დროს აქილევსის ქუსლი აწუხებს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით მოვარჩინეთ.

ამ ბიჭებს ასეთი მატჩების გამოცდილება საერთოდ არ აქვთ, მაშინ როცა მოწინააღდეგეები ევროპულ ტურნირებში მონაწილეობდნენ, ჩვენ რეგიონალლიგის გუნდებს ვეთამაშებოდით. „ეროვნულ" სტადიონზე რომ გავიყვანე სავარჯიშოდ, გაოცდნენ. ამხელა აუდიტორიის წინაშეც არ უთამაშიათ, რამაც ფსიქოლოგიური ზეწოლა განაპირობა.

ალბათ დააკვირდით, რომ ბევრი ფეხბურთელი ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას. ეს ჩვენი უმთავრესი პრობლემაა. ყველა შეკრებისას ამის გამოსწორებას ვცდილობდით. ბურთის ტარების მხრივ მხოლოდ ირაკლი სამხარაძეს არ ვზღუდავ. მას სრული თავისუფლება მივეცა, რადგან ბევრი შეუძლია.

შევცდი იმაში, რომ თამაშის დაწყებიდან 20-25 წუთში ქოქიაშვილი არ შევცვალე. მოგეხსენებათ, იგი მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, თუმცა ვერ გამოიყურებოდა სათანადოდ. ქოქიაშვილი შეკრების პერიოდში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ გუნდში, ამიტომ ვფიქრობდი, რომ თამაშისას გადალახავდა ფსიქოლოგიურ ბარიერს და ჩვეულად გაირჯებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შევცდი. შედეგად კი პირველი გოლი გავუშვით, როცა იგი უკან არ ჩავიდა. სათანადოდ ვერ გამოიყურებოდა ფეიქრიშვილიც, რომელიც ასევე წამყვანი ფეხბურთელია. ვერ ამიხსნია, რა უნდა იყოს მათი ჩავარდნის მიზეზი, ალბათ, ისევ და ისევ გამოუცდელობა და გარკვეული შიშის ფაქტორი.

ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით სასაყვედურო არაფერი მაქვს. იმდენი ვივარჯიშეთ, იმასაც კი ვფიქრობდი, ფეხბურთელები არ გადაგვეწვა.

ვანო ოქროპირიძე

ხვიჩა სანიკიძე

ბულგარელები ხმაურით გამოვიდნენ გასახდელიდან — შეძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. ხორვატები დინჯად მოჰყვებოდნენ მეტოქეს.

ორივე გუნდის წევრები მსაჯებთან ერთად გამწკრივდნენ. მათ წინ კი ყვავილებით ხელდამშვენებული ნორჩი ქართველი ფეხბურთელები განლაგდნენ.

პირველად ბულგარეთის ეროვნული ჰიმნი აჟღერდა. ჩვენდა გასაკვირად, ბულგარელი ჭაბუკები ერთხმად ამღერდნენ მწვრთნელებთან და სათადარიგოებთან ერთად. გულზე ხელი დაიდეს, თავდავიწყებით აჰყვნენ მუსიკას და თვალებგაბრწყინებულები იყურებოდნენ ცისკენ. ჩვენდა გასაკვირად-მეთქი, ტყუილად არ მითქვამს. ნეტა, ქართველი 16-წლამდელები როგორ მოიქცევიან დღეს იგივე მდგომარეობაში — ირონიულად იკითხა ვილაცამ...

მერე ხორვატებმა მოუსმინეს დინჯად მშობლიური ქვეყნის ჰიმნს. მათთვის დამახასიათებელი ემოცია თითქოს სადღაც გამქრალიყო. ჩვენ ხომ სხვაგვარად ვიცნობთ ნამდვილ ხორვატიის დიდ ფეხბურთელებს, მათზე უამრავი რამ გაგვიგონია, ტელეეკრანებზეც არაერთხელ გვინახავს მათი მებრძოლი სული და ანთებული სახეები. ბევრჯერ გვითქვამს — განგებამ ერთნაირი განსაცდელი მოგვივლინა, ხორვატების გმირობა სამაგალითო უნდა იყოს ქართველი ფეხბურთელებისთვის, მათ მსგავსად უნდა მოვიქცეთო...

ვუყურებდი „შევარდენზე" მობურთალი ხორვატი 16-წლამდელების დალაგებულ, გააზრებულ თამაშს და ვფიქრობდი — ძალიან შორს ვართ მათგან, ისე შორს, რომ მაგალითის გადმოღება კი არა, ოდნავი მიბაძვაც გაგვიჭირდება კიდევ კარგა ხანს. მათ მსგავსად რომ მოიქცე, აუცილებლად ხორვატი უნდა იყო... მათი ფენომენის შესწავლა ვერ გვიშველის, შესაძლოა მხოლოდ გზაზე დაგვაყენოს და ესეც საქმეა უთუოდ, საქმე და არამარტო ლარაპაკი.

ამ მატჩის შემდეგ საქართველო — საბერძნეთის შეხვედრასაც დავესწარი და ნეტა არ მენახა — ჩვენი ბიჭები ბულგარელებზე სუსტები მეჩვენენ, იმ ბულგარელ 16-წლამდელებზე, ხორვატმა თანატოლებმა რომ აცეკვეს „შევარდენის" სტადიონზე.

თავიანთ მეკარეს, ვირენ უზუნოვს უმადლოდნენ ბულგარელი ჭაბუკები მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით რომ დამარცხდნენ. მართლაც საბრალო იყო უზუნოვი. ბოლო წუთზე კუთხურის ჩაწოდებისას გაიქცა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ამაოდ... მსაჯის მიერ დამატებულ დროშიც იგივეს განმეორება სცადა და მწვრთნელმა არ დაანება, მოედნის ცენტრთან მისული უკან გააბრუნა. ბულგარელთა თავკაცი ბედს შეეგუა. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდეგ, ხორვატები გამარჯვების ღირსნი იყვნენო.

პირველ ტაიმში ექსიუგოსლავიელებმა აშკარად დაჩაგრეს ბალკანელები, რომლებსაც ერთი ხეირიანი კონტრიერიშის განხორციელების საშუალებაც არ მისცეს. ხორვატთა მეათე და მერვე ნომრით მოთამაშე ნახევარმცველები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, პოპოვიჩი და ტომიჩი რიგრიგობით ამარაგებდნენ თავდამსხმელებს ზუსტი პასებით. წინახაზელებიდან კულაშევიჩი უფრო მეტ სამუშაოს ასრულებდა, ვიდრე ტანმაღალი ლიუბოევიჩი, თუმცა ეს უკანასკნელი თითქმის ყველა მაღალ ბურთზე ასწრებდა მეტოქე მცველებს და სისწრაფეშიც ჯაბნიდა მათ. ეგაა, ხელსაყრელი მომენტებიდან ვერ გაჰქონდა გოლები, თუმცა მარტო ამ თამაშის ნახვით მისი გაკრიტიკება უსამართლოდ მეჩვენება — ლიუბოევიჩის წინააღმდეგ სიფრთხილე მართებთ ქართველ (ეჰ!) ფეხბურთელებს.

ხორვატებს ჯერ კიდევ მე-11 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. პოპოვიჩმა გამოზომილი პასით პირისპირ დატოვა ლიუბოევიჩი, რომელმაც მეკარეს სუსტად დაურტყა, უზუნოვმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქედან ჩამოწოდებულზე სესარეცმა დაასწრო ყველას, თუმც ბურთი ოდნავ ააცილა მიზანს.

მე-20 წუთზე კულაშევიჩმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ტომიჩი, რომელმაც მარცხენა ფეხით დაარტყა და ბურთმა ძელს გარედან ჩაუქროლა.

ბულგარელები კი ვერა და ვერ ახერხებდნენ ხორვატთა საჯარიმოსთან მიახლოებას. მათმა ლიბერომ, კლენოვსკიმ არაერთხელ დატოვა თავისი ადგილი და თანაგუნდელების წინ გაძღოლა ითავა, მაგრამ [illegible] ექსიუგოსლავიელები სრულად ბატონობდნენ მოედნის ყოველ მონაკვეთზე.

29-ე წუთზე [illegible] მოხდა. ბულგარელი მცველების მიერ გამოტანილი ბურთი პოპოვიჩმა ჩაჭრა, საჯარიმოს ბურთიანად მიუახლოვდა და ცაციათი აულებელი დაურტყა უზუნოვს — ბურთი მარჯვენა ცხრიანში ჩაეჭედა, მართლაც ეფექტური გოლი გამოდგა.

გაშვებული გოლის შემდეგ ბულგარელები გააქტიურდნენ, თუმცა საგოლე მომენტი კვლავ მათ კართან შეიქმნა.

ტომიჩმა კედელი გაუთამაშა მეტოქის საჯარიმოში მდგარ კულაშევიჩს და ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ნახევარი ბულგარელთა თავკაცმა შეცვლით დაიწყო. ცენტრალური მცველი მიხაილოვი იგივე ამპლუის ფეხბურთელით, ვენკოვით შეცვალა, 6 წუთში კი თავდამსხმელი ანდრიოვი — ასევე თავდამსხმელ ივანოვით. საქმეს მაინც არ ეშველა. მართალია, ხორვატები სრულად ველარ ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ წინ მთელი ძალებით წასულ მეტოქეს კონტრიერიშებზე იჭერდნენ და პირველი ტაიმისგან განსხვავებით დაახლოებით ოთხჯერ მეტი საგოლე მომენტიც შექმნეს.

ბულგარელებმა შეტევაში მხოლოდ ორჯერ დაგვამახსოვრეს თავი.

54-ე წუთზე ივანოვმა საჯარიმო დარტყმა განახორციელა ოსტატურად, მაგრამ ოდნავ არაზუსტად.

ორ წუთში კი ნეშევმა საჯარიმოს ხაზთან მდგომ გუეროვს გადააწოდა ბურთი. მას ხორვატმა მეკარემ, დელკიჩმა აუღო, თუმცა ბურთი კარის მიმართულებით გაგორდა და გუეროვი დასამატებლად გაემართა. დელკიჩი ფეხებში ჩაუხტა თავდამსხმელს. გუეროვი მინდორზე გაიშხლართა. ბულგარელები ამაოდ ითხოვდნენ პენალტს.

ეს იყო და მორჩა. ხორვატებს კიდევ მინიმუმ 6 გოლის გატანა შეეძლოთ. ლიუბოევიჩი სამჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ და ერთხელაც ვერ აჯობა გოლკიპერს. ერთ ეპიზოდში კი უზუნოვმა ახლოდან სამჯერ ზედიზედ დარტყმული ბურთი მოიგერია.

66-ე წუთზე ძელმა იხსნა ბულგარელთა კარი.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეცვლაზე შესულმა მოსტარლიჩმა შეძლო უზუნოვის მოტყუება და ბურთი პოლიაკს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა კი ცარიელ კარში ვერ გაიტანა...

ხორვატია მართლაც კარგი გუნდია, ჩემი აზრით, საბერძნეთის წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდება, ისე როგორც ქართველებს ბულგარელთა მეკარისთვის გოლის გატანა...

ხორვატი ანტე ტომიჩი (№8) ბულგარელ მცველთა გარემოცვაში

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. A ჯგუფი

REUTERS კიევიდან

დინამო — ლევერკუზენი 4:2. იორგ რეები (მარჯვნივ) და სერგეი რებროვი

მარიბორი 0:4 ლაციო

0:1 მიხაილოვიჩი (34), 0:2 ინძაგი (50), 0:3 სტანკოვიჩი (63), 0:4 ინძაგი (74)

მარიბორი: სიმეუნოვიჩი, ვუგდალიჩი, სესლარი (დრაგუშა 84), ტიდანი, კარიჩი, სიმუნჯა (პრეგელი 78), ბალაიჩი, დიურანოვიჩი, გალიჩი, ბოზგო (ფილიპოვიჩი 61), სარკეზი

ლაციო: ბალოტა, ფავალი, სენსინი, სერჟიო კონსეისაო (მარკოლინი 75), მიხაილოვიჩი, ნესტა (ფერნანდო კოუტუ 19), სიმეონე, პანკარო, ნედვედი (გოტარდი 70), დ. სტანკოვიჩი, ს. ინძაგი

მსაჯი: ტ. პოუგი (ნორვეგია)

სიმონე ინძაგიმ ორი გოლით შეიტანა წვლილი რომაელთა 4:0 გამარჯვებაში, რომელიც მათ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ, 16-გუნდიან ეტაპზე გასვლის გარანტიას ფაქტობრივად აძლევს.

„ამ შეხვედრის წინ მთავარ ამოცანად მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა გვქონდა დასახული. ახლა ეს საქმე მოგვარებულია და ჩვენ შინაურ საქმეებზე შეგვიძლია მთელი ძალით გადართვა“ — განუცხადა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს ინძაგიმ.

„ლაციო“ თეორიულად ჯერ კიდევ არ არის გასული შემდგომ ეტაპზე, მაგრამ რეალურად მისი ჯგუფში ჩარჩენა, ბუნებრივია, გამორიცხულია. ცხრილს თუ ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი მეორეადგილოსან „ლევერკუზენს“ მთელი ხუთი ქულით უსწრებს, მესამე ადგილზე მყოფ კიევის „დინამოს“ კი ექვსით, თანაც ორივესთან სათამაშო აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომაელებმა ორივე რომც წააგონ, საკმარისია კიევმა ან ლევერკუზენმა „მარიბორს“ ვერ მოუგონ, რომ ისინი მაინც მოხვდებიან საუკეთესო 16-ს შორის.

...ანგარიში იუგოსლავიელმა სინიშა მიხაილოვიჩმა გახსნა. ბუნებრივია, მისი გოლი მორიგი, უზადოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შედეგი გახლდათ. მეორე, შესვენების შემდეგ ინძაგიმ გაიტანა, მესამე დეიან სტანკოვიჩმა, ხოლო მეოთხე ისევ ინძაგიმ.

ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ლაციომ“ „მარიბორს“ ზედიზედ მეორედ მოუგო 4:0.

„მარიბორელებმა თამაში კარგად დაიწყეს, მაგრამ მეორე გოლის გაშვების შემდეგ მათთვის თავის დაცვა გაცილებით ძნელი საქმე გამოდგა პირველ ტაიმთან შედარებით“ — ბრძანა გამარჯვებულთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა.

დინამო 4:2 ლევერკუზენი

1:0 კოსოვსკი (4), 1:1 კირსტენი (12), 2:1 შაკიხი (36), 2:2 ნოვილი (49), 3:2 გოლოვკო (61), 4:2 ვაშჩუკი (89)

დინამო: შოვკოვსკი, მამედოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (ინშკინი 59), ფერსიტანკო (ბელკევიჩი 46), ალბერ, კოსოვსკი, ბუსინი, რებროვი, შაკიხი

ლევერკუზენი: მატზენეი, რეეი, ნოვოტნი, ლიკოვიჩი, ზუნდერმანი, რამელოუ, ემერსონი, ბაინლიხი, ნოვილი, კირსტენი, ჰეიდუკი (რობსონ პონტე 75)

მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)

უკრაინის ჩემპიონი შემდეგ ეტაპზე გასვლისათვის ბრძოლას დაუბრუნდა. მართალია, კიეველებს პირველი ჯგუფური ეტაპის პირველ ნახევარში ცუდი შედეგები ჰქონდათ, სამი თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს, მაგრამ „ლევერკუზენთან“ გამარჯვებამ ჯგუფში მდგომარეობა გამოუკეთათ — დღეს გერმანელებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

გამარჯვებას, „დინამო“, მნიშვნელოვანწილად თავის მეკარეს, ალექსანდრ შოვკოვსკის უნდა უმადლოდეს. შოვკოვსკიმ 66-ე წუთზე, როდესაც ანგარიში მისი გუნდის სასარგებლოდ 3:2 იყო, შტეფან ბაინლიხს პენალტი აუღო.

კიეველთა გამარჯვებას კი საბოლოო წერტილი ვლადისლავ ვაშჩუკმა თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გაწოლილი თავურით დაუსვა.

...მასპინძლები მეოთხე წუთზევე დაწინაურდნენ: ვიტალი კოსოვსკიმ სერგეი რებროვისგან მოზომილი პასი მიიღო და ახლოდან გახსნა ანგარიში. „ლევერკუზენმა“ რვა წუთში გაათანაბრა, გერმანიის ნაკრების ფორვარდმა ულფ კირსტენმა ბაინლიხის დარტყმული ჯარიმის შემდეგ შოვკოვსკის მოგერიებული ბურთი იხელთა და კარში შეაგდო, მაგრამ 36-ე წუთზე მაქსიმ შაკიხმა „დინამოს“ უპირატესობა აღადგინა.

მეორე ტაიმში თავიდან ისევ „ლევერკუზენმა“ იყოჩაღა — ოლივერ ნოვილმა ერთხელაც გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 61-ე წუთზე ალექსანდრ გოლოვკომ თავურით ჩინებული გოლი შეაგდო.

27 ოქტომბერი, V ტური. ლაციო — ლევერკუზენი, მარიბორი — დინამო

	A ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ლაციო		27.X	2:1	4:0	11:2	10
2	ლევერკუზენი	1:1		1:1	2.XI	6:6	5
3	დინამო	2.XI	4:2		0:1	6:6	4
4	მარიბორი	0:4	0:2	27.X		1:10	3

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. B ჯგუფი

არსენალი 2:4 ბარსელონა

0:1 რივალდო (15პ), 0:2 ლუის ენრიკე (16), 1:2 ბერხკამპი (44), 1:3 ფიგუ (56), 1:4 კოკუ (70), 2:4 ოვერმარსი (84)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი (აპსონი 74), ადამსი, უინტერბერნი, პარლოუ, ლიუნგბერგი (შუკერი 76), ვიეირა, ოვერმარსი, ბერხკამპი, კანუ (ანრი 76)

ბარსელონა: არნაუ, რაიციგერი, აბელარდო, ბოგარდი, სერხი, გვარდიოლა (დეუ 90), ლუის ენრიკე (გაბრი 71), კოკუ, ფიგუ, კლუივერტი (ზენდენი 90), რივალდო

მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

„უემბლის“ გარემო „ბარსელონას“ კარგად აქვს დაცდილი. ეს სწორედ ის სარბიელია, სადაც კატალონიის გუნდმა 1992 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში, „სამპდორიას“ 1:0 მოუგო და ჯერჯერობით პირველად და უკანასკნელად მოიპოვა ეს ჯილდო. ამჯერად დიდებულად მოთამაშე „არსენალი“ ნაწილობრივ უიღბლობამ, ნაწილობრივ საკუთარმა და ნაწილობრივ მსაჯის შეცდომებმა, ნაწილობრივ კი ბარსელონელი ფეხბურთელების ოსტატობამ დაამარცხა.

არაა გამორიცხული, რომ ლონდონელთა წაგება ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად კარში კარგ ფორმაში მყოფი ალექსანდრ მანინგერის ნაცვლად დიდი ხნის უთამაშებელი, მაგრამ ერთობ პატივცემული დევიდ სიმენის ჩაყენებამაც გამოიწვია და კიდევ, მე-15 წუთზე ფილიპ კოკუს ტონი ადამსი შეეხო თუ არა, საკამათო საკითხია, ის პენალტი რომ არა ვინ იცის...

„ძალიან ძნელი გამარჯვება მოვიპოვეთ და ეს „არსენალის“ ძლიერმა თამაშმა განაპირობა. ლონდონელებმა საუცხოო ფეხბურთი შემოგვთავაზეს, მაგრამ მაინც ჩვენ ვჯობდით“ — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ესპანელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა.

„ბარსელონამ“ იმ დღეს ინგლისში 40 წლიანი წაგება-ფრეების შემდეგ პირველად გაიმარჯვა. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსი გახლდათ მეკარე ფრანსისკო არნაუ, რომელმაც ღირსეულად დაიკავა რუუდ ჰესპის ადგილი.

„ჰესპი დღეისათვის ცუდ ფორმაშია, არნაუ კი შანსს იმსახურებდა. ვგონებ მან კარგად ითამაშა და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა“ — დასძინა ვან გაალმა.

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი: „ძნელზე ძნელია დღევანდელ შეხვედრაზე ლაპარაკი. მგონი ჩვენ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით შეტევაში, მაგრამ ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ დატრიალდა. ორი გოლი ძალიან მოკლე დროში და თითქმის თამაშის დაწყებისთანავე გავუშვით. პირველის სამართლიანობა, ჩემი აზრით, ძალიან საეჭვო გახლდათ, მერე კი უპირატესობა ჩვენს ხელში იყო“.

ფიორენტინა 3:0 აიკ

1:0 ბატისტუტა (5), 2:0 კიეზა (36), 3:0 ბალბო (86)

ფიორენტინა: ტოლდო, რებეკა, ფირიკანო, პიერინი, ჰაინრიხი, დი ლივიო, კოისი (ოკონი 71), რუი კოშტა, მიატოვიჩი (ამორუზო 53), კიეზა (ბალბო 82), ბატისტუტა

აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, გუსტავსონი, ლაგერლოფი (კორნელიუსონი 58), ნორდინი, ო. ანდერსონი, ტიერნსტრიომი, ნოვაკოვიჩი (ჰოჩი 45), მატიასონი (იოანსონი 82)

მსაჯი: ი. უეგერიფი (ჰოლანდია)

ფლორენციელი გუნდის ნაქებმა ფორვარდებმა როგორც იქნა დაამტკიცეს, რომ ერთ გუნდშიც შეუძლიათ თავის გამოჩენა და გოლების გატანა.

თამაშის დაწყებიდან ხუთი წუთი იყო გასული, როდესაც იტალიელთა არგენტინელმა ვარსკვლავმა, გაბრიელ ბატისტუტამ დაახლოებით 30 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. ბურთი სტოკჰოლმელთა კედელში მდგომმა თომას ლაგერლოფმა აისხლიტა და მეკარე მატიას ასპერი შეაცდინა.

ასეთი სტარტი ზუსტად ის გახლდათ, „ფიორენტინას“ მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის რომ ეწადა. მთელი თვე იყო გასული, რაც მის გუნდს თამაში არ მოეგო და შესაბამისად ქომაგთა უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა.

პირველი ტაიმის შუაში სტადიონს ელექტრომომარაგების სისტემამ უმტყუნა, რის გამოც შეხვედრა დაახლოებით ოთხი წუთით შეწყდა, მაგრამ როგორც კი ტექნიკოსებმა საქმე მოათავეს, მასპინძლებმა ისევ ხელთ იგდეს თამაშის სადავეები.

36-ე წუთზე იორგ ჰაინრიხი აუტის ხაზის გასწვრივ აჩრდილივით გასრიალდა და ბურთი ენრიკო კიეზას გადააწოდა. კიეზამ დაბალი დარტყმით ბურთი მეტოქის კარის მარჯვენა კუთხეში შეაგდო.

შესვენების შემდეგ შვედებმა ვაჟკაცური პასუხის გაცემა სცადეს. მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე ნახევარმცველმა დანიელ ტიერნსტრიომმა მეურვე ჩამოიშორა და დიაგონალური დარტყმით ბურთი ფრანჩესკო ტოლდოს კარის მარცხენა ძელს გაარტყა. გამოხდა ხუთი წუთი და ლაგერლოფმა სტოკჰოლმელთა საუკეთესო მომენტი გაუშვა ხელიდან — ახლოდან ბურთი ხარიხას გადააცილა.

ამ დროს ტრაპატონიმ მდგომარეობის გამოსასწორებლად მოედანზე ვეტერანი აბელ ბალბო შეუშვა. ვეტერანმა გაამართლა: შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე რუი კოშტამ არგენტინელს პასი გადააწოდა და მანაც ბურთის ასპერის ფეხებს შორის გაძვრენა მოახერხა.

„ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ამ თამაშთან ერთად იტალიის პირველობის მორიგ ტურზეც მიწევს ფიქრი. მათ რომ საუკეთესო მოთამაშეების მთელი 90 წუთით დატვირთვა მომთხოვონ, ვარსკვლავებს დიდ ენერგიას დაახარჯინებენ. შეუძლებელია ისინი ყოველ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე მოედანზე გავაჭერო“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ტრაპატონიმ, რომლის „ფიორენტინასაც“ ლიგის შემდგომი თამაში ლონდონში, „არსენალთან“ უწევს.

27 ოქტომბერი, V ტური. ბარსელონა — აიკ, არსენალი — ფიორენტინა

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ბარსელონა 2:4. ბარსელონელმა რივალდომ (№11) ანგარიში პენალტით გახსნა

	B ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ბარსელონა		4:2	1:1	27.X	11:6	10
2	ფიორენტინა	2.XI		0:0	3:0	5:4	5
3	არსენალი	2:4	27.X		3:1	6:6	5
4	აიკ	1:2	0:0	2.XI		2:8	1

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. C ჯგუფი

დორტმუნდი 0:3 რუსენბორგი

0:1, 0:2 სორენსენი (17, 58), 0:3 ვინსენსი (70)

დორტმუნდი: ლემანი, როტერი, ვიორნსი (ბობიჩი 46), კოლერი, დედე, ევანილსონი (კაპტანოვიჩი 83), რიკენი, ნერლინგერი (ადო 46), ჯ. რეინა, ბარბარესი, მიოლერი

რუსენბორგი: იამტფალი, სტრანდი, ბრაგსტადი, პოფტუნი, ბერგდოლმო, ვინსენსი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, მინი იაკობსენი

გაძევება: რიკენი (68)

მსაჯი: ა. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" ჩემპიონთა თასის 1997 წლის მფლობელის, დორტმუნდის „ბორუსიას" სუსტი თამაშით ისარგებლა. გერმანელები სამაგალითოდ დაისაჯნენ — 0:3.

შედეგის უკეთ აღსაქმელად ცხრილს ჩავხედოთ: ჯგუფს ოთხი თამაშიდან რვა ქულით „რუსენბორგი" ლიდერობს და სამი ქულით უსწრებს დამარცხებულ „დორტმუნდს", რომლის ნახევარმცველი ლარს რიკენი ამ გუნდების სამშაბათის შეხვედრაში, 68-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან.

ნორვეგიელთა პირველი და მეორე გოლი იან დერეკ სორენსენმა გაიტანა. პირველად მე-17 წუთზე იყოჩაღა, როდესაც ბენტ სკამელსრუდისგან ხეირიანი პასი მიიღო, ხოლო დორტმუნდელთა დაცვა ოფსაიდის იმედად იყო, ხოლო მეორე გოლი, რომ წესების სრული დაცვით გავიდა ეჭვი არავის შეპარვია: მეორე ტაიმის მე-13 წუთზე სორენსენმა საჯარიმო დარტყმა პირდაპირ კარში შეაგდო.

3:0 ფრედერიკ ვინსენსმა გახადა. 70-ე წუთზე მისი დარტყმული დორტმუნდელთა ნახევარმცველმა დედემ აისხლიტა და კარში შეფრინდა.

მანამდე, როგორც მოგახსენეთ, მსაჯმა რიკენი გააძევა მოედნიდან.

„ჩვენი მოქმედება ვერაფრით წარვმართეთ სწორად. მეტოქის კარს საჭირო მანძილზე ერთხელაც ვერ მივუახლოვდით, ვერც შუიდან და ვერც ფლანგებიდან.

დღეს „რუსენბორგმა" დიდებული ფეხბურთი ითამაშა, ჩვენ კი ძალიან ბევრ საკითხზე მოგვიწევს დაფიქრება" — განაცხადა უკმაყოფილო მიხაელ სკიბემ, „დორტმუნდის" მწვრთნელმა — „მეტოქე ჩინებულად იცავდა საკუთარ საჯარიმო მოედანს და კონტრშეტევებზეც ძალიან სწრაფად გადმოდიოდა. დღეს აშკარად შავი დღე გვქონდა, მაგრამ მომავლის იმედი მაქვს".

„პირველი გოლი უეჭველი ოფსაიდიდან გავიტანეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „რუსენბორგმა" პირწმინდად არ მოგვიგო. სამწუხაროდ სეზონის განმავლობაში ასეთი თამაშები გამოგვერევა ხოლმე, მაგრამ მერწმუნეთ, წლეულს ეს აღარ განმეორდება" — განაცხადა ვეტერანმა მცველმა იურგენ კოლერმა.

ფეიენოორდი — ბოავიშტა 1:1. იონ დალ ტომასონი (მარჯვნივ) პორტუგალიელების გარემოცვაში

REUTERS როტერდამიდან

ფეიენოორდი 1:1 ბოავიშტა

1:0 დალ ტომასონი (75), 1:1 ტიმოფტე (91)

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან ჯობელი, კონტერმანი, პაუვე (სომალია 69), დე ვისერი, ბოსველტ, ვან გასტელი, დალ ტომასონი, კალუ, ხულიო კარუზი, ვან ფოსენი (სამარჯიჩი 46)

ბოავიშტა: რიკარდუ, პაულო სოუზა, რუი ბენტუ, პედრო ემანუელი, ტიმოფტე (როტერიუ 89), ლუიშ მანუელი (სერეიო 73), ემანუელი, ლიტუში, ჟორჟე კოუტუ, ჟორჟე სილვა, აპინფული (მარტელინიო 80)

მსაჯი: ა. ტრენტალანჯე (იტალია)

როტერდამში „ფეიენოორდისა" და „ბოავიშტას" შეხვედრის ანგარიში ბოლო 15 წუთში გასულმა გოლებმა დაადგინა. უგოლო 75 წუთის შემდეგ ანგარიში დანიელმა იონ დალ ტომასონმა გახსნა. მისი ახლოდან ზუსტად შესრულებული თავურით ჩემპიონთა თასის ოდინდელი მფლობელი დაწინაურდა, მაგრამ ექვსი წუთის შემდეგ, პორტუგალიური გუნდის რუმინელმა ნახევარმცველმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა.

პენალტის დანიშვნის მიზეზი ის გახლდათ, რომ ფეიენოორდელმა ბერტ კონტერმანმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე ჟორჟე კოუტუს წინააღმდეგ ბრძოლაში წესი დაარღვია. ტიმოფტემ დარტყმა ლამაზად შეასრულა, თუმცა, „ფეიენოორდის" კარის მცველმა იურეკ დუდეკმა მიმართულება გამოიცნო და კინაღამ აუღო.

პირველ ტაიმში უპირატესობას როტერდამელები ფლობდნენ, თუმცა სტუმართა გოლკიპერი, რიკარდუ, მაინც და მაინც არ შეუწუხებიათ. აღსანიშნავია, რომ „ბოავიშტას" კარს რიკარდუ წინა შეხვედრაში გაძევებული უილიამ ბასეის დისკვალიფიკაციის გამო იცავდა. ეს წინა თამაშიც „ბოავიშტასა" და „ფეიენოორდის" მონაწილეობით გაიმართა და ასევე, 1:1 დამთავრდა.

27 ოქტომბერი, V ტური. რუსენბორგი — ბოავიშტა, დორტმუნდი — ფეიენოორდი

	C ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	რუსენბორგი		2:2	2:2	27.X	10:4	8
2	დორტმუნდი	0:3		27.X	3:1	6:7	5
3	ფეიენოორდი	2.XI	1:1		1:1	5:5	4
4	ბოავიშტა	0:3	2.XI	1:1		3:8	2

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. D ჯგუფი

მარსელი 1:0 მანჩესტერი

1:0 გალასი (69)

მარსელი: პორატო, პერესი, გალასი, ისა, ბერიზო, ბლონდო, ბრანდო (დე ლა პენია 65), დალმა (ლ. რეინა 88), ლუქსენი, პირესი, რავანელი (მორისი 75)

მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი, ჰ. ბერგი (სოლსკიაერი 83), სტამი, ფ. ნევილი, ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი, კოული

მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

„მარსელმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" 18 ევროშეხვედრაში პირველი მარცხი აწვნევინა: ინგლისურმა გუნდმა „აიაქსის" რეკორდის გამეორება ვერ მოახერხა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი საფინალო სასტვენამდე 21 წუთით ადრე მცველმა, უილიამ გალასმა გაიტანა. შედეგად „მარსელი" ჯგუფში პირველ ადგილზეა და მანჩესტერელებს ორი ქულით უსწრებს.

მასპინძელთა თამაშში განსაკუთრებული გარდატეხა 65-ე წუთზე, მოედანზე ივან დე ლა პენიას გამოჩენამ შეიტანა. გუნდი ისე თამაშობდა, თითქოს გასულ პარასკევს ამავე სტადიონზე, საფრანგეთის ჩემპიონატში „ლიონთან" მან კი არა, სხვამ წაგო — პარასკევისა და სამშაბათის „მარსელის" შედარებაც არ შეიძლებოდა.

გოლი ასე გავიდა: შეხვედრის გმირმა სტეფან დალმამ შეტევა ნახევარდაცვიდან წამოიწყო და პასი გალასს გადააწოდა. გალასი მცველებს დაუსხლტა, საჯარიმოში შეიჭრა და მარკ ბოსნიჩის კარი დალაშქრა.

„გალასი ქებას იმსახურებს. მან დიდებული გოლი გაგვიტანა. კიდევ კარგი დანარჩენი დროის განმავლობაში თავდაცვით იყო დაკავებული. მომენტები მთელი 90 წუთის მანძილზე თითოოროლა შეიქმნა და მგონი, შეხვედრა 0:0 დამთავრდებოდა" — თქვა მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

როლან კურბისი, „მარსელის" მწვრთნელი: „თუ მეტოქის კლასს გავითვალისწინებთ, დღეს დიდებულად ვითამაშეთ, მაგრამ ამოსუნთქვის უფლება არ გვაქვს. შემდგომ შეხვედრაშიც ასევე უნდა ვიმოქმედოთ. თანაც ეს ტაქტიკური გამარჯვება გახლდათ. თამაშის სადავეები გეგმის თანახმად გვეპყრა ხელთ".

მარსელი — მანჩესტერი 1:0. მატჩის გმირი უილიამ გალასი (მარცხნივ) დენის ირვინსა და პოლ სქოულზს გაურბის

REUTERS მარსელიდან

შტურმი 1:0 კროაცია

1:0 კოციანი (40)

შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მაელიხი, შუპი, ვასტიჩი, კორსოში, პრილასნიგი, მარტენსი (შტრაფნერი 89), ფელდჰოფერი, შოპი, კოციანი (რაინმაიერი 81)

კროაცია: ლადიჩი (ბუტინა 12), იურიჩი, პროსინეჩკი, მუიჩინი, რუკავინა, სარიჩი, ი. სიმიჩი (მიკიჩი 46), ტომაში (ცვიტანოვიჩი 46), ბისკანი, იურჩიჩი, შოკოტა

მსაჯი: ა. ჰამერი (ლუქსემბურგი)

ტომისლავ კოციანმა ავსტრიული აუტსაიდერის, გრაცის „შტურმის" პირველი გოლი გაიტანა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში — მასპინძლებმა ზაგრების „კროაციას" მოუგეს.

ხორვატული გუნდისთვის დამარცხება იმას ნიშნავდა, რომ პირველ-მეორე ადგილებისთვის ბრძოლაში იგი მარსელის „ოლიმპიკსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" კონკურენციას ვერ გაუწევს.

„შტურმის" გამარჯვებას უმეტესობა არ ელოდა, მაგრამ თავად მოთამაშეებმა მათი გუნდისთვის საიუბილეო, მე-10 სალიგო შეხვედრაში ზეიმი მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი მოგება ავსტრიული გუნდისა 1994 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც „ზალცბურგმა" ათენის აეკ-ს სძლია.

„იმედი მაქვს, რომ ამ გამარჯვებით ნავსი გავტეხეთ და დარჩენილ მატჩებს უფრო ლაღად ჩავატარებთ" — განაცხადა გამარჯვებით კმაყოფილმა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა — „დღეს მოწინააღმდეგეს ვაჯობეთ. ეჭვი არასდროს მეპარებოდა, რომ არც ისეთი სუსტები ვართ, როგორც სტატისტიკურ მონაცემებში ჩახედვის დროს ჩანს".

კოციანის გოლი გუნდისთვის უშედეგო 309 წუთის შემდეგ გავიდა, ანუ „კროაციასთან" შეხვედრის მე-40 წუთზე. ბოლო 10 წუთში „კროაციამ" ინიციატივა მთლიანად იგდო ხელთ, მაგრამ სარგებელი ვერ გამონახა.

27 ოქტომბერი, V ტური. კროაცია — მანჩესტერი, შტურმი — მარსელი

	D ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	მარსელი		1:0	2.XI	2:0	6:3	9
2	მანჩესტერი	2:1		0:0	2.XI	5:2	7
3	კროაცია	1:2	27.X		3:0	4:3	4
4	შტურმი	27.X	0:3	1:0		1:8	3



სიდნეი 2000

სარბიელში — კვირაგამოშვებით

ახლოვდება სიდნეის ოლიმპიური თამაშები. ჩვენი ათლეტები, ცხადია, მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმისთვის ემზადებიან. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და სპორტული ფედერაციები მაქსიმალურად ხელს უწყობენ ჩვენი ნაკრები გუნდების წევრებს ოლიმპიადისთვის სრულფასოვნად მომზადებაში.

დღეიდან სპორტის გულშემატკივრებს „სარბიელის“ მეშვეობითაც მიეცემათ საშუალება ყურადღებით მიადევნონ თვალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას, გაეცნონ მის ლიცენზიანტებს, ისტორიასა თუ სხვა ამბებს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ რედაქციას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჯანსუღ ბაგრატიონი**

ნუ ვიოცნებებთ ოქრო-ვერცხლის ცვენაზე

სხვათა შორის, სასწორი ისევ სოფელშია

სიდნეში ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ეოკ-თა წარმომადგენლეთა სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელსაც ინტერვიუ ჩამოვართვით



ემზარ ზენაიშვილი

ᲡᲔᲘᲡᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— **რᲝᲒᲝᲠᲪ** წესი, ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე მასპინძელ ქალაქში იმართება შეხვედრა-სემინარი, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტი ატარებს, რათა ეოკ-ებს გააცნოს, თუ როგორ მიმდინარეობს საოლიმპიადო სამზადისი — გვიამბობს ემზარ ზენაიშვილი. — ამ 4-დღიან სემინარს ესწრებოდნენ ხუთივე კონტინენტის ეოკ-ების პრეზიდენტები, გენერალური მდივნები ან მისიის ხელმძღვანელები. პროგრამის ერთი დღე მთლიანად დაეთმო ოლიმპიური სოფლისა და იმ სპორტული ბაზების დათვალიერებას, რომლებზეც გაისად სექტემბერში ჩატარდება შეჯიბრებები. ამ სემინარის მთავარი მიზანი იყო ყველა ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებისთვის თამაშების ჩატარების ორგანიზაციასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მიწოდება, საორგანიზაციო კომიტეტს კი უნდა მოესმინა ეოკ-თა მოსაზრებანი, მათი სურვილები, პრობლემები თამაშების ორგანიზაციული თვალსაზრისით უკეთ მოწყობის მიზნით. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ წმინდა ინფორმაციული შეხვედრა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ყველა სამსახურთან — აკრედიტაციების, საცხოვრებელი, ოლიმპიური სოფლის, სპორტული ბაზების, დახვედრა-გაცილების, ტრანსპორტის, ახალგაზრდული ბანაკის და სხვა სამსახურების წარმომადგენლებთან.

— როგორ ემზადება სიდნეი ოლიმპიადისთვის, რა მდგომარეობაშია სპორტული ბაზები?

— ჯერ კიდევ 1993 წელს, როდესაც სიდნეიმ 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო. მას სათანადო დონის სპორტული ბაზებისა და არენების ინფრასტრუქტურა უკვე გააჩნდა. ამ მხრივ პრობლემა ნამდვილად არ არის. ფაქტობრივად, სიდნეი დღესაც მზადაა ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. უკვე აშენდა და მზადაა სიდნეის 110-ათასიანი ოლიმპიური სტადიონი. ფაქტობრივად, დარჩენილია 3-4 სპორტული ბაზა, რომლებიც მშენებლობის სტადიაშია და მათი დასრულება წლის ბოლოს და საგაისოდ გაზაფხულზეა გათვალისწინებული.

ოლიმპიური სოფელი განლაგებული იქნება ოლიმპიურ პარკსა და ცენტრალური სტადიონის მახლობლად. იგი ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია. ვარაუდობენ, რომ იგი ყველა თავისი აუცილებელი ატრიბუტით გაისად მაისში დასრულდება.

მასპინძლები ირწმუნებიან, რომ ოლიმპიური სოფელი უნდა იყოს და იქნება კიდეც იმაზე უკეთესი, ვიდრე ეს ატლანტაში იყო.

სხვათა შორის, სოკ-ის 1993 წლის მონტე კარლოს სესიაზე, სადაც სიდნეიმ მასპინძლობის უფლება მოიპოვა, სიდნეელთა დევიზი იყო: „ოლიმპიური თამაშები სპორტსმენებისთვის“. მასპინძლებს მიაჩნიათ, რომ ამ დევიზის გამართლება ბევრად იქნება დამოკიდებული ოლიმპიური სოფლის ფუნქციონირებაზე. მართალია, მასპინძლები იდეალურ ოლიმპიურ სოფელს შეგვპირდნენ, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ რაღაც პრობლემები იქნება.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ყველა სპორტსმენს ერთნაირი საცხოვრებელი პირობები არ ექნება. ჩაიდგმება სამი წყება საცხოვრებელი კორპუსებისა, რომელთაგანაც ერთ-ერთი დროებითი კოტეჯებია, რომლებშიც ცხოვრება საკმაოდ მოუხერხებელი იქნება.

ვთხოვეთ საორგანიზაციო კომიტეტს, რომ საქართველოს დელეგაცია, მისი რაოდენობიდან გამომდინარე, დაბინაონ იმ 2-3 სართულიან კორპუსებში, სადაც შედარებით ნორმალური პირობებია და რომლებიც თამაშების დამთავრების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაზე გაიყიდება.

ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე იკრძალება თამბაქოს მოწევა. რამდენად შესრულდება ეს მოთხოვნა, სხვა საკითხია.

ოლიმპიურ სოფელში დღე-ღამის განმავლობაში 500 პოლიციელი დაიცავს სპორტსმენთა უსაფრთხოებას. გარე სამყაროსთან კავშირის განხორციელებისთვის მობილიზებული იქნება 470 ავტობუსი. იმუშავებს 4500-ადგილიანი რესტორანი, რომელშიც მენიუს განახლებას ყოველდღიურად გვპირდებიან. სოფელში იქნება სამედიცინო, გართობის, დასვენებისა და სხვა ცენტრები.

— ამბობთ, ოლიმპიურ სოფელში პრობლემები იქნებაო. მაშ როგორია აპირებენ სიდნეელები ატლანტაზე უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნას?

— ოლიმპიური თამაშები ისეთი სპორტული ღონისძიებაა, რომ პატარ-პატარა პრობლემები ყველგან შეიძლება იყოს. ნინო სალუქვაძის აზრით, რომლისთვისაც სიდნეი მეოთხე ოლიმპიადა იქნება, ყველაზე კარგი პირობები სეულში იყო. თუ ერთმანეთს ზამთარზაფხულის ოლიმპიადებს შევადარებთ, მაშინ ოლიმპიური სოფლის პირობების მიხედვით ნაგანო ყველას სჯობდა. პრობლემები, რა თქმა უნდა, იყო ატლანტაშიც. ამიტომ სიდნეელები გადაჭრით ირწმუნებიან, რომ ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებს შემოგთავაზებთო. თუ როგორ და რანაირად, ამას თავად მასპინძლები უკეთ უწყიან.

— ოლიმპიური სოფლის გარდა კიდევ სადაა მოსალოდნელი გარკვეული პრობლემები?

— როგორც ყველა ოლიმპიადაზე, სიდნეიშიც შეიძლება შეიქმნას ტრანსპორტირების პრობლემა. ანალოგიური პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა ატლანტაშიც და ნაგანოშიც. თითქმის ყველა ის სპორტული ნაგებობა, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა უნდა იასპარეზონ, ქალაქის ცენტრშია განლაგებული. გარდა ამისა, თვითონ სიდნეიში ვიწრო ქუჩებია და სავსებით შესაძლებელია საცობების შექმნა. ოლიმპიური სოფელი ქალაქიდან 25 წუთის სავალზეა და აქედან გამომდინარე, იქმნება შეჯიბრებებზე დაგვიანების საშიშროებაც, თუმცა, გვპირდებიან, რომ იმუშავებს სპეციალური სატრანსპორტო ხაზები. ამას გარდა, ამ თამაშებისთვის დაახლოებით 3700 ავტობუსი იქნება მობილიზებული.

— ჟურნალისტებს როგორი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები ექნებათ?

— საკმაოდ კარგი! უახლესი ტექნიკური აღჭურვილობის მთავარი პრესცენტრი ოლიმპიურ პარკთან იქნება. გარდა ამისა, ჟურნალისტებისთვის სპეციალური საცხოვრებელი შენდება. სიდნეიში დაახლოებით 5 ათასამდე პრესის მუშაკი იმუშავებს. ეგაა, რომ ოლიმპიადაზე დასწრება საკმაოდ ძვირი სიამოვნება იქნება და იგი ჟურნალისტს ან იმ ორგანოს ჯიბეს, რომლებიც თამაშების გასაშუქებლად აგზავნიან თავის წარმომადგენელს, ძალზე შეათხელებს.

— ჩვენი დელეგაციის ატაშე სიდნეიში, ამჟამად იქ მცხოვრები ვიქტორ სანეევი თუ აპირებს უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოსვლას?

— სანეევი, როგორც ოლიმპიური ატაშე, ძალზე აქტიურად საქმიანობს. იგი ენთუზიაზმით ხვდება ყველა ჩვენს წინადადებას და აქტიურადაც თანამშრომლობს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან. ასე რომ, ბატონი ვიქტორი იქნება დელეგაციასთან ერთად და ვფიქრობ, რომ მისი იქ ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი სპორტსმენებისთვის.

— ატლანტის მსგავსად, სიდნეიშიც იქნება ქართული სახლი?

— სამწუხაროდ, არ იქნება და ამას ბევრი მიზეზი აქვს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფინანსური. ატლანტაში ქართული სახლის ფუნქციონირება განაპირობა ჩვენი ამერიკელი მეგობრების აქტიურმა მხარდაჭერამ, იმან რომ ატლანტა საქართველოსთან დაძმობილებული ქალაქია და ა.შ. გვინდოდა ეს ტრადიცია სიდნეიშიც გაგვეგრძელებინა, მაგრამ იქ არც ამის ინფრასტრუქტურაა და არც გამოჩნდნენ ის ადამიანები, ვინც ამ საქმეში დაგვეხმარებოდნენ, მარტო სეოკ-ს კი, სამწუხაროდ, ამის ფინანსური საშუალება არა აქვს.

— ჩვენი დელეგაციის ეკიპირების მხრივ როგორ იქნება საქმე?

— რა თქმა უნდა, ოლიმპიადაზე ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკიპირებას. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და ქართული დელეგაცია, ალბათ, ცნობილი იაპონური ფირმა „მიზუნოს“ სპორტული ნაწარმით შეიმოსება, თუმცალა პარალელურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას „რიბოკთან“. ვნახოთ, რომელი უკეთეს ვარიანტს შემოგვთავაზებს და რომელი იქნება უფრო მისაღები.

— როგორ ფიქრობთ, „მიზუნოს“ ან „რიბოკს“ რეალურად რამდენ სპორტსმენზე დასჭირდება სპორტული ფორმის დამზადება?

— თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა მოგვთხოვეს საკმაოდ დამაჯერებლად დაგვესახელებინა სავარაუდო ციფრი, თუ რამდენი კაცი იცხოვრებდა ოლიმპიურ სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ჩვენი იმედები არ მართლდება, მაინც ვფიქრობთ, რომ სიდნეიში 28-32 ქართველი სპორტსმენი მაინც იასპარეზებს და ოლიმპიურ სოფელშიც, ალბათ, 60 კაცამდე აკრედიტებული პირი გვეყოლება.

— ოლიმპიადაზე ყველაზე მეტად ვისი გეიმედებათ?

— როგორ გითხრათ. მე მეიმედება ყველა იმ სპორტსმენის, ვინც ლიცენზიას მოიპოვებს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მედლების მოპოვებას სჭირდება სულ სხვა განწყობა, სხვა მომზადება, სხვა ფსიქოლოგიური მზადყოფნა და ა.შ. ვფიქრობ, თუ ამ ერთ წელიწადში მაინც სახელმწიფომ მეტი ყურადღება გამოიჩინა და მზადება გეგმაზომიერად ჩატარდა, ქართველმა სპორტსმენებმა ყველა ხარისხის თითო მედალი მაინც უნდა მოიპოვონ.

— ოლიმპიური მედალოსნებისთვის თუ დაწესდება ფულადი პრემიები?

— ფულადი პრემიების დაწესება ქვეყნის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული, თუმცა ვფიქრობ, რომ ატლანტაზე მეტი თუ არა, ნაკლები საპრიზო ფონდი ნამდვილად არ იქნება. სამწუხარო ისაა, რომ სიდნეიში ოქრო-ვერცხლის ცვენა არ გვექნება.

— როგორ ფიქრობთ, სეოკ-ის დევიზს „უკეთ, ვიდრე ატლანტაში“ გაამართლებთ?

— ამის გამართლება პირველ რიგში სპორტსმენსა და მის მწვრთნელზეა დამოკიდებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი წარმატების მისაღწევად ყველაფერს გაიღებენ. ვფიქრობ, რომ დევიზი „უკეთ, ვიდრე ატლანტაში“ უნდა გამართლდეს.

— ალბათ, იმის იმედიც უნდა გვქონდეს, რომ ისეთი ლაფსუსები, როგორიც ატლანტაში იყო, დავით ხალეიშვილის ამბავს ვგულისხმობ, აღარ განმეორდება.

— ადამიანი ხომ შეცდომებზე სწავლობს, ამასთან შემთხვევითობისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ისე, სხვათა შორის, ძიუდოისტების აწონვა კვლავ ოლიმპიურ სოფელში იქნება!

— და ბოლოს, სახელმწიფოსგან თუ გრძნობთ ფინანსურ მხარდაჭერას?

— სამწუხაროდ, ძალიან ცოტას. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ თუ გაისადაც იგივე ტემპით გაგრძელდა მიზნობრივი დაფინანსება, როგორც წელსაა, სიდნეიში შეიძლება ატლანტაზე უარესი შედეგები გვქონდეს და სასწაულს ნურავინ ელოდება, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებით გამოსვლა საკმაოდ ბევრ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვითხოვთ მინიმუმს იმასთან შედარებით, რაც რეალურადაა საჭირო. ისეთი მდგომარეობით, როგორშიც დღესდღეობით ვიმყოფებით, წარმატების მიღწევა ძალზე გაგვიჭირდება.

აქვე ვიტყვი, რომ წელს პირველად სეოკ-ს მიზნობრივად გამოეყო 350 ათასი ლარი. არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ ამ თანხის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არავითარი პრობლემა არ ჰქონია არც ფინანსთა სამინისტროსთან და არც ხაზინასთან. ასე რომ, ამ სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ის, რომ თანხა მინიმალურია, ეს უკვე სხვა საკითხია.

ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ბურუსი ჩვენს კორტებზე

საქართველოში ჩოგბურთი თავის საუკეთესო დღეებს არ ითვლის, აქედან გამომდინარე საკმაოდ ბუნდოვანია იმის პერსპექტივა, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვა თუ არა რომელიმე ჩვენი ჩოგბურთელი. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი.

ირაკლი ლაბაძე

ავთანდილ ბურასაშვილის ფოტო

„სამწუხაროდ, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შანსი დღეისთვის არცერთ ქართველ ჩოგბურთელს არა აქვს. ასეთი შესაძლებლობა ეძლევა იმ ჩოგბურთელს, ვინც სარეიტინგო ცხრილის პირველ ასეულში ან მის მისადგომებთანაა. სამწუხაროდ, ვერცერთი ქართველი ჩოგბურთელი ახლოსაც ვერ მიდის ამ ორიენტირთან. სიდნეში გამგზავრების ყველაზე რეალური შანსი აქვს ირაკლი ლაბაძეს, რომელმაც საკმაოდ კარგად ითამაშა უკანასკნელ რამდენიმე ტურნირზე, მათ შორის დიდ სლემზეც. ირაკლი უმეტეს წილად ჯერჯერობით მხოლოდ იუნიორთა შორის ასპარეზობს, მაგრამ მას აშკარად ძალუძს წარმატებით გამოვიდეს დიდ შეჯიბრებებზე. ამას კი თავად ჩოგბურთელის მონდომება და ფინანსური მხარე განსაზღვრავს. პირველი ლაბაძეს ნამდვილად არ აკლია, აი, მეორეს მხრივ კი გარკვეულ დისკომფორტს, თუ გნებავთ ნაკლებობას განიცდის. ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ რახან ლაბაძე უცხოეთში იმყოფება, მას არანაირი პრობლემა არ უნდა შეექმნას ამ საკითხთან დაკავშირებით. კი, არის რამდენიმე ადამიანი, რომელიც არის დაინტერესებული ირაკლით, მაგრამ რაიმე სერიოზულზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

რაც შეეხება ქალთა ჩოგბურთს, აქ სიტუაცია უფრო პრობლემატურია. დღეისთვის არცერთ ქართველ ჩოგბურთელს არ გააჩნია შანსი ოლიმპიურ ტურნირზე გამოსვლისა. მათ ხელს არ უწყობს მათი ამჟამინდელი სარეიტინგო ადგილი, რომლის გაუმჯობესებისთვის საჭიროა უკეთესი სავარჯიშო პირობები. მართალია, ყველანაირად ხელს ვუწყობთ ჩვენს მოთამაშეებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თუმცა იმედს არ ვკარგავთ და ვფიქრობთ, რომ მაკა ჩახნაშვილი, ნინო ესებუა და ნინო ლუარსაბიშვილი ჯერ კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას. სამივეს ხომ ძალზე უყვარს ჩოგბურთი, რომელიც მათი ცხოვრების უმთავრესი შემადგენელი ნაწილია“.

ბევრ სიდნეელს ოლიმპიადა არ ეჭაშნიკება

თბილისში გამართული „ქართუ-თბილისის“ ქალთა საჩოგბურთო ტურნირს მრავალი იმედისმომცემი სპორტსმენი ესტუმრა. მათგან უთუოდ გამოირჩეოდა ავსტრალიელი ევი დომინიკოვიჩი, რომელიც მართალია მეორე წრეში ტურნირის ყველაზე ხანგრძლივ შეხვედრაში დამარცხდა რუს გოლოვიზნინასთან, მაგრამ რომ არა მეორე სეტში მიღებული ტრავმა, გერმანელი ჯულია აბეს მონინააღმდეგე ფინალურ შეხვედრაში ალბათ იგი იქნებოდა. ახლა სწორედ ამ ავსტრალიელ ჩოგბურთელს ვესაუბრებით.

— გაისად სიდნეიში ალბათ მთელი საჩოგბურთო ელიტა გამოვა. რამდენად რეალურია თქვენთვის ამ თამაშებში მონაწილეობა?

— ყველაფერი ისევ და ისევ ჩემზე იქნება დამოკიდებული. სამწუხაროდ, ამ მომენტისთვის საკმაოდ არასახარბიელო სარეიტინგო პოზიცია მიკავია, რაც ფაქტობრივად მხოლოდ „ჩელენჯერებისა“ და „მეიჯორების“ კვალიფიკაციაში თამაშის უფლებას მაძლევს. ყველაფერი გაირკვევა გერმანიაში, სადაც სამედიცინო შემოწმებას გავივლი. დადებითი პასუხის შემთხვევაში წლის ბოლომდე კიდევ სამ-ოთხ შეჯიბრში გამოვალ და იქ წარმატების შემთხვევაში პირველ ასეულს მივუახლოვდები, მომავალ წელს კი, ვიმედოვნებ, რომ სეზონის პირველ ორ-სამ „მეიჯორზე“, რომელიც ავსტრალიაში გაიმართება, ორგანიზატორები დამდებენ პატივს და „ვაილდ-კარდით“ საშუალებას მომცემენ კვალიფიკაციის გავლის გარეშე ჩავერთო ძირითად ბადეში. ამის შემდეგ მოდის ავსტრალიის ღია პირველობა, სადაც დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რომ მივიღებ ძირითად ბადეში თამაშის უფლებას. ჩემთვის, როგორც ნებისმიერი სხვა სპორტსმენისთვის, ძალზე დიდი პატივი იქნება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

— ვინ მიგაჩნიათ ოლიმპიადაზე გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატებად?

— გააჩნია, თუ რა საფარს აირჩევენ ტურნირის ორგანიზატორები. თუ შეჯიბრი ბალახზე გაიმართება, გამარჯვების ყველაზე რეალურ პრეტენდენტებად მიმაჩნია პიტ სამპრასი, რიჰარდ კრაიჩეკი და გარკვეულ წილად რაფტერ-ფილიპუსისა. რა თქმა უნდა, ისინი ფავორიტებად მესახებიან, თუ იასპარეზებენ სიდნეიში. ასევე შესანიშნავი შანსები ექნება ბევრისთვის ალბათ უცნობ მოთამაშეს უეინ არტურსს, რომელმაც დევისის თასზე თვით კაფელნიკოვი დაამარცხა. ქალთა შორის კი ალბათ ჩემპიონობის კანდიდატები იქნებიან დები უილიამსები, ჰინგისი, დევენპორტი და მორესმო. მათ უნდა მივთვალოთ, ალბათ, ჯენიფერ კაპრიატი და მონიკა სელეში.

— რომელიმე თქვენს მიერ დასახელებულ სპორტსმენს თუ შეხვედრიხართ „მეიჯორზე“ ან „დიდ სლემზე“?

— წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე შევხვდი კაპრიატის. ამერიკელმა სამ სეტში მომიგო 11:9 გადამწყვეტში.

— გრძნობთ თუ არა სიდნეელები ოლიმპიური თამაშების მოახლოებას?

— სიმართლე ითქვას, სიდნეი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. თამაშების მოახლოება ჯერჯერობით არ იგრძნობა. ისე, სიმართლე გითხრათ, ბევრი სიდნეელი დღესაც წინააღმდეგია ქალაქში ოლიმპიური თამაშების ჩატარებისა.

ძახა ბერიძე

განცხადება

გაისად სექტემბერში, სიდნეიში ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას იმუშავებს ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი. საქართველოდან ბანაკში შეიძლება გაიგზავნოს ერთი გოგონა და ერთი ჭაბუკი, რომლებიც გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებენ კერძოდ, უნდა იყვნენ 16-18 წლისანი და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

ბანაკში მოხვედრის მსურველები დაწვრილებით ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდნენ სეოკ-ის ოფისში ამა წლის 15 ნოემბრამდე.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №65. ტელ: 95-20-79

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

რუბრიკით „ისინი იასპარეზებენ სიდნეიში“ თქვენ გაეცნობით იმ სპორტსმენთა ვინაობას, რომლებმაც უკვე მოიპოვეს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება. დღეისთვის ლიცენზიანტები არიან:

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) 2. ნანა ნებიერიძე (წყალში ხტომა) 3. ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) 4. ხათუნა ფუტკარაძე (მშვილდოსნობა) 5. რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა) 6. ვლადიმერ ჭანტურია (კრივი) 7. გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) 8. ნესტონ ხერგიანი (ძიუდო) 9. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) 10. ემზარ ბედინეიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) 11. ტარიელ მელელაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) 12. გიორგი ცერცვაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) 13. გენადი ჩხაიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) 14. ილია გიორგაძე (ტანვარჯიში)

შენიშვნა: ნინო სალუქვაძის მიერ ნაჩვენები შედეგები საშუალებას იძლევა საქართველოს ჰყავდეს მეორე წარმომადგენელი სპორტის ამ სახეობაში.

ნინო სალუქვაძე

ავთანდილ ბურასაშვილის ფოტო

დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს. არის მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში პნევმატური და სპორტული პისტოლეტით სროლაში (1986-97) ევროპის 14-გზის ჩემპიონი, ხუთჯერ ფლობდა მსოფლიოს სუპერ თასს, დაამყარა ოცამდე მსოფლიოს რეკორდი, არის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი (1988), 1999 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელი. ნინო სალუქვაძისთვის ეს იქნება მეოთხე ოლიმპიადა და იგი ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდება ვიქტორ სანეევსა და კობა წაქაძეს.

ჰყავს მეულლე და ქალ-ვაჟი.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს:

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. მამაჩემი — ვახტანგ სალუქვაძე, რომელიც დღეს ჩემი პირადი მწვრთნელია, სპორტის ამ სახეობას მისდევდა და ამან განაპირობა ჩემი არჩევანი. დღეს რომ ტყვიის მსროლელი ვარ და ასე თუ ისე ნორმალურ შედეგებს ვაჩვენებ, ამაში ლომის წილი მამაჩემს მიუძღვის.

2. ჩემს სპორტულ კარიერაში საკმაოდ მჭონია კურიოზები, მაგრამ ამჟამად გამორჩეულად არცერთი არ მაგონდება.

3. პროგნოზები არასდროს მყვარებია. საერთოდ, ოლიმპიადაზე ყველა სპორტსმენი იმედიანად მიდის და, რა თქმა უნდა, სიდნეიში ამ განწყობით გავემგზავრები. ოლიმპიურ თამაშებზე წარმატების მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

კონკურსი

ოლიმპიური ვიქტორინა

გთავაზობთ გამოსცადოთ თქვენი თავი ოლიმპიურ „განსწავლულობაში“. გამარჯვებულს გადაეცემა სრული კომპლექტი იმ სპორტული ფორმისა, რითაც შეიმოსებიან ჩვენი ათლეტები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. მეორე ადგილზე გასული დაჯილდოვდება სეოკ-ის ემბლემიანი სუვენირების კომპლექტით; მომდევნო სამ ადგილზე გასულთ შესაბამისად გადაეცემათ: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გამოცემული ლიტერატურის კრებული; ჩვენი ოლიმპიელების მიერ ავტოგრაფებით დამშვენებული სპეციალური სუვენირები; სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე საქართველოს ოლიმპიელთა ავტოგრაფები.

ვიქტორინის კითხვები „სარბიელის“ ამ ნომრის გარდა გამოქვეყნდება „სიდნეი — ჩვენი ორიენტირი“-ს კიდევ სამ ნომერში. ყოველი სწორი პასუხი ფასდება ერთ ქულად. პირველი ადგილის მოსაპოვებლად აუცილებელია თითოეულ სერიაში სულ ცოტა, ოთხი ქულის მოპოვება, ე.ი. ხუთი შეკითხვიდან ოთხზე სწორი პასუხის გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პიროვნება ქულათა თანაბარი რაოდენობით დაიკავებს პირველ ადგილს, მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად გაიმართება ხუთკითხვიანი დამატებითი კონკურსი. ახლა კი ჩვენი კითხვებიც:

1. დაასახელეთ სპორტსმენი, რომელიც 1988 წელს ბულგარეთის, ხოლო 1992 წელს შვეიცარიის სახელით ასპარეზობდა სეულისა და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე. რა შედეგს მიაღწია ამ სპორტსმენმა?

2. რამდენი ოქროს მედალი და რა დისციპლინებში აქვს მოპოვებული ალბერტო ტომბას?

3. დაასახელეთ 1960 წელს რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ყველა ქართველი სპორტსმენი; აღნიშნეთ მათ მიერ ნაჩვენები შედეგები.

4. სად არის დასაფლავებული თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი?

5. რომელ სპორტის სახეობაში აქვს საქართველოს ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ყველაზე მეტი მედალი და რამდენი?

პასუხები 5 ნოემბრამდე გამოაგზავნეთ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის №65. ტელ: 95-20-79



საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

დღეიდან მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმ ქართველ სპორტსმენთა ვინაობას, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებზე.

1952 **წელი. ჰელსინკი**

დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — ოქრო

მედეა ჯუღელი (სპორტული ტანვარჯიში) — ოქრო, ვერცხლი

რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) — ოქრო

ოთარ ქორქია (კალათბურთი) — ვერცხლი

ლევან შანიძე (მძლეოსნობა) — ვერცხლი

ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (მძლეოსნობა) — ვერცხლი

ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა) — ბრინჯაო

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან მონაწილეობდა 14 სპორტსმენი.

ტელე-რადიო კომპანიები პირველობისთვის იბრძვიან

რამდენიმე დღის წინ სიდნეიში გაიმართა შეხვედრა ტელე-რადიო კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც დაახლოებით 250 ტელევიზიის, რადიოსა და სხვადასხვა ქვეყნის საagენტოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიზანი ერთი გახლდათ: მოეპოვებინათ ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება. შეხვედრას ეწრებოდნენ: NBC (აშშ), BBC (ინგლისი), RAL (იტალია), TVE (ესპანეთი), ARD-ZDF (გერმანია) და ა.შ.

შეხვედრის მეორე დღეს მათ მოინახულეს ოლიმპიური პარკი, ოლიმპიური სტადიონი და სხვ.

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ბარსელონა 2:4. ტონი ადამსის ამ ვარდნას მეთოფეთა კარში პენალტი და პირველი გოლი მოჰყვა. მარჯვნივ „შესანიშნავი ხუთეულის“ კიდევ ერთი წევრი მარტინ კიოუნი

«შესანიშნავ ხუთეულს» წყალი შეუდგა

თითქმის ათი წელიწადია, „არსენალში“ თამაშობენ მეკარე დევიდ სიმენი (425 მატჩი), ლი დიქსონი (521), ნაიჯელ უინტერბერნი (553), მარტინ კიოუნი (303) და კაპიტანი ტონი ადამსი (595). ამათ „შესანიშნავ ხუთეულსაც“ უწოდებენ, მაგრამ „ბარსელონასთან“ სამშაბათს სალიგო მატჩში მარცხმა (2:4), შესაძლოა, მათი ეპოქა დაასრულოს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისში უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ, დროა ესენი ახალგაზრდებმა შეცვალონო. საინტერესოა, რომ ლონდონურ კლუბში არსენ ვენგერის მისვლის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში „არსენალმა“ პირველად გაუშვა ოთხი გოლი. ევროთასებზე კი ასეთი რამ 17 წელია, არ მოსვლოდათ, მას აქეთ, რაც 1982 წელს უეფას თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკთან“ 2:5 წააგეს.

და ვის დააბრალეს „ბარსასთან“ წაგება? რა თქმა უნდა, „შესანიშნავ ხუთეულს“. დიპლომატი ვენგერი მატჩის შემდეგ უფრო ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და თქვა, წაგება ყველა ფეხბურთელის ბრალიაო, მაგრამ ცხადია, რომ „არსენალის“ დაცვის ხაზში მალე ცვლილებები მოხდება. ინგლისელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამსის ადგილს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მეტიუ აპსონი დაიკავებს. შემცვლელებს მოუძებნიან დანარჩენებსაც.

რამდენიმე დღის წინ ინგლისის ეროვნული გუნდის მწვრთნელს კევინ კიგანს შოტლანდიელებთან ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში ამ ხუთეულის გამოძახებას ურჩევდნენ, მაგრამ დღეს საეჭვოა, ვინმეს მათი იმედი ჰქონდეს. ასეა, ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული...

ფრთხილად, მსაჯებო!

ინგლისელები მსაჯთა დასჯის ახალ ფორმებს გვთავაზობენ

„ასტონ ვილას“ მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ ინგლისელი მსაჯების წინააღმდეგ გაილაშქრა. პრემიერლიგის მომსახურე არბიტრებს გრეგორიმ „შავი ლაქა“ უწოდა. მან განაცხადა: „პირადად მე ვთვლი, რომ მინდორზე გასვლამდე მსაჯებს ერთ ადგილას (რის სახელსაც აქ ვერ ვიტყვით) ორი მავთული უნდა მივუერთოთ და სამი შეცდომის დაშვების უფლება მივცეთ. მეოთხედაც რომ შეცდებიან, 50 ათას ვოლტს გავუტარებთ.“

თუმცა „ასტონ ვილას“ ნოვატორმა მწვრთნელმა იქვე გაიფიქრა, რამე ზედმეტი ხომ არ ვთქვიო და სასწრაფოდ დაუმატა, ჩემი ნათქვამი პირდაპირ არ გაიგოთო. რატომაც არა, ამგვარი წესი რომ შემოიღონ, არც ერთი არბიტრი შეცდომას აღარ დაუშვებს. თუნდაც იმ მიზეზით, მსაჯს ქუდიც რომ შეუგდო, მის გამოსატანად მინდორზე არ გავა.

ისე, გრეგორისაც არ გაემტყუნება. წინა ტურში, როდესაც მისი გუნდი „სანდერლენდს“ ხვდებოდა, მსაჯმა „ვილას“ კარში მეტად საეჭვო პენალტი დანიშნა. გრეგორის ბიჭებმა ამის გამო თამაში წააგეს და სამი ქულაც „სანდერლენდს“ გადაულოცეს.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამაც რა ქნას, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ლაპარაკს ხომ ვერ აუკრძალავს. ამ საწყლებს თავისი გაჭირვებაც ეყოფათ, მატჩის დროს მსაჯის ნებისმიერ გადაწყვეტილებას რომ უნდა დაემორჩილონ. ჰოდა, ფედერაციამ მწვრთნელებს და მათ შეგირდებს სთხოვა, კრიტიკას არ გიშლით, მაგრამ იქნებ ცოტა მოზომილი გამოთქმები იხმაროთო.

ამის შემდეგ გრეგორიმ უფრო ზრდილობიანად განაცხადა: „ვგრძნობ, ჩემი კოლეგებიც მხარს მიჭერენ. არ ვაპირებ, მშვიდად ვიდგე და ვუყურო, როგორ ანადგურებენ მსაჯები ამ მშვენიერ თამაშს.“

აქამდე, ერთი თვის წინ, ფეხბურთის ფედერაციამ ენაკვიმატი მწვრთნელი 2 ათასი ფუნტით დააჯარიმა. მიზეზი ის გახდა, რომ „ასტონ ვილა“ — „ნიუკასლის“ შეხვედრის დროს ზემოხსენებულმა პიროვნებამ მსაჯს საჩოთირო რამეები უთხრა, აქაოდა ამდენი წითელ-ყვითელი ბარათი რა ამბავიაო. მსაჯებიც ხომ ადამიანები არიან. მოედანზე ბარათების ისეთი ფრიალი ატეხეს, ახალი რეკორდი დაამყარეს. გასულ კვირას ინგლისის და შოტლანდიის ჩემპიონატებში უხეში თამაშისთვის 27 ფეხბურთელი გააძევეს. არა გვგონია, ამდენი გაძევება მხოლოდ მსაჯების სიჯიუტის ბრალი იყოს. ცოტას, ალბათ, ფეხბურთელებიც სცოდავენ.

ბოლოს თავისი კაცური სიტყვა ჯანლუკა ვიალიმაც თქვა, გეყოფათ მსაჯებზე ამდენი ლაპარაკი, სჯობს, თამაშს მივხედოთო.

გიორგი დარჯანია



ჯონ გრეგორი

ფეხბურთის რუბასთან

უკრაინის ჩემპიონის, კიევის „დინამოს“ პრესატაშის ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი, ორშაბათს გულის მცირე შეტევით ჰოსპიტალში მოათავსეს. 60 წლის ლობანოვსკი კლინიკაში რამდენიმე დღეს გაატარებს. მთავარი მწვრთნელის არყოფნაში გუნდს მისი ასისტენტი, ალექსეი მიხაილიჩენკო გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ სწორედ ლობანოვსკიმ მოაპოვებინა კიევის „დინამოს“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი 1975 და 1986 წლებში, ხოლო გასულ სეზონში მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მოხვდა, სადაც იგი შემდგომი ასპარეზობიდან მიუნხენის „ბაიერნმა“ გამოთიშა.

ჰოლანდიის 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აზერბაიჯანელი თანატოლები 2:0 დაამარცხა და ფინალურ ტურნირზე ასპარეზობა დაიბევა. ჯგუფში მეორე ადგილზე ისრაელის ნაკრებია, ხოლო აშკარა აუტსაიდერი აზერბაიჯანის ჭაბუკთა გუნდი გახლავთ, რომელმაც ყველა მატჩი წააგო.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ვლადიკავკაზის „ალანია“ 10 ათასი რუსული რუბლით დააჯარიმა. მწვრთნელის, ვალერი გაზაევის მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო. სოჭის „ჟემჩუჟინას“ მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ანტიხოვიჩი კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. იგი სათასო შეხვედრის მატჩში ნალჩიკის „სპარტაკთან“ მოედნიდან გააძევეს.

უკრაინის ნაკრებისა და რუსეთის „ზენიტის“ ფეხბურთელი რომან მაქსიმიუკი შესაძლოა მალე კიევის „დინამოში“ ვიხილოთ. უკრაინული გუნდი ფეხბურთელის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს. ამჟამად მაქსიმიუკი ტრავმირებულია და კიევში მკურნალობს.

იტალიური „მილანის“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლივერ ბირჰოფმა უარყო ხმები მისი გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ. ბოროტი ენები ამბობდნენ, ბირჰოფი პრემიერლიგაში მიდისო. „იტალიაში უკვე რვა წელია, ვთამაშობ. ჩემი კონტრაქტი „მილანთან“ კიდევ სამ წელიწადს გრძელდება — თქვა 31 წლის ფეხბურთელმა — სავსებით მაკმაყოფილებს აქაური პირობები. ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბში ვთამაშობ. რაც შეეხება ჩემს ინგლისში წასვლას, უბრალოდ, გაუგებრობა მოხდა. ორი კვირის წინ ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა მკითხა, შენი თავის პრემიერლიგაში წარმოდგენა თუ შეგიძლიაო. მეც ვუპასუხე, რატომაც არა-მეთქი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წასვლა მსურს.“

ინგლისის „ასტონ ვილამ“ ორი კვირის ხელფასით დააჯარიმა თავისი თავდამსხმელი, სტენ კოლიმორი. მიზეზი მეტად მარტივია — ფეხბურთელი ვარჯიშზე არ გამოცხადდა. კოლიმორი სამი თვით „ფულემში“ ჰყავდათ განათხოვრებული და „ასტონ ვილას“ ერთი კვირის წინ დაუბრუნდა. თუმცა ამას დაბრუნება არ ჰქვია. „ის საერთოდ არ გამოჩენილა — განაცხადა გუნდის მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ — ანალოგიური პრობლემები კოლიმორს „ფულემშიც“ ჰქონდა და იქაც დაჯარიმეს. თუმცა ეს მისი პირადი საქმეა. მე გუნდის სხვა ფეხბურთელების თამაში უფრო მაინტერესებს.“ როგორც ჩანს, გრეგორის კოლიმორი აღარ სჭირდება. „ასტონ ვილა“ „ფულემთან“ აგრძელებს მოლაპარაკებას, რომელსაც ეტყობა, კოლიმორის კარგი თამაშის იმედი ჯერ არ დაუკარგავს. თავის დროზე კოლიმორი ინგლისის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო. 1995 წელს „ლივერპულმა“ მასში 8,5 მილიონი ფუნტი გადაიხადა, მაგრამ ფეხბურთელს ალბათ ვარსკვლავური სენი შეეყარა. იგი დეპრესიაში ჩავარდა, საზოგადოებრივი აზრი მის საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ყოველივე ამან თავისი დაღი დასვა კოლიმორის კარიერას.

ქურდმაც კი იცის, ვინ არის პელე

აღმოჩნდა, რომ ქურდებსაც ჰყვარებიათ ფეხბურთი. აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რაზეც ახლა მოგითხრობთ. ორი შეიარაღებული მძარცველი შუქნიშანზე მდგომ მანქანაში მსხდომთა გაძარცვას ლამობდა. ამ დროს შეამჩნიეს, რომ მანქანაში, რომლის წართმევასაც აპირებდნენ, ფეხბურთის მეფე, პელე იჯდა და გაოგნდნენ. მათ ეყოთ სინდისი, განზრახვაზე ხელი აიღეს და იქაურობას გაეცალნენ, თან დიდი ბოდიშიც მოიხადეს. ფეხბურთის მეფის პირადი მდივნის, ხოსე როდრიგესის ცნობით, პელე ამ ფაქტს ერთობ განუცვიფრებია და უთქვამს, რომ მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოზარდთა პრობლემას, რათა მათ ასე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და ხალხის ძარცვა არ უწევდეთ.

ისე, ანალოგიურ სიტუაციაში დაახლოებით ერთი წლის წინ ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიოც ჩავარდა. მას მანქანა ცხვირწინ აეცალეს, მაგრამ, პელესგან განსხვავებით, არც დაბრუნება უცდიათ და, მით უმეტეს, არც ბოდიშების მოხდით შეუწუხებიათ თავი.



პელე

სარგბილის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ზინედინ ზიდანი სოფიის აეროპორტში

ცვლილებები ბოსმანის წესში?!

ისევ ბოსმანი. რა ექნა ამ კაცს. დიდი ფეხბურთელი მისგან არ დადგა, არადა, თავის გამოჩენაც რომ სურდა? თუმცა თავად ბოსმანი ნაკლებად გვაღელვებს. ჩვენ ის საქმე გვაინტერესებს, მისი სახელი რომ ჰქვია.

ჰოდა, ევროკომისიას გადაუწყვეტია, წესის მიღებიდან 4 წელი გასულა და იქნებ შედეგები შევაჯამოთო.

ევროკავშირის განათლებისა და კულტურის საქმეთა კომისარმა ვივიან რედინგმა თქვა: „ბოსმანის წესი პატარა კლუბებისთვის არცთუ ღირებულია. ისინი ნაკლებად ინტერესდებიან იმედისმომცემი ფეხბურთელების აღზრდით. ეს კი შესაძლოა ძალიან საზიანო აღმოჩნდეს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაებას სპორტში. ცხადია, დამწყებმა ფეხბურთელებმა პატარა კლუბებში უნდა დაიწყონ თამაში. აქედან გამომდინარე, პატარა კლუბებს სტიმული უნდა მივცეთ".

აგაშენა ღმერთმა! ამდენი ხანია, ფიფა და უეფა იგივეს არ გაიძახიან? ევროკომისარმა ქალბატონმა იქვე განაცხადა, სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო. საუბარია წესზე სპორტსმენთა მიერ აკრძალული პრეპარატების გამოყენების შესახებ.

ზეპ ბლატერი კი გულთმისანიც ყოფილა. მან წინასწარ გამოიცნო, ევროკავშირი „ბოსმანის საქმის" ხელახალ გარჩევას რომ შეუდგებოდა.

აი, რა თქვა ფიფას პრეზიდენტმა ერთი თვის წინ: „დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებთ ტრანსფერებთან დაკავშირებულ საკითხებზე ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევას. კლუბები, რომლებიც კარგ ფეხბურთელებს აღზრდიან, არ უნდა დაზარალდნენ. ამაზე საბოლოოდ დეკემბერში, ტოკიოში დაგეგმილ შეხვედრაზე ვისაუბრებთ. თუმცა სხვადასხვა დონეზე უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ევროკავშირის წარმომადგენლებთან".

ამასობაში ევროკავშირის სასამართლომ ოქმი მიიღო და მხარი დაუჭირა იმას, რაზეც ზემოთ ვწერდით. თუმცა, ვივიან რედინგის განცხადებით, ამგვარი ოქმი კარგი კია, მაგრამ წესში ცვლილებების შესატანად არასაკმარისია.

რედინგის კომისია განაგრძობს „სპორტის შესახებ გეგმაზე" მუშაობას. აღნიშნულ გეგმას ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი დეკემბერში გასამართ სამიტზე წარუდგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს.

დაველოდოთ, აღდგომა და ხვალეო.

გიორგი დარჯანია

ლიდსი იმუქრება

UEFA CUP

უეფას თასის მეორე ეტაპი. I წრე

ჩემპიონთა ლიგის ციებ-ცხელებას ჯერ არ ჩაუვლია, რომ კარს უეფას თასის გათამაშება მოგვადგა. მართალია, ეს ტურნირი სიკაშკაშით ჩემპიონთა ლიგასთან ახლოსაც ვერ მოვა, მაგრამ არის იქ რამდენიმე ისეთი გუნდი, რომლებზედაც ღირს ყურადღების გამახვილება და ერთი-ორი საგაზეთო სვეტის დათმობა.

ერთ-ერთი მათგანი შარშანდელი ტურნირის ტრიუმფატორი, იტალიური „პარმაა", რომელსაც დღეს საშინაო შეხვედრა ელის შვედეთის „ჰელსინგბორგთან". ყველანაირი საფეხბურთო ლოგიკით იტალიელებს შვედური ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, რომ სეზონის დასაწყისში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ ნელ-ნელა შედიან ჩვეულ ფორმაში. ამაზე იტალიის სერია A-ს გასული ტურიც მეტყველებს. პარმელებმა სტუმრად 2:0 დაამარცხეს ფლორენციის „ფიორენტინა". თუმცა ახლა „პარმას" ორი წამყვანი ფეხბურთელი — ნახევარმცველი დინო ბაჯო და ბრაზილიელი ფორვარდი მარსიო ამოროზო არ ეყოლებათ. მათ შესაბამისად ბელგიელი ნახევარმცველი იოჰან ვალემი და მარკო დი ვაიო შეცვლიან.

მეორე იტალიური გუნდი, რომელიც უეფას თასისთვის იბრძვის, ტურინის „იუვენტუსია". იგი დღეს ბულგარეთში „ლევსკის" დაუპირისპირდება. „იუვემ" სერია A-ს გასულ ტურში სტუმრად მოუგო რომაულ „რომას" და წესით კარგ ემოციურ განწყობაზე უნდა იყოს. „ბებერი ქალბატონის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ალექს დელ პიერო ბულგარეთში არ წაიყვანა და ინძაგი-კოვაჩევიჩის დუეტით აპირებს ფონს გასვლას. ვნახოთ, როგორ შეძლებს...

ფაბიო კაპელოს „რომა" კი შვედეთში „გიოტებორგს" ესტუმრება და გამარჯვებით შეეცდება გულშემატკივრის თვალში იმიჯის ამაღლებას. „რომამ" იტალიის ჩემპიონატის წინა ტურში, შინ ოლიმპიურ სტადიონზე 0:1 დათმო შეხვედრა „იუვენტუსთან". გუნდის ბრაზილიელი მცველის, კაფუს თქმით, შვედეთში გამარჯვება მათ რომაული მარცხს დაავიწყებს.

შარშანდელი უეფას თასის ნახევარფინალისტი, კიდევ ერთი იტალიური კლუბი — „ბოლონია" ბრიუსელში ადგილობრივ „ანდერლეხტს" სტუმრობს. თუმცა ადვილი გასეირნება ნამდვილად არ ელის, რადგან თითქმის ნახევარი გუნდი აკლია. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ ჯანკარლო მაროკი და კამერუნელი მცველი პიერ ვომე. ტრავმები აწუხებთ ჯონათან ბინოტოსა და რუს ლეგიონერ იგორ კოლივანოვს, ხოლო შვედი კენეტ ანდერსონი გუნდის ოფიციალურ განაცხადში დროზე ვერ შეიყვანეს და ამიტომ მატჩს გამოტოვებს.

„ანდერლეხტის" მთავარ მწვრთნელ ემე ანტუენისს კი პოსტზე სკამი მორყევია და ახლა ყველანაირად შეეცდება ამ სიტუაციის გამოსწორებას.

ინგლისში ადგილობრივი „ლიდსი" რუსულ „ლოკომოტივს" უმასპინძლებს. ინგლისელთა მწვრთნელის, დევიდ ოლირის განცხადებით, მის გუნდს მშვენიერი შანსი აქვს, რომ უეფას თასი მოიპოვოს და ამისთვის ყველაფერს გაიღებს.

ფრანგული „ლიონისა" და შოტლანდიური „სელტიკის" შეხვედრაც არ იქნება უინტერესო. მასპინძელი „ლიონის" მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაკომბი მაყურებელს ლამაზ სანახაობას ჰპირდება.

კიდევ ერთი ფრანგული კლუბი — „მონაკო" პოლონეთში, გამართავს მატჩს — „ვიძევთან". „მონაკოს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება, მათ შორის ძირითადი მეკარე ფაბიენ ბარტეზიც, რომელსაც ტრავმა აქვს და მინიმუმ თვის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

ესპანურ მადრიდის „ატლეტიკოს" კი პოლონურ „ამიცასთან" მართლაც ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. იგი საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში ნამდვილ კრიზისს განიცდის და უეფას თასზე მაინც შეეცდება რეაბილიტაციას. გუნდს ტრავმირებული ფორვარდი კიკო ნარვაესი დააკლდება. სამაგიეროდ, მთელი იმედები ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკზეა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ძლიერად ასპარეზობს.

ქართველ გულშემატკივართათვის კიდევ ერთი წყვილია საინტერესო — შვეიცარიის „ციურიხი" ინგლისურ „ნიუკასლს" დაუპირისპირდება. ორივე გუნდში ხომ ქართველი ლეგიონერები ასპარეზობენ.

REUTERS ციურიხიდან

ციურიხელთა მეკარე მარკო პასკოლო გუშინდელი ვარჯიშისას

ვიზიტი სტადიონზე

გერმანია რომ მსოფლიოს 2006 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთი პრეტენდენტია, ეს კარგა ხანია, ცნობილია. ინგლისის, ბრაზილიის, მაროკოსა და სამხრეთ აფრიკის მსგავსად ეს ქვეყანაც აქტიურ აგიტაციას ეწევა, რათა ფიფა ამ საკითხში საბოლოოდ დაითანხმოს.

ერთობ სოლიდურმა დელეგაციამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ ოტო შილის, მიუნხენის მერ კრისტიან უდეს, ქალაქის ოლიმპიური სტადიონის მფლობელ ვილფრედ სპრონკისა და მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის შემადგენლობით ამ დღეებში მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი" მოინახულა, არენა მომავალი ჩემპიონატის მასპინძლობისათვის მზადყოფნაში შეამოწმა. ფოტოზეც სწორედ ეს ფაქტია აღბეჭდილი.

საბოლოო სიტყვა ფიფას ეკუთვნის.

REUTERS მიუნხენიდან

მარცხნიდან: ოტო შილი, კრისტიან უდე, ვილფრედ სპრონკი და ფრანც ბეკენბაუერი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს 21 ოქტომბერს «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს

უეფას თასი. II ეტაპი. I წრე

21 ოქტომბერი

520	ვერდერი (გერმანია) — ვიკინგი (ნორვეგია)	(1,05-7,5)	1,2	5,0	9,0
521	როდა (ჰოლანდია) — ვოლფსბურგი (გერმანია)	(3,1-1,25)	2,4	2,8	2,7
522	სტიაუა (რუმინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი)	(5,0-1,1)	2,5	2,9	2,5
523	მტკ (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი)	(4,0-1,15)	2,4	2,8	2,7
524	ლევსკი (ბულგარეთი) — იუვენტუსი (იტალია)	(15,0-1,01)	5,6	3,0	1,6
525	ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — აიაქსი (ჰოლანდია)	(7,5-1,05)	4,2	2,9	1,8
526	პარმა (იტალია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
527	ინტერი (სლოვაკეთი) — ნანტი (საფრანგეთი)	(7,5-1,05)	3,4	2,9	2,0
528	ციურიხი (შვეიცარია) — ნიუკასლი (ინგლისი)	(5,0-1,1)	2,6	2,9	2,4
529	გრაცერი (ავსტრია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	(2,5-1,35)	2,2	2,9	3,0
530	ატლეტიკო (ესპანეთი) — ამიცა (პოლონეთი)	(1,05-7,5)	1,2	5,0	9,0
531	ანდერლეხტი (ბელგია) — ბოლონია (იტალია)	(2,5-1,35)	2,4	2,8	2,7
532	ლიდსი (ინგლისი) — ლოკომოტივი (რუსეთი)	(1,15-4,0)	1,4	3,6	6,5
533	სლავია (ჩეხეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია)	(1,7-1,7)	1,8	2,9	4,2
534	პაოკ (საბერძნეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)	(3,5-1,2)	2,4	2,8	2,7
535	ვიძევი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი)	(7,5-1,05)	3,6	2,9	1,9
536	გიოტებორგი (შვედეთი) — რომა (იტალია)	(5,0-1,1)	3,3	2,8	2,1
537	ტეპლიცე (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი)	(7,5-1,05)	2,8	2,9	2,3
538	ლიონი (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია)	(1,35-2,5)	1,6	3,0	5,6

კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური

21 ოქტომბერი

807	ცსკა (რუსეთი) — შოლე (საფრანგეთი)	1,05	12,0	7,5
808	ციბონა (ხორვატია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი)	1,5	12,0	2,0
809	ოლიმპია (სლოვენია) — თოფაში (თურქეთი)	1,2	12,0	3,5
810	ვილერბანი (საფრანგეთი) — ვარეზე (იტალია)	1,5	12,0	2,0
811	მაკაბი (ისრაელი) — ულქერი (თურქეთი)	1,25	12,0	3,1
812	პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — რეალი (ესპანეთი)	1,15	12,0	4,0

ჰოკეი. NHL

21 ოქტომბერი

825	ოტავა — კოლორადო	1,8	4,4	2,2
826	სენტ ლუისი — ედმონტონი	1,7	4,4	2,4
827	ჩიკაგო — ანაჰაიმი	1,8	4,4	2,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ქალბატონი საუკუნის ოცეულიდან

ეს ინტერვიუ ქალბატონ ნანა ალექსანდრიას ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან უნდა დაგვეკავშირებინა, მაგრამ მიზეზთა გამო ცოტა შეგვაგვიანდა, თუმცა ვფიქრობთ, ქართული ჭადრაკის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელთან საუბარი მკითხველს ყოველთვის დააინტერესებს, მით უფრო, გუშინწინ ქალბატონი ნანა ფილარმონიაში გამართულ XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების, სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი რეფერენდუმის საზეიმო ცერემონიალზე, საუკუნის ოც საუკეთესო სპორტსმენ ქალთა შორის დასახელდა

ნანა ალექსანდრია

— ქალბატონო ნანა, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ პირველი ნაბიჯების და საერთოდ თქვენი საჭადრაკო კარიერის შესახებ.

— თამაში 4 წლისამ დავიწყე, 10-ის რომ გავხდი, უკვე სერიოზულად დავიწყე მეცადინეობა. სულ მალე თბილისის ჩემპიონი გავხდი და 1962 წელს საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში გავედი, მაგრამ იქ ვახტანგ ქარსელაძემ არ გამიშვა, ჯერ პატარაა და ვაითუ, რაიმე ფსიქოლოგიური გართულებები შეექმნასო...

— მოსწავლეთა პირველობის ნახევარფინალს გულისხმობთ?

— არა, ამას ქალთა ჩემპიონატზე ვამბობ. დიდ ჭადრაკში ძალიან ადრე მოვხვდი. 1964 წელს სსრკ-ს პირველობის ფინალში გავედი და ამჯერად ბატონმა ვახტანგმა თამაშის ნება დაირთო. მით უმეტეს, რომ ფინალი თბილისში უნდა გამართულიყო. ცხადია, ჩემგან დიდ მიღწევებს არავინ ელოდა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, 10 ტურის შემდეგ ლიდერი გავხდი. ამას დიდი აეიოტაჟი მოჰყვა. რუსთაველის თეატრის მიმდებარე ტერიტორია პარტიიდან პარტიამდე სულ უფრო ხალხმრავალი ხდებოდა. შემდეგ ცოტა წავიფორხილე და საბოლოოდ მე-6 ადგილი დავიკავე, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ ჩემპიონატის შემდეგ „შემამჩნიეს“. 1966 წელს მაინც გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ამ შედეგს კიდევ ორჯერ მივაღწიე, ექვსჯერ გავხდი ოლიმპიური ჩემპიონიც.

— მსოფლიოს ჩემპიონატებში რა დროიდან ჩაებით?

— 1966 წლიდან. თავდაპირველად რაიმე განსაკუთრებული მიღწევა არ მქონია. 1972 წელს კი უკვე პრეტენდენტთა ფინალშიც მოვხვდი, მაგრამ ალა კუშნირთან წავაგე.

— თუმცა მომდევნო ციკლში მაინც მიაღწიეთ ნიხა გაფრინდაშვილამდე...

— ძალიან გამიჭირდა. პრეტენდენტთა ფინალში ირინა ლევიტინას შევხვდი, რომელიც მაშინ რუსული ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი იყო. თორმეტი პარტია უნდა გვეთამაშა, მაგრამ ჩვიდმეტის თამაშშა მოგვიწია. ორი თვის შემდეგ, როგორც იქნა, დავამარცხე. ლევიტინასთან მოგებულმა მე-17 პარტიამ ყველაზე დიდი სიხარული მომანიჭა.

— შემდეგ კი პირველი ქართული ფინალი და გაფრინდაშვილის ერთი შეხედვით დამაჯერებელი გამარჯვება — 8,5:3,5; რა მოხდა?

— თავიდანვე ვიტყვი, ნონა მაშინ ჩემზე ძლიერი იყო, მაგრამ ანგარიში ძალთა თანაფარდობას არცთუ მართებულად ასახავს. ყველაფერი ალბათ იმ გადადებული პარტიის წაგებამ გადაწყვიტა, რომელშიც ნონას ფიგურა „ვაჩუქე“. ეს იმდენად დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა გამოდგა ჩემთვის, რომ შემდგომი პარტიები თითქმის უბრძოლველად წავაგე. საერთოდ, ფსიქოლოგიური მზადება ჩემი ყველაზე სუსტი მხარე იყო მუდამ და ამან მაია ჩიბურდანიძესთან წაგებულ მეორე საჩემპიონო ფინალშიც შემიშალა ხელი...

— თუმცა ეს მატჩი ერთადერთი იყო ქალთა ჩემპიონატების ისტორიაში, რომელიც ყაიმით დასრულდა...



ბადრი ჯაფარიძის ფოტო

— მართალია... თავიდან შინაგანად როგორღაც არ ვიყავი მზად გამარჯვებისთვის. მატჩის ბოლოს შეევედი ფორმაში, მაგრამ რაღა დროსი იყო, მე-16 პარტიის მოგებას უკვე აღარ შეეძლო, ჩემთვის რაიმე სასიკეთოდ შეეცვალა. ძალიან დამწყდა გული, ჩემპიონობამდე ასე ცოტა რომ დამაკლდა.

— თქვენ შემდეგშიც ბევრს თამაშობდით, მრავალი გამარჯვებაც იზეიმეთ და ასე გრძელდებოდა...

— 1991 წლამდე. მაშინ მე ბოლო საზონთაშორისო ტურნირში ვითამაშე და როცა გაფრინდაშვილთან და სიუ ჟუნთან (სიუ ჟუნი შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა) თითქმის მოგებული პარტიები წავაგე, საკუთარ თავს ვუთხარი: „ეს უკვე ჭადრაკი აღარ არის. წასვლის დროა“. დავანებე კიდეც დიდ ჭადრაკს თავი, თუმცა ხანდახან ვთამაშობ ტურნირებში და ზოგჯერ არცთუ ურიგო შედეგებსაც ვაღწევ. შარშან საფრანგეთში, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე გამოვედი და მეორე ადგილი დავიკავე. გამასწრო მხოლოდ იუგოსლავიელმა სტეფან ჯურიჩმა, რომელიც წლეულს ლას ვეგასის მსოფლიოს ჩემპიონატზეც თამაშობდა.

— ახლა ზზირად საუბრობენ ჭადრაკის დაფასთან ადამიანისა და კომპიუტერის დაპირისპირებაზე. თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, კომპიუტერთან გეთამაშათ?

— სერიოზულ კომპიუტერულ საჭადრაკო პროგრამას ერთადერთხელ ვეთამაშე. ეს იყო ცოტა ხნის წინ, ავსტრიაში. იმ პროგრამის სახელი ახლა ზუსტად არ მახსოვს, ის კი ვიცი, რომ ერთ-ერთ უძლიერეს პროგრამად ითვლება. პარტია წავაგე. საერთოდ დღეს კომპიუტერთან წარმოუდგენელია სადებიუტო უპირატესობის მიღება. თუ გამარჯვება გინდა, შეგნებულად უნდა წახვიდე, უარესი, მაგრამ კომპიუტერისთვის უცნობი პოზიციისკენ და შემდეგ იქიდან უნდა ეცადო რაიმეს გაკეთებას. ბევრი ამბობს და მეც დავწუნდი, რომ დღევანდელ კომპიუტერს ტაქტიკური ხერხებით ვერავინ მოუგებს, მხოლოდ სტრატეგიული მიდგომით თუ შეიძლება აჯობო.

— კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამები, მათი დახმარებით მძლავრად განვითარებული დებიუტების თეორია და აქედან გამომდინარე მკვეთრად მომრავლებული ყაიმები. ხომ არ ფიქრობთ, რომ ყოველივე ამან ჭადრაკი უფრო სქემატური, მშრალი გახადა?

— უეჭველად. ჯერ კიდევ ოცი წლის წინ დღევანდელი ინფორმაციის მეათედიც არ არსებობდა და, ცხადია, თამაშიც ბევრად უფრო საინტერესო იყო.

— ქალბატონო ნანა, გარდა უშუალოდ ჭადრაკის თამაშისა, თქვენ ამ სფეროში საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევით. „სარბიელის“ მკითხველმა იცის, რომ წლების მანძილზე ფიდე-ს ქალთა კომისიას თავმჯდომარეობთ. ამიტომ საინტერესოა თქვენი აზრი ფიდე-ში და საერთოდ, მსოფლიოს ჭადრაკში არსებულ ქაოსზე.

— ქაოსი და განუკითხაობა მართლაც დიდია, რასაც ბოლო თვეების ინფორმაციებიც მოწმობს. ქალთა მსოფლიოს პირველობის ფინალი სექტემბერში უნდა გათამაშებულიყო და ჯერაც არ დაწყებულა, რადგან ორი კვირით ადრე თურმე კიშინიოვს ჩემპიონატის მასპინძლობაზე „უარი უთქვამს“. მე ამ უარის ვერც ერთ სერიოზულ მიზეზს ვერ ვხედავ და ვფიქრობ, მიზეზი ისევ ფიდე-დან მოდის. ფართოდაა გახმაურებული ფიდე-სა და ჟუჟა პოლგარის დაპირისპირება და საერთოდ, ყველა ისე იქცევა, როგორც მოეხსიათება: ერთს ჩინეთში ჩასვლისა ეშინია, მეორე ბავშვს ელოდება... ჩემპიონატების ვადებს კი არავინ დაგიდევთ. ჩემს დროს ასე არ იყო. კუშნირთან პრეტენდენტთა ფინალის წინ მეც ბავშვს ველოდი, მაგრამ ამის გამო მატჩი არ გადადებულა. ჭადრაკის ბავშვი, ჯანმრთელობა, ოჯახური გართულებები და სხვა ამგვარი ფიდეს პრობლემა არ არის, ეს მოჭადრაკის პირადი პრობლემაა და მას თავადვე უნდა მოუაროს. სხვათა შორის, ნანა იოსელიანსაც ჰქონდა ცუდი სიტუაცია ჟუჟა პოლგართან მატჩის წინ, მამა გარდაეცვალა, მაგრამ ერთი დღეც არ აპატიეს, იძულებული გახდა, 0:2-დან დაეწყო თამაში. ახლა კი რა ხდება... ჩემპიონატის გადადება არცთუ მარტივი ამბავია და თუ იგი ერთს ხელს აძლევს, იქნებ ბევრის გეგმები ჩაშალოს. კიშინიოვის გამო, სადაც ჩემს მოსწავლეს, ლელა ჯავახიშვილს უნდა ეთამაშა, მე უარი შევუთვალე ბერძნებს, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ლექციების წასაკითხად მეპატიჟებოდნენ. ასე არაფრით არ შეიძლება. არსებობს კანონები, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას.

— რა მიგაჩნიათ ყოველივე ამის მიზეზად?

— პირველ რიგში სრულიად ბუნებრივი ადამიანური მომენტი. ფიდე საერთაშორისო ორგანიზაციაა და, მაგალითად, იგივე კასპაროვი, ცხადია, არ მოისურვებს იმას, რომ ჭადრაკის ბედიღბლის გადაწყვეტაში ვინმე არაპროფესიონალი მაკაელი ისეთივე მონაწილეობას ღებულობდეს, როგორც თვითონ და მისი თამაშით მოპოვებული ფულის ნაწილს იჯიბავდეს. 1986 წელს ამ სიტუაციის შესარბილებლად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: ფიდე-სთან შეიქმნა დიდოსტატთა ასოციაცია. ეს იყო მეტად სოლიდური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა ფიდე-სთან და სამჯერ მსოფლიოს თასიც გაათამაშა. ასოციაციასთან არსებობდა ქალთა კომიტეტიც ჩემი თავმჯდომარეობით და ქალებშიც ვაპირებდით მსოფლიოს თასის გათამაშებას, მაგრამ 1991 წელს ასოციაცია დაიშალა, კასპაროვი თავისი გზით წავიდა და აქედან დაიწყო ის უწესრიგობა, დღემდე რომ გრძელდება. ანარქიის მეორე მიზეზად ჭადრაკისადმი ინტერესის მკვეთრი დაცემა მიმაჩნია. ჭადრაკი უშემოსავლო სპორტია და დღეს იგი ნაკლებად აინტერესებთ. ბოლო ხანებში თვით მსოფლიოს ჩემპიონატებზე დარბაზები სანახევროდ ცარიელია მაშინ, როცა წინათ ბილეთის შოვნა უდიდესი პრობლემა იყო. მე საერთოდ კონსერვატორი ვარ და ყოველთვის იმის მომხრე ვიქნები, მსოფლიოს ჩემპიონი ხანგრძლივმა, დაძაბულმა ტურნირებმა და მატჩებმა გამოავლინოს და არა ერთმა „ნოკაუტსისტემით“ გამართულმა ტურნირმა, მაგრამ დღეს „ნოკაუტსისტემის“ გარდა სხვა, უკეთეს ალტერნატივას ვერ ვხედავთ. სხვაგვარად ჭადრაკისადმი ინტერესი კიდევ უფრო შესუსტდება. დრომ მოიტანა ასე...

— რა როლს თამაშობთ დღევანდელ პროცესებში, როგორც ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, რის გაკეთებას აპირებთ?

— თუ მოვლენები ისევ ძველებურად განვითარდება, ჩავთვლი, რომ ფიდე-ში ჩემი ადგილი აღარ არის. სწორედ ამ დღეებში ყატარში გაიმართა ფიდე-ს მორიგი კონგრესი, მაგრამ, საშწუხაროდ, იქიდან ჯერჯერობით ცნობები არ მიმიღია. შევაგროვებ ინფორმაციას და თუ რაიმე სასიკეთო სიახლე ვერ აღმოვაჩინე, გადავდგები.

— თქვენი პროგნოზი როგორი იქნება, როგორ უყურებთ ჭადრაკის მომავალს?

— სკეპტიკურად. ჩემი აზრით, ჭადრაკისადმი ინტერესის ზენიტი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. იგი ახლა დაღმასვლის სტადიაშია.

დავით გულუა

პრემია დათვებს

	თბილისი 19 ოქტომბერი

ასკ 11:21 (11:7) დათვები

ასკ: მაისურაძე, ლიქოკელი, ქავთარაძე (შენგელია), უჩავა, მათიაშვილი, სვანიძე, გაფრინდაშვილი, მინაშვილი (ჯაკაბაძე), აბუსერიძე, აბრამიშვილი, კ. კაპანაძე, საკანდელიძე, კილაურიძე, ზაქარიაძე, კოდუა (მაღრაძე)

1 ლ — მინაშვილი; 2 ს — უჩავა

დათვები: რეხვიაშვილი, გურეშიძე, ფირცხალავა, აბაშიძე, თოდორაძე (ღლონტი), გოგისვანიძე, სვანიძე, აბდალაძე, გაბელაია, მაჩიტიძე, ჯანაშია, ძოწენიძე, ხონელიძე, შარვაშიძე, ჩუბინიძე (ჩხარტიშვილი)

1 ლ — ძოწენიძე, რეხვიაშვილი, შარვაშიძე; 3 გ — მაჩიტიძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ᲕᲘᲡᲐᲪ ეგონა, რომ ამ თამაშში „დათვები“ იოლად გაიმარჯვებდნენ, ძალიან შეცდა. მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. არმიელები ყველასაგან მოულოდნელად ძლიერად და კომბინაციურად ათამაშდნენ. ბათუმელები უფრო სისწრაფისა და ფიზიკური ძალის ხარჯზე ცდილობდნენ წარმატების მიღწევას.

„დათვებმა“ აშკარად დაჯაბნეს მეტოქე შერკინებაში, ამიტომ არმიელებს ბურთი სწრაფად გამოჰქონდათ და ფეხით აუტში გზავნიდნენ. პირველ ტაიმში ქარი „დათვებს“ სცემდა სახეში, რასაც ასკ-ის მორაგბეები კარგად იყენებდნენ, თუმც წარმატებას ჯერ მაინც უფრო გამოცდილმა ბათუმელებმა მიაღწიეს. არმიელები საკუთარ ნახევარზე ბურთის გათამაშებისას შეცდნენ. „დათვებმა“ გადაცემა ჩაჭრეს, უმალ მიაწოდეს ძოწენიძეს, რომელიც რამდენიმე მეტოქეს გაუსხლტა და ლელო გაიტანა. როგორც ყოველთვის, გარდასახვა მაჩიტიძემ შეასრულა.

არმიელთა მწვრთნელი აღელდა. არ ვიცი, მისმა ხმამაღალმა რჩევებმა იმოქმედა, თუ თავმოყვარეობა შეელახათ მორაგბეებს, ეგ კია, რომ ასკ-ი ათამაშდა და დაიწყო ბათუმელთა რბევა. შტურში საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და „დათვები“ ძლივს ახერხებდნენ მეტოქის შეკავებას. ერთი იერიშის მოგერიებისას, ბათუმელის აუტში გასაგზავნ ბურთს მინაშვილმა ლამაზად დაიჭერა. შემდეგ ... [illegible] ... ედანზე დაამიწა. უჩავამ ვერ გარდასახა, თუმც მანამდე საკმაოდ რთული საჯარიმო გაიტანა.

შეხვედრა დაიძაბა და მეტოქეები უხეშობის ზღვარზე ათამაშდნენ. მორაგბეებს ნერვები უკიდურესობამდე დაეჭიმათ, ამას მწვრთნელთა მღელვარებაც დაემატა და ატყდა კიდეც ჩხუბი. მოშორებით მდგარი მსაჯის სასტვენმაც ვერ დააცხრო ვნებათაღელვა, ისევ სპორტსმენებმა ივარგეს. ინციდენტი ამოიწურა. ამის შემდეგ თამაში ძირითადად კორექტულად მიმდინარეობდა.

მატჩის ხასიათი პირველ ტაიმში არ შეცვლილა. მეტოქეები ძირითადად ფეხით თამაშობდნენ. სანამ მორაგბეები შესვენებაზე წავიდოდნენ, უჩავამ მოასწრო და ათმეტრიანი ხაზიდან ლამაზი საჯარიმო გაიტანა.

მეორე ნახევარში „დათვები“ ენერგიულად შეუდგნენ მოწინააღმდეგის შევიწროებას. ისინი თანმიმდევრობით მიიწევდნენ ასკ-ის სალელოე მოედნისკენ, კვლავ სრული დატვირთვით მუშაობდა შერკინება, რომელშიც ზღვისპირელები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. არმიელები ცოტა ხანს კიდევ უძალიანდებოდნენ, მაგრამ „დათვები“ ისე აწვებოდნენ, სახელს ამართლებდნენ და შედეგად ძალისმიერი ლელო დაღეს, რომელიც რეხვიაშვილმა მიითვალა.

დაღლილი მორაგბეები სულ უფრო ნელა მოძრაობდნენ. აღარ იყო მახვილგონივრული გასვლები ფლანგებზე, აღარც დაფარებაზე ირჯებოდა ვინმე. სპორტსმენები აშკარად ძალას ზოგავდნენ, რომ ბოლო ეფექტური შეტევისთვის გამოეყენებინათ. ცდილობდნენ, შეცდომა არ დაეშვათ, მაგრამ არმიელები მაინც შეცდნენ. შარვაშიძემ ისევ ჩაჭრა ბურთი და ლელო გაიტანა. ამ ლელომ „დათვებს“ გამარჯვება და მორიგი პრემიალური ქულა მოუტანა. ბათუმელთა „დამრტყმელმა“ მაჩიტიძემ მესამე გარდასახვით კიდევ 2 ქულა შემატა თავის გუნდს.

ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ინტრიგა. ოთხეულში თითქმის თანაბარი ძალის გუნდები არიან. მართალია, „დათვები“ ლიდერობენ, მაგრამ დანარჩენები ტოლს არ უდებენ და წინასწარ ვერავინ იტყვის, რომელ მათგანს ვიხილავთ საპრიზო ადგილზე.

მსაჯი უსტვენს, მსაჯს უსტვენენ

	თბილისი 20 ოქტომბერი

ლოკომოტივი 1 - 5:10 (0:3) ყოჩები

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, თოფურიძე, კერესელიძე, მოგელაძე, ცხომელიძე, კობახიძე, კახიანი, სუჯაშვილი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგაიანიშვილი, ჩაჩუა, ძნელაძე, გუგავა, მზეიძე

1 ლ — ჩაჩუა

ყოჩები: პაპავა, კიკუაშვილი, ჭავჭავაძე, გუშარაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, სულთანიშვილი, ურუშაძე, გიორხელიძე, ლიპარტელიანი, პეტრიაშვილი, ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, წიკლაური, ხეხელაშვილი

1 ლ — პეტრიაშვილი; 1 გ — ტეფნაძე; 1 ჯ — ურუშაძე

მსაჯი: გ. აბაშიძე

მეთვალყურე: ნ. რობიტაშვილი

ᲐᲛ შეხვედრაში ბლომად იყო სტვენა, მოედანზეც და ტრიბუნაზეც. თამაშს მხცოვანი არბიტრი გოჩა აბაშიძე სჯიდა. მას მართლაც მძიმე დღე დაადგა, რადგან „ლოკომოტივი 1“ — „ყოჩების“ შეხვედრები ყოველთვის პრინციპულობით და უშელავათობით გამორჩევა.

თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. კარგა ხანს გუნდებმა ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს. მორაგბეები ერთმანეთს გასაქანს არ აძლევდნენ. ღონეს არც ერთი არ უჩივის და სპორტსმენებმაც სრულად გამოავლინეს თავიანთი ფიზიკური სიძლიერე. ცოტა აფარა. შემდეგ ... [illegible] ... ედანზე დაამიწა. უჩავამ ვერ გარდასახა, თუმც მანამდე საკმაოდ რთული საჯარიმო გაიტანა.

შეხვედრა დაიძაბა და მეტოქეები უხეშობის ზღვარზე ათამაშდნენ. მორაგბეებს ნერვები უკიდურესობამდე დაეჭიმათ, ამას მწვრთნელთა მღელვარებაც დაემატა და ატყდა კიდეც ჩხუბი. მოშორებით მდგარი მსაჯის სასტვენმაც ვერ დააცხრო ვნებათაღელვა, ისევ სპორტსმენებმა ივარგეს. ინციდენტი ამოიწურა. ამის შემდეგ თამაში ძირითადად კორექტულად მიმდინარეობდა.

მატჩის ხასიათი პირველ ტაიმში არ შეცვლილა. მეტოქეები ძირითადად ფეხით თამაშობდნენ. სანამ მორაგბეები შესვენებაზე წავიდოდნენ, უჩავამ მოასწრო და ათმეტრიანი ხაზიდან ლამაზი საჯარიმო გაიტანა.

მეორე ნახევარში „დათვები“ ენერგიულად შეუდგნენ მოწინააღმდეგის შევიწროებას. ისინი თანმიმდევრობით მიიწევდნენ ასკ-ის სალელოე მოედნისკენ, კვლავ სრული დატვირთვით მუშაობდა შერკინება, რომელშიც ზღვისპირელები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. არმიელები ცოტა ხანს კიდევ უძალიანდებოდნენ, მაგრამ „დათვები“ ისე აწვებოდნენ, სახელს ამართლებდნენ და შედეგად ძალისმიერი ლელო დაღეს, რომელიც რეხვიაშვილმა მიითვალა.

დაღლილი მორაგბეები სულ უფრო ნელა მოძრაობდნენ. აღარ იყო მახვილგონივრული გასვლები ფლანგებზე, აღარც დაფარებაზე ირჯებოდა ვინმე. სპორტსმენები აშკარად ძალას ზოგავდნენ, რომ ბოლო ეფექტური შეტევისთვის გამოეყენებინათ. ცდილობდნენ, შეცდომა არ დაეშვათ, მაგრამ არმიელები მაინც შეცდნენ. შარვაშიძემ ისევ ჩაჭრა ბურთი და ლელო გაიტანა. ამ ლელომ „დათვებს“ გამარჯვება და მორიგი პრემიალური ქულა მოუტანა. ბათუმელთა „დამრტყმელმა“ მაჩიტიძემ მესამე გარდასახვით კიდევ 2 ქულა შემატა თავის გუნდს.

ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ინტრიგა. ოთხეულში თითქმის თანაბარი ძალის გუნდები არიან. მართალია, „დათვები“ ლიდერობენ, მაგრამ დანარჩენები ტოლს არ უდებენ და წინასწარ ვერავინ იტყვის, რომელ მათგანს ვიხილავთ საპრიზო ადგილზე.

გრძელი გზა ჰანოვერისკენ

ევგენი კაფელნიკოვი

ნოემბრის ბოლოს გერმანულ ჰანოვერში წლის უკანასკნელი და „მეოჯორებთან“ ერთად ყველაზე პრესტიჟული ტურნირი — ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. მწვანეებითა და საკლასიფიკაციო ქულებით მდიდარ პირველობაზე მოხვედრას ყოველი პროფესიონალი ცდილობს, თუმცა, უცხოური ტურების მსგავსად, ადგილები აქაც შეზღუდულია.

სეზონის შედეგებით 8 მონაწილისა და 1 სათადარიგოს ვინაობა თითქმის ყოველთვის ბოლო წამს ირკვევა და გამონაკლისი არც წლეულს მომხდარა: ჯერჯერობით საგზურები გერმანულ ქალაქში მხოლოდ მსოფლიოს პირველმეორე ჩოგნებმა, ანდრე აგასიმ და ევგენი კაფელნიკოვმა გაინაღდეს.

ძალიან ახლოს არიან ამის მიღწევასთან ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, პიტ სამპრასი და მასპინძელთა ჯილა ნიკოლას კიფერი, თუმცა მათ გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რეალურ შანსს კიდევ ათამდე ჩოგბურთელი ინარჩუნებს.

REUTERS/ტამპადან

ვანკუვერელი ბრედ მეი (№9) ასე ცდილობდა ტამპას მეკარის დერენ პუპას კარის დალაშქვრას

წლეულს დაგროვილი ქულებით ჰანოვერში გამგზავრების კანდიდატია ნუსხა ორშაბათისთვის ასე გამოიყურება

1. ანდრე აგასი (აშშ)	4047	10. ტომი ჰაასი (გერმანია)	1841
2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3124	11. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	1775
3. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2497	12. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	1731
4. პიტ სამპრასი (აშშ)	2332	13. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1727
5. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	2322	14. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1645
6. ტოდ მარტინი (აშშ)	2215	15. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	1633
7. მარსელო რიოსი (ჩილე)	2155	16. გრეგ რუზეცკი (ინგლისი)	1610
8. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	1895	17. მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	1591
9. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	1848	18. დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი)	1490

ჩოგბურთი შესვენების გარეშე

მომავალი წლიდან პროფესიონალი ჩოგბურთელები ყოველი სეტის პირველი გეიმის შემდეგ აღარ შეისვენებენ.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) ორშაბათს განაცხადა, რომ აუქმებს წესს, რომლის მიხედვითაც მოთამაშეები პირველი გეიმების შემდეგ 90 წამს ისვენებდნენ. დაჯდომის ნაცვლად ჩოგბურთელები უბრალოდ მხარეებს გაცვლიან და ისე გააგრძელებენ თამაშს.

წესებში კიდევ ერთი ცვლილებაა: ყოველი ხელის ბოლოს 90-წამიანი შესვენება ორ წუთამდე გაიზრდება და ჩოგბურთელებს მაშინაც კი ექნებათ სულის მოთქმის შესაძლებლობა, თუ სეტში გეიმების რაოდენობა ლუწი რიცხვისგან შედგება.

ეს ცვლილებები ძალაში 2000 წლის 1 იანვრიდან შევა და ყველა დონის შეჯიბრებს თანაბრად შეეხება. წესები, ექსპერიმენტის სახით, ITF-ის დირექტორთა საბჭომ მოიწონა კაცების ATP ტურის, ქალების WTA ტურისა და დიდი სლემის ტურნირების წარმომადგენლებთან მოთათბირების შემდეგ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ამ ცვლილებების ძუდმივად მოქმედების შესახებ საბჭო ივნისში მიიღებს.

თუმცა სიახლეები ამით არ ამოიწურება: ამიერიდან უფრო ლოიალური გახდება ჩოგბურთელთა დასჯის წესები, რაც ცუდი ყოფაქცევისთვის მათი ტურნირიდან დისკვალიფიკაციის შანსებს შეამცირებს.

ძველი სისტემით, მესამე დარღვევა და მსაჯის გაფრთხილება ავტომატურად იწვევდა ჩოგბურთელის ტურნირიდან მოხსნას. ახალი ფორმულით, პირველი დარღვევისთვის ჩოგბურთელს გააფრთხილებენ, მეორისთვის ქულას მოაკლებენ, მესამისთვის კი — მთელ გეიმს.

ITF-ის წარმომადგენლის თქმით, წესების „უხეში“ დარღვევისთვის (მაგალითად, მსაჯის დედის არაკორექტულად მოხსენიება) ჩოგბურთელმა მაინც შეიძლება მიიღოს ავტომატური დისკვალიფიკაცია, შედარებით მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში კი მთავარი მსაჯი თავად გადაწყვეტს, გამოიწვევს თუ არა მეოთხე შენიშვნა სასჯელის უმაღლეს ზომას.

„ეს ცვლილებები საჭიროა იმისთვის, რომ დაიცვას ქომაგთა და სატელევიზიო მაყურებელთა ინტერესები, რათა მცირე დარღვევების გამო მატჩები საადრევად არ დასრულდეს“ — ნათქვამია ფედერაციის განცხადებაში.

სანტანას ულალატეს

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ორშაბათს დევისის თასის კაპიტნის თანამდებობიდან დაითხოვა ლეგენდარული ჩოგბურთელი მანუელ სანტანა და იგი ერთბაშად ოთხი მწვრთნელისგან შემდგარი საბჭოთი შეცვალა.

„საგაისო გათამაშების კენჭისყრაში ძალიან გაგვიმართლა და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ჩვენ საქმისადმი ახალი მიდგომა გვჭირდება და სანტანა ამ გეგმებში არ ეწერებოდა“ — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა აგუსტი პუხოლმა.

სანტანა, ესპანეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია, რომელმაც 1966 წელს უიმბლდონის მოგება მოახერხა. იგი გუნდს 1995 წლიდან ედგა სათავეში და ამ ხნის მანძილზე მას დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

„ასე მგონია, ზურგში დანა ჩამცეს. ასეთ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ველოდი. მოდით, ასე ვთქვათ, სამუშაო ადგილი აყალმაყალის გარეშე არ დამიტოვებია“ — განაცხადა ესპანურ გაზეთ „ასისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სანტანამ.

სანტანას შემცვლელთა სია კი ასე გამოიყურება: ხოსე პერლასი, კარლოს მოიას მწვრთნელი; ხავიერ დუარტე, ალექს კორეტხას მწვრთნელი; ხორდი ვილარო, ფელიქს მანტიას მწვრთნელი; ხუან ბაუტისტა აკენდანი, გუნდის ყოფილი კაპიტანი.

რაფტერი პარიზში დაბრუნდება

პატრიკ რაფტერმა გადაწყვიტა, გარისკოს და დეკემბრის დევისის თასის ფინალისთვის უკეთ მოსამზადებლად ნავარაუდევზე ადრე განაახლოს ATP ტურზე ასპარეზობა.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა აშშ-ის ღია პირველობის წრეში მხრის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომლის გამოც დიდი სპორტისთვის უამრავ სპორტსმენს დაუნებია თავი. რაფტერს ახალ წლამდეც ურჩევდნენ დასვენებას, მაგრამ მან არჩია, პარიზისა და სტოკჰოლმის ტურნირებზე, მერე კი კვალიფიკაციის შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზეც ეთამაშა.

„დევისის თასის მოგება ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია და რუსეთის ნახევარფინალში დამარცხებით ჩემმა თანაგუნდელებმა ამის შესანიშნავი შანსი მომცეს. შევეცდები, შინ, ბრისბენში დავაჩქარო აღდგენის პროცესი. ნოემბერში კი კაპიტან ჯონ ნიუკომბთან ერთად ევროპაში დავრჩები და ფრანგებთან თიხნარზე შეხვედრისთვის მოვემზადები“ — განაცხადა აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონმა.

ავთანდილ სვანიძე



პატრიკ რაფტერი

ზვიგენმა კბილი ნიუ იორკსაც გაჰკრა

19 ოქტომბერი

სენტ ლუისი — კალგარი 7:1

1:0 4:1 2:0

1:0 ბარტესკო 11'56 (1); 2:0 იანგი 21'08 (1); 2:1 ბურე 26'08 (6); 3:1 ტარჯონი 30'44 (4); 4:1 კონროი 33'17 (1); 5:1 ჰანდზუსი 35'20 (4); 6:1 ტარჯონი 41'12 (5): 7:1 დემიტრა 37'59 (3)

რას იფიქრებდა სახელოვანი მეკარე გრანტ ფიური, რომ ასეთი დღე დაადგებოდა სენტ ლუისში, სადაც შარშან თავად თამაშობდა. ჩინებული კარიერის მიწურულს ფიური, მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონი „ბლუზმენების“ რიგებში მაღალ დონეზე ჩაატარა, იძულებული გახდა, უფრო ახალგაზრდა რომან ტურეკისთვის დაეთმო გზა და კალგარიში გაიყიდა. თანაც, ამ შეხვედრამდე გრანტის აქტივში 399 მოგება იყო და პარტნიორებთან საიუბილეო გამარჯვების მოპოვებაზე უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ... მასპინძლებმა მას მერეც ვერ მოისვენეს, რაც მატჩის ბედი გადაწყვიტეს. საბრალო ფიურმა კი მეექვსე შაიბის გაშვების შემდეგ, რომელიც სენტლუისელთაგან საუკეთესო პერ ტარჯონმა (2+2) შეუგდო, ხელი ჩაიქნია და სათადარიგოთა სკამს მიაშურა. „ფიური არაფერ შუაშია. მთელმა გუნდმა უსუსურად ითამაშა“ — ასე ანუგეშა კალგარის მწვრთნელმა ბრაიან სატერმა დანაღვლებული მეკარე.

ვაშინგტონი — ანაჰაიმი 1:7

0:2 0:2 1:3

0:1 ტრნკა 3'09 (1); 0:2 სელიანე 12'06(2); 0:3 ლეკლერკი 22'17(3); 0:4 კალენი 26'40(2); 0:5 სელიანე 40'32(3); 1:5 ჰალპერნი 42'41(2); 1:6 აალტო 47'28(1); 1:7 ლეკლერკი 55'37(4).

ამიერიდან ანაჰაიმი მხოლოდ პოლ კარიასა და ტეემუ სელიანეს გუნდი აღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, ვაშინგტონთან დამაჯერებელი მოგება ამის საფუძველს იძლევა. მეტად უხვგოლიან თამაშში, ცხადია, „იხვების“ ლიდერებმაც შეიტანეს წვლილი (სელიანეს 2 გოლსა და პასს კარიამ 2 გადაცემა დაამატა), მაგრამ მათ არც დანარჩენები ჩამორჩნენ. ლადისლავ კონი (0+2) — ანტი აალტო (1+1) — მაიკ ლეკლერის (2+0) ახალგაზრდულმა ტრიომ 3 შაიბა მიითვალა, ხოლო მეტ კალენი (1+3) აღტაცების ღირსია — ახლახან გამოჯანმრთელებული ცენტრფორვარდი, რომელიც ნიკაპის სპეციალური დამცავით თამაშობდა, მწვრთნელებმა ლიდერთა სამეულში განაწესეს და მანაც ჩინებულად ითამაშა.

ტამპა — ვანკუვერი 5:6

1:1 1:3 3:1 0:1

1:0 ჰოულდერი 12'23 (1); 1:1 მოგილნი 19'45 (4); 2:1 ტაკერი 27'27 (1); 2:2 ბრაშირი 28'06 (1); 2:3 ბერტუცი 35'17 (2); 2:4 შეფერი 39'26 (1); 2:5 ჰოუგუდი 43'33 (1); 3:5 გრეტონი 48'08 (2); 4:5 გუსევი 54'00 (1); 5:5 რიშუ 58'47 (4); 5:6 მესიე 60'43 (2)

ზედიზედ მეორე მატჩია, ტამპელები ბოლო პერიოდში სამშაიბიან სხვაობას ფარავენ, თანაც ახლა სამივე ბოლო ფანტასტიკური ასხლეტებისა და რიკოშეტების შემდეგ შეაგდეს. მაგრამ სასწაულები ყოველთვის არ ხდება და ოვერტაიმში მასპინძლები საკუთარი შეცდომის, ანუ გამოუყენებელი მომენტის გამო დაისაჯნენ. ეს გამოცდილმა მარკ მესიემ გააკეთა. ვანკუვერი თავის დივიზიონში დაწინაურდა, ხოლო სტივ კარიამ კვლავ აჯობა თავის სახელოვან მოგვარეს. მისი (0+3) და ალექსანდრ მოგილნის (1+3) დუეტი საუკეთესმო იყო კანადელთა რიგებში.

რეინჯერსი — სან ხოსე 1:2

1:0 0:2 0:0

1:0 კამენსკი 5'29 (1); 1:1 ფრიზენი 23'07 (6); 1:2 მარლო 23'27 (2)

„ზვიგენებმა“ ჩემპიონატის სტარტზე ისე აილესეს კბილები, რომ აღარც თავიანთ უხერხულ მეტოქეს, რეინჯერსს უფრთხიან. როგორც იქნა, სანხოსელებმა თავიანთი რვაწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად მოუგეს ნიუიორკელებს (მანამდე +0-3-12). კვლავ შეუდარებელი იყო გასული კვირის ლაურეატი, მეკარე სტივ შილდსი (26 მოგერიება). უგოლოდ არც ნოლანი — დამფუსი — ფრიზენის წამყვანი სამეული დარჩა. ამ ტრიოს ანგარიშზე 9 მატჩში უკვე 35 (15+20) ქულაა.

სამფელ ღარიბიანი

კვირის მოთამაშე

სტივ შილდსი (სან ხოსე)



„ყველას უნდა, რაც შეიძლება მეტი ითამაშოს, რათა თავი ძირითად შემადგენლობაში დაიგულოს, მაგრამ ჩემსავით ახალგაზრდა მეკარეებისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“ — სან ხოსეს კარის დარაჯი სტივ შილდსი კმაყოფილებას არ მალავს. შილდსმა მხოლოდ მეხუთე სეზონში შეძლო პირველი მეკარის პოზიციაზე დამკვიდრება და, როგორც ჩანს, მის სახელოვან კოლეგას, მაიკ ვერნონს ამიერიდან სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა. ამას შილდსმა თავისი ფანტასტიკური თამაშით მიაღწია და ამიტომაც „ზვიგენებმა“ თავიანთი არსებობის ისტორიაში წლეულს ყველაზე უკეთ დაიწყეს სეზონი. მას შემდეგ, რაც ორშაბათს მან ანაჰაიმთან მატჩში უხეიროდ მოასპარეზე ვერნონი შეცვალა, 141 დარტყმიდან მხოლოდ სამი გაუშვა, 142 წუთის განმავლობაში დაიკვა კარი „შრალად“, რაც კლუბის ახალი რეკორდია და, რაც მთავარია, სან ხოსეს სამი მატჩი მოაგებინა. სტივმა განსაკუთრებით ნეშვილთან შეხვედრაში გამოიჩინა თავი — 51(!) დარტყმა მოიგერია.

საუკეთესო ექვსეული (11-17 ოქტომბერი)

სტივ შილდსი (სან ხოსე, 1); რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, 1) — ლარი მერფი (დეტროიტი, 1); სამი კაპანენი (კაროლინა, 1) — მარკ რეკი (ფილადელფია, 1) — ბრაიან სავაჟი (მონრეალი, 1).

საქართველოს ჩემპიონატი 3 ტური

საუკეთესო მოთამაშე

ალექსანდრე ფერიაშვილი
„მაკაბი“



ალექსანდრე ფერიაშვილის ფოტო

კალათბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს დიდებული თამაშით კიდევ ერთხელ შეახსენა თავი ოთხმოციანი წლების თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ალექსანდრე ფერიაშვილმა, რომელიც ბოლო სამი წელია თბილისის „მაკაბიში“ თამაშობს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი „ვითასთან“ შეხვედრაშიც, გუნდის ლიდერად მოგვევლინა და ლომის წილი დაიდო ჩემპიონის სენსაციად მიჩნეულ დამარცხებაში. საბოლოოდ „ფერო“ 34 ქულით საუკეთესო მოთამაშესთან ერთად საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

— თუ ელოდით, რომ ჩემპიონს დაამარცხებდით?

— რომ გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ მოულოდნელი მაინც არ ყოფილა.

— როგორ, ეს ხომ თქვენი გუნდის ისტორიაში პირველი გამარჯვებაა „ვითასთან“?

— მართალია, მაგრამ ბოლო დროს ჩემპიონს სულ უფრო და უფრო უჭირდა ჩვენს წინააღმდეგ თამაში. არც ისაა გამორიცხული, რომ მორიგ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ჩემპიონმა ზედმეტი თვითდაჯერებით ითამაშა.

— თქვენი აზრით, „ვითამ“ ზედმეტი თვითდაჯერების გამო წააგო, თუ უბრალოდ მეტოქე გაუხდით და იმიტომ?

— სულაც არ არის ჩვენი გუნდი ისეთი ხელწამოსაკრავი, რომ ვინმემ ანგარიში არ გაგვიწიოს. უკანა ხაზზე ტყუპი ბერიშვილები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, დაუბრკოლებლად გადმოაქვთ ბურთი მოედნის მეორე შუარეს და დროული პასის გაკეთებაც არ ავიწყდებათ. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჩვენი უპირატესობა ფარზე, სადაც რიცხობრივად მეტნი ვიყავით. საერთოდ, ბექა ნოზაძის გუნდში მოსვლით საკმაოდ შემიმსუბუქდა სამუშაო. ლასარეიშვილმა კი თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

— თქვენს შესახებ რას იტყვით, არ გაგიჭირდათ მოედანზე შეუცვლელად ყოფნა?

— ბოლო დროს „მაკაბის“ შემადგენლობაში თითქმის შეუცვლელად მიწევს თამაში და ეს ჩემთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

— ახლა არ გვითხრათ, სასტარტო შემადგენლობით მატჩის დასრულებაც და მოგებაც ჩვეულებრივი ამბავიაო.

— ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა.

— იყო მომენტი, როდესაც ათი ქულითაც კი უსწრებდით მეტოქეს. გასაგებია, რომ მოკლე სკამი გაქვთ, მაგრამ 7 კალათბურთელიდან ერთიც არ იყო ისეთი, რომ ორი წუთი მაინც გაეძლო მოედანზე?

— „ვითა“ ის გუნდია, რომელთან წამიერი მოდუნებაც კი ხეირს არ დაგაყრის. ამიტომაც ვითამაშეთ ბოლომდე შეუცვლელად, რათა მოპოვებული უპირატესობა სათუო აღარ გაგვეხადა.

— წინა წლებისაგან განსხვავებით, „მაკაბის“ დიდებული სტარტი აიღო და ქულათა მაქსიმუმით ერთ-ერთი ლიდერია. აქედან გამომდინარე, წლევანდელ ჩემპიონატში „მაკაბის“ გეგმებიც განსაკუთრებული ხომ არ არის?

— პროგრამა-მინიმუმი ექვსეულში მოხვედრაა. შემდეგ ვნახოთ.

— რამ შეიძლება, თქვენს გეგმებს ხელი შეუშალოს?

— ისევ და ისევ მოკლე სკამმ. როდესაც შემცვლელი არ გეგულება, მთელი ძალით ვერ თამაშობ და ორთაბრძოლებს გაურბიხარ, რათა ჯარიმა არ მიიღო და გუნდი არ დაალალტო.

— მოქმედი ქართველი კალათბურთელებიდან თქვენ ყველაზე სტაჟიანი ბრძანდებით, ვისაც საბჭოთა კავშირის დროს „დინამოში“ უთამაშია. თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენი მოღვაწეობის შესახებ.

— დავიბადე 1967 წელს ქალაქ სიღნაღში. 202 სანტიმეტრი ვარ და 89 კილოგრამს ვიწონი. როცა გუნდში ტალანტალი კალათბურთელების პრობლემაა, ვთამაშობ ცენტრში, ისე კი ჩემი ძირითადი ამპლუა ფორვარდის პოზიციაა.

ვარჯიში დავიწყე სიღნაღში არმაზ შალვაშვილის ხელმძღვანელობით. 1977-84 წლებში თბილისის ტონოში ვვარჯიშობდი. 1984 წელს კი მოსეშვილმა მიმიწვია „დინამოში“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვითამაშე „თბილისში“, „თორსში“, დავუბრუნდი „დინამოს“. რამდენიმე ხანს ჩამოშორებულიც კი ვიყავი კალათბურთს. 3 წელი ოდესის გუნდში დავყავი, რომელიც პირველ ლიგაში ასპარეზობდა. ცოლი და ორი ბავშვი მყავს სარჩენი, მატერიალურად გამიჭირდა და კალათბურთიდან წასვლა გადავწყვიტე. შემდეგ „მაკაბის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და აგერ უკვე მესამე წელია, მე და „მაკაბი“ ერთმანეთს ვეხმარებით.

— კონკრეტულად როგორ ეხმარებით ერთმანეთს?

— მე — კალათბურთის თამაშით, „მაკაბის“ ხელმძღვანელობა კი — მინის ბიზნესში.

— ვარჯიშისთვის დრო თუ გრჩებათ?

— დიახ, 3-4 დღე.

— უფრო მეტი რომ მოგენდომებინათ, იქნებ საქართველოს ნაკრებშიც დაგემკვიდრებინათ ადგილი.

— (იცინის) ეჰ, რაღა დროს ჩემი ნაკრებში თამაშია, დავბერდი. ძალიან კარგი, პერსპექტიული თაობა მოდის და იმთ კაცმა ხელი როგორ უნდა შეუშალოს.

— მიკვირს, რომ ქიზიყელი კაცი იმერული თავმდაბლობით მპასუხობთ. ზედმეტი წონა თქვენ არ გაწუხებთ და გამოცდილებაც არ გაყლიათ. რომ დაგიჩემებიათ, დავბერდიო, ოცდათორმეტი წელი სამოცდათორმეტში ხომ არ გერევათ? თუ კვირაში სამი დღე ვარჯიშობ, ორიც დაუმატე, და შედეგსაც უკეთესს მიიღებ.

— რაღა დაგიმალოთ და ცოტა ზარმაცი ვარ. სამგიერად, მოედანზე ბოლომდე ვიხარჯები და თანაგუნდელებს არ ვალატობ.

— „ვითასთან“ გამარჯვება „მაკაბის“ ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი ხომ არ დარჩენია?

— თამაშის წინ ყოველთვის გვპირდებიან რაღაც პრიზს, რა თქმა უნდა, თუ გავიმარჯვებთ. „დინამოსა“ და სსუ-სთან მოგების შემდეგ მაისურებით დაგვასაჩუქრეს, „ვითას“ დამარცხებისთვის კი სპორტული ჩანთები გვისახსოვრეს.

— აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ რას აპირებთ? ორიდან ერთი უნდა აირჩიოთ — ან ბიზნესი, ან კალათბურთი. თუ ორივე საქმეს ერთად გაკეთებთ, მაგას რაღა სჯობს.

— მწვრთნელობა ძალიან ძნელია. ვცადე ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ გამიჭირდა და თავი დავანებე. მე მგონი, ბიზნესში დავრჩები.

როლანდ ლაბუჩიძე

ჩემბერლენი VS რასელი

მსოფლიოს სპორტის უდიდესი დაპირისპირება

სულ რამდენიმე დღე გავიდა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი კალათბურთელის, უილტონ ჩემბერლენის გარდაცვალებიდან, ამერიკა კი კვლავ გლოვობს თავის საამაყო შვილს და მასთან ერთად წუხს საკალათბურთო მსოფლიოც. დიდი სპორტსმენი ამ ქვეყნიდან 63 წლის ასაკში წავიდა და აქ მქუხარე სახელი და მილიონობით დამწუხრებული ადამიანი დატოვა. დატოვა ისეთი მიღწევები და რეკორდები, რომელთაც აქამდე ვერავინ მიუახლოვდა და ვერც მიუახლოვდება. თუნდაც ერთ თამაშში ჩაგდებული 100 ქულა რად ღირს, ან ერთ შეხვედრაში გაკეთებული 55 მოხსნა, ან ერთ-ერთ სეზონში საშუალოდ მატჩში მოგროვილი 50,4 ქულა. ნბა-ს დღევანდელ სუპერვარსკვლავთაგან ბევრი როდია ისეთი, ვისაც ერთ თამაშში 50 ქულა მიუთვლია, ჩემბერლენისთვის კი ეს ჩვეული საქმე იყო. თუმცა, იგი სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა კი არა, სულ სხვა რამემ უფრო აქცია დიადად.

1959 წელს, როცა 21 წლის 216-სანტიმეტრიანმა გიგანტმა უილტმა ნბა-ს კარი შეაღო, მას (სწორედ რომ მას) დახვდა ბილ რასელი, რომელსაც ნბა-ში ჩატარებული სამი სეზონი, „ბოსტონ სელტიქსის“ რიგებში ორგზის ჩემპიონობა და უძვირფასესის წოდება ჰქონდა ზურგსუკან. სწორედ ბილ რასელთან მეტოქეობამ მოუტანა უილტ ჩემბერლენს ასეთი დიდება. ამ ორი ტიტანის შერკინებამ ამერიკაში კალათბურთისადმი ინტერესი გააღვივა. ჩემბერლენ — რასელის დუელი, რომელიც ათ წელიწადს გრძელდებოდა, ერთ-ერთი უდიდესი დაპირისპირება გახლავთ მსოფლიო სპორტში. მას გარკვეულწილად შეიძლება შევადაროთ 80-იანი წლების მეჯიქ ჯონსონისა და ლარი ბერდის პაექრობა.

რითი იყო ბილ რასელი ცნობილი? იგი ათი სანტიმეტრით დაბალი და ათი კილოგრამით მსუბუქი იყო თავის ლეგენდარულ მეტოქეზე. ვერც ბურთს ათავსებდა კალათში ჩემბიზე მარჯვედ, მას საუკეთესო სეზონშიც კი არ გაუკეთებია მატჩში საშუალოდ 20 ქულაზე მეტი. მაგრამ იგი ხუთჯერ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, მათ შორის ოთხჯერ ჩემბერლენის, ამ „ქულების კეთების მანქანად“ წოდებული კაცის ეპოქაში, მისი გუნდი „ბოსტონ სელტიქსი“ კი — 11-ჯერ ჩემპიონი. ლამის მარადიული ჩემპიონობა და უძვირფასესის წოდებები ციდან არ მოფრენილა, რასელმა ისინი სავსებით დამსახურებულად მიიღო. მაშ, რითი გამოირჩეოდა ეს კაცი აგრერიგად? რასელი გახლდათ ყველა დროის უძლიერესი დაცვითი მოთამაშე. იგი საკუთარ ფართან მყოფი აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას, იგებდა მატჩებს, ჩემპიონატებს, და, რაც მთავარია, მხოლოდ ის თუ ახერხებდა ჩემბერლენის შტურმის ასე თუ ისე შეჩერებას, ის ერთადერთი. მათი ბრძოლები ახლაც რჩება ნბა-ს კლასიკად.

ეს ყველაფერი 1959 წლის 7 ნოემბერს დაიწყო, როცა ჩემბერლენი და რასელი პირველად წარდგნენ ერთმანეთის წინაშე. „შეუჩერებელი თავდამსხმელი ძალა, უდრეკი დაცვითი საგნის წინააღმდეგ“ — ასე უწოდა მედიამ მათ შეხვედრას. ამ დროისთვის რასელი უკვე სამი წლის პროფესიონალი იყო, ჩემბერლენს კი სულ სამი თამაში ჩაეტარებინა თავის სადებიუტო სეზონში და მის გუნდს, „ფილადელფია ვორიორზს“, რა თქმა უნდა, სამივეში ემარჯვა გიგანტი ახალბედას წყალობით, რომელსაც ვერავინ ვერ აკავებდა. ჩვეული აჟიოტაჟი შეიმჩნეოდა ბოსტონში. „ბოსტონ გარდენის“ ბილეთები კარგა ხნით ადრე გაყიდულიყო. თამაშის ნახვის მსურველები ყველაზე ბოლო, ქანდარის ბილეთებში 15 დოლარს იხდიდნენ, რაც იმ დროისთვის გვარიანი თანხა იყო.

წვიმიანი დღე, 7 ნოემბერი, რასელმა და ჩემბიმ სხვადასხვანაირად გაატარეს. რასელი თითქმის მთელი დღის განმავლობაში თავის ვაჟს ეთამაშებოდა და ცოლს ეხმარებოდა. ჩემბერლენი, როგორც სჩვეოდა, მეგობრებთან განუწყვეტლივ ხუმრობდა, თუმცა დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა — იგი ცოტას ნერვიულობდა კიდეც. ამას უილტონიც გაიხსენებს შემდეგ: „ცოტას ვნერვიულობდი. ეს ბუნებრივიცაა, მე ხომ ახალბედა ვიყავი და უდიდესი მცველის წინააღმდეგ თამაში პირველად მიწევდა, მერე თან სად, სახელგანთქმულ დარბაზში — „ბოსტონ გარდენში“.

როგორც იქნა, დადგა მატჩის დაწყების დროც და ორი დიდი კაცი თავიანთ თანაგუნდელებთან ერთად 48-წუთიან ბრძოლაში ჩაება. რასელი საკუთარ ფართან გაიბოტა და კედელივით აღუდგა წინ ჩემბერლენის მოძალებას. ფილადელფიის პირველი შტურმი უკუგდებული იქნა. მოხდა პატარა საოცრება — ჩემბერლენის სროლას მის სპორტულ კარიერაში პირველად დააფარეს. კვლავ და კვლავ ცდილობდა უილტონი „ბოსტონის“ კალათის ჩვეულად აწიოკებას, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდა, უფრო და უფრო ცოტა ეფექტი მოჰქონდა მის კაუჭებს და ნახევარკაუჭებს. სახის წინ აწვდენილი რასელის მოლივლივე ხელები ჩემბერლენს თითქმის არაფრის გაკეთების საშუალებას არ აძლევდა, რასელის თანაგუნდელები კი თავიანთ საქმეს მშვენივრად უვლიდნენ და მატჩის პირველი ნახევარი ბოსტონმა 76:61 მოიგო. მეორე ნახევარში ჩემბიმ ოდნავ გამოასწორა წახდენილი საქმე და ქულებიც აგროვა, მაგრამ ის და მისი „ფილადელფია“ ფსიქოლოგიურად უკვე დამარცხებულები იყვნენ. ამიტომაც ბოსტონმა მატჩი 115:106 რომ მოიგო, არავის გაკვირვებია. სტატისტიკურად ჩემბერლენმა გაუსწრო რასელს, 30 ქულას მოუყარა თავი, რვით მეტს, ვიდრე ბოსტონელმა, მოხსნებში კი პირადი დუელი 28:35 დათმო.

ჩემბერლენმა ჭკუა ისწავლა და როდესაც ისინი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, მან უკვე აშკარად აჯობა მეტოქეს ქულებში (შესაბამისად 45:15) და მოხსნებში (35:13) და მთლიანობაში „ფილადელფიამ“ 123:113 სძლია „ბოსტონს“.

ამ ორი გიგანტის დუელი მთელი სამოციან წლები გრძელდებოდა და ამ ათი წლის განმავლობაში ორი ლეგენდა 142-ჯერ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჩემბერლენს, რა თქმა უნდა, უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა — საშუალოდ 28,7 ქულა 14,5-ის წინააღმდეგ და 28,7 მოხსნა რასელის 23,7-ის საპირისპიროდ, მაგრამ „ბოსტონს“ უფრო ხშირად რჩებოდა გამარჯვება. 142 თამაშიდან რასელის გუნდმა 85-ჯერ მოიგო და 57-ჯერ წაგო.

ასე იყო 60-იან წლებში... უილტონ ჩემბერლენი, ყველა დროის უდიდესი ცენტრი და იქნებ კალათბურთელიც, მოედანზე სასწაულებს ახდენდა და რეკორდს რეკორდზე ამყარებდა, „ბოსტონ სელტიქსი“ კი ბილ რასელის მეთაურობით ჩემპიონატს ჩემპიონატზე იგებდა, მხოლოდ ერთხელ, 1967 წელს შეძლო უკვე დაბრძენებულმა ჩემბერლენმა, „ბოსტონისთვის“ ჩემპიონობა წაერთმია და თავისი მუდმივი მეტოქე აშკარად დაეჯაბნა.

უილტ ჩემბერლენი და ბილ რასელი ერთად ქმნიდნენ ისტორიას, ისინი თვითონ იყვნენ ისტორია. სამწუხაროდ, დღეს უილტ ჩემბერლენი აღარ არის.

ირაკლი ფირაყვილი



ბილ რასელი (№6) და უილტ ჩემბერლენი (№13): კლასიკად ქცეული დაპირისპირება

საგამოფენო მატჩი

სტეფანიამ ალიარება ვერ აღნიშნა

პორტლენდი 108:100 სიეტლი

პორტლენდი: სტუდემაიერი (11), სმიტი (18), პიპენი (6), უოლესი (11), საბონისი (11); ონილი (9), ენტონი (13), შრემპფი (11), ველსი (16), ჰარვი (2), გ. გრანტი, ბერგერსენი, ბაკლი

სიეტლი: პეიტონი (15), დევისი (6), ბორელი (8), ბეიკერი (12), ჰ. გრანტი (13); ბერი (11), ვილიამსი (14), ფოსტერი (4), მაკკოი (9), სტეფანია, ვინსონი (8), პერსონი, შეფლერი

იმ საღამოს, როცა ვლადიმერ სტეფანია თბილისში საქართველოს საუკუნის სპორტსმენთა შორის დაასახელეს და დაუსწრებლად პატივიც მიაგეს, სიეტლში, „კიარენაში“, იქაური „სუპერსონიქსი“ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ ხვდებოდა. ცხადია, სტეფანიაც „სიეტლის“ რიგებში იყო და შეეძლო საუკუნოვანი ქართული ალიარება კარგი თამაშით აღენიშნა, მაგრამ...

სტეფანიას, ალბათ, არასდროს უთამაშია ასე ცუდად და, რაც მთავარია, უსარგებლოდ. მის სტატისტიკას გადავხედოთ: შვიდ წუთში ორ-ორი აცილებული ორქულიანი და საჯარიმო, ერთი პერსონალური ჯარიმა, ორჯერ ბურთის დაკარგვა, ერთადერთი მოხსნა. მიუხედავად ამისა, საგანგაშო არაფერია: ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ზემარათონულ სეზონში (და სეზონისწინა პერიოდში) ჩავარდნების გარეშე თამაში თითქმის შეუძლებელია და ქართველი კალათბურთელი რაღა გამონაკლისი იქნება.

„სიეტლის“ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი კვლავ აგრძელებს ექსპერიმენტებს. ამჯერად სასტარტო ხუთეულში კუბიდან ლტოლვილი ლასარო ბორელი დააყენა, რომელსაც სულაც არ უთამაშია ურიგოდ. სამაგიეროდ, საერთოდ არ ათამაშა აბსოლუტურად ჯანმრთელი რაშარდ ლუისი, რუბენ პატერსონი და „იუტასთან“ წინა მატჩის გმირი ვერნონ მაქსველი.

„პორტლენდის“ რიგებში ითამაშა გერმანელებმა დეტლეფ შრემპმა, რომელიც ექვსი წელიწადი იცავდა „სიეტლ სუპერსონიქსის“ ღირსებას. მეორე მეოთხედში მოედანზე შესულ შრემპფს სიეტლელი მაყურებელი ოვაციით შეხვდა. შრემპფმა არად ჩააგდო ეს და ყოფილ გუნდს 11 ქულა ჩაუგდო. სხვათა შორის, ამდენივეს გაკეთება კიდევ სამმა პორტლენდელმა მოახერხა.

„ბლეიზერსი“ თავიდანვე დაწინაურდა (ტაიმი 65:49 მოიგო) და მესამე მეოთხედში მისმა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია. „სიეტლმა“ ფარხმალი არ დაყარა და მეოთხე მეოთხედის შუაწელისთვის მდგომარეობა გამოასწორა.

„პორტლენდს“ ბონზი ველსი რომ არ ჰყოლოდა, იქნებ დამარცხებულიყო კიდეც. ამ კაცმა ორი გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო, რამაც მისი გუნდის გამარჯვება განაპირობა. თავიდან, როცა „ბლეიზერსი“ 88:86 იგებდა, ველსმა ბურთი მოპარა სიეტლელ ვინ ბეიკერს, მთელი მოედანი გადაირბინა და ჩატენა. „სიეტლს“ ცოტა ხანი დასჭირდა გონზე მოსასვლელად და დამთავრებამდე 4,20 წუთით ადრე ანგარიში ორ ქულამდე შეამცირა — 97:95. სწორედ ამ დროს ველსმა შეტევაში მოხსნა ბურთი და ჩააგდო, რითაც სათავე დაუდო მონაკვეთს, რომელიც „პორტლენდმა“ 11:2 მოიგო.

მომდევნო საგამოფენო მატჩს „სიეტლ სუპერსონიქსი“ ხვალ გამართავს, დენვერის „პეპსი ცენტრში“ იქაურ „ნაგითსს“ შეხვდება.

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 20 ოქტომბერი

A ჯგუფი

ბენეტონი 69:66 პაოკ

ცრვენა ზვეზდა 86:91 ბარსელონა

ძირითადი დრო 77:77

C ჯგუფი

პივოვარნა 63:56 ოლიმპიაკოსი

B ჯგუფი

ალბა 80:64 ჟალგირისი

D ჯგუფი

ეფესი 69:65 პო ორტეზი

ბუდუჩნოსტი 75:83 ფორტიტუდო

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 19-20 ოქტომბერი

A ჯგუფი

ავტოდორი (რუსეთი) — აეკ (საბერძნეთი) 60:78, ჩერნო მორე (ბულგარეთი) — შარლერუა (ბელგია) 82:80, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ჰონკა (ფინეთი) 83:69

სატურნირო მდგომარეობა: აეკ 10 ქულა, ჩერნო მორე 8, შარლერუა 8, ჰაპოელი 8, ავტოდორი 6, ჰონკა 5

B ჯგუფი

არსენალი (რუსეთი) — პამესა (ესპანეთი) 68:85, დელტა (ესტონეთი) — სავინსკი (სლოვენია) 84:71, აქილეასი (კვიპროსი) — ზადარი (ხორვატია) 68:85

სატურნირო მდგომარეობა: პამესა 10 ქულა, ზადარი 9, არსენალი 7, სავინსკი 7, დელტა 6, აქილეასი 6

C ჯგუფი

რიკო (ჰოლანდია) — ალბაკომპი (უნგრეთი) 61:53, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — შალონ-სარნი (საფრანგეთი) 87:58, აპოელი (კვიპროსი) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 40:76

სატურნირო მდგომარეობა: ლიეტუვოს რიტასი 9 ქულა, ალბაკომპი 8, შალონსარნი 8, მაკაბი 8, რიკო 7, აპოელი 5

D ჯგუფი

ბოსნა (ბოსნია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 43:66, პეკაესი (პოლონეთი) — ტაუ (ესპანეთი) 81:77, რაბოტნიჩკი (პორტუგალია) — ილიაბუმი (პორტუგალია) 68:76

სატურნირო მდგომარეობა: პეკაესი 9 ქულა, პარი სენ ჟერმენი 9, ტაუ 9, ბოსნა 7, ილიაბუმი 6, რაბოტნიჩკი 5

E ჯგუფი

ირაკლისი (საბერძნეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 79:71, სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ტელეკომი (გერმანია) 68:77, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — პორტუ (პორტუგალია) 83:76

სატურნირო მდგომარეობა: ირაკლისი 9 ქულა, პარტიზანი 9, პორტუ 8, სლოვაკოფარმა 8, ტელეკომი 6, სენტ პიოლტენი 5

F ჯგუფი

ვენტსპილსი (ლატვია) — ნორჩიოპინგი (შვედეთი) 75:80, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — კინდერი (იტალია) 61:77, მატავი (უნგრეთი) — ცეპტერი (პოლონეთი) 65:76

სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 10 ქულა, ცეპტერი 9, ნორჩიოპინგი 8, ვენტსპილსი 6, მატავი 6, ფენერბაჰჩე 6

G ჯგუფი

სპლიტი (ხორვატია) — ადეკო (იტალია) 77:66, ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — ოკაპი (ბელგია) 102:79, პლანია (შვედეთი) — დარუშაფაკა (თურქეთი) 71:92

სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 10 ქულა, სპლიტი 9, ადეკო 8, პლანია 7, ლონდონ თაუერზი 6, ოკაპი 5

H ჯგუფი

რადნიჩკი (იუგოსლავია) — საკალაი (ლიტვა) 80:77, ტოპო (ფინეთი) — ტატამი (გერმანია) 62:100, მლეკარნა (ჩეხეთი) — კრკა (სლოვენია) 87:84

სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 9 ქულა, რადნიჩკი 8, ტატამი 8, კრკა 7, მლეკარნა 7, ტოპო 6

REUTERS სპლიტიდან

სპლიტი — ადეკო 77:66. სპლიტელი ჟივკო ბადზიმი (№15) ნეილონ ლის (№11) წინ აღუდგა

სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

☐ ალესანდრო აბიო	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ალბერტო ანგულო	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ მიროსლავ ბერიჩი	იუგოსლავია	უგუნდოდ
☐ ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ დავიდე ბონორა	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ პრედრაგ დანილოვიჩი	იუგოსლავია	კინდერი (იტალია)
☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი	იუგოსლავია	რეალი (ესპანეთი)
☐ გინტარას ეინიკისი	ლიტვა	ცსკა (რუსეთი)
☐ ნიკოს ეკონომუ	საბერძნეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰარუნ ერდენაი	თურქეთი	ულქერი (თურქეთი)
☐ ვინჩენცო ესპოზიტო	იტალია	იმოლა (იტალია)
☐ ლორან ფუარე	საფრანგეთი	ტაუ (ესპანეთი)
☐ გრეგორ ფუჩკა	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ტორბიორნ გერკე	შვედეთი	პლანია (შვედეთი)
☐ გორდან გირიჩეკი	ხორვატია	ციბონა (ხორვატია)
☐ ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ოდედ კატაში	ისრაელი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ მიხაელ კოხი	გერმანია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ დენის მარკონატო	იტალია	ბენეტონი (იტალია)
☐ ანდრეა მენეგინი	იტალია	ვარეზე (იტალია)
☐ მარკო მილიჩი	სლოვენია	ოლიმპია (სლოვენია)
☐ ველკო მრშიჩი	ხორვატია	უნიკახა (ესპანეთი)
☐ დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	ეფესი (თურქეთი)
☐ მარტინ მიუურსეპი	ესტონეთი	აეკ (საბერძნეთი)
☐ კარლტონ მაიერსი	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ პეტარ ნაუმოსკი	მაკედონია	უგუნდოდ
☐ ხუან კარლოს ნავარო	ესპანეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ საშა ობრადოვიჩი	იუგოსლავია	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
☐ პაულუ პინტუ	პორტუგალია	პორტუ (პორტუგალია)
☐ დინო რაჯა	ხორვატია	ზადარი (ხორვატია)
☐ ჟელკო რებრაჩა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ეფტიმიოს რენციასი	საბერძნეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰენრიკ როდლი	გერმანია	ალბა (გერმანია)
☐ დორონ შეფერი	ისრაელი	მაკაბი (ისრაელი)
☐ მატიაჟ სმოდიში	სლოვენია	კრკა (სლოვენია)
☐ მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ საულიუს შტომბერგასი	ლიტვა	კინდერი (იტალია)
☐ ერიკ სტრიულენსი	ბელგია	რეალი (ესპანეთი)
☐ დრაგან ტარლაჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ მილან ტომიჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ დომინიკ ტომჩიკი	პოლონეთი	პეკაესი (პოლონეთი)
☐ ალექსის ზახარიუ	კვიპროსი	აპოელი (კვიპროსი)
☐ ირჟი ზიდეკი	ჩეხეთი	ჟალგირისი (ლიტვა)
☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი	ლიტვა	ჟალგირისი (ლიტვა)

სიაში არმოხვედრილი ევროპელები	არაევროპელები

სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:



REUTERS სიდნეიდან

ალტერნატივის ხალხი

ავსტრალიაში, ოქროს ნაპირზე კარტის რბოლა და ერთი ამბავი იყო. როგორც კარტია ფორმულის ალტერნატივა, ასევე ლიგის რაგბი, კაცურ რაგბისა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერთად შეყრილან ინგლისელი მრბოლ ჩემპიონი მარკ ბლანდელი და ინგლისისა და ავსტრალიის სალიგო კაპიტნები ენდი ფარელი (მარცხნივ) და ბრედ ფიტლერი (მარჯვნივ). რბოლა კი სქოთ დარიო ფრანკიტის მოუგია.

საბოს სახელობისა

განთქმულ რუმინელ მორბენალ ქალს გაბრიელა საბოს, სახელი კარგახანია გავარდნილი აქვს. სირბილით მილიონები უშოვნია, წლის მსოლფიო მძლეოსანიც შექნილა, ერთი თვის წინათ ოჯახიც შეუქმნია და აგერ ახლა თავისი სახელობის ბავშვთა გარბენაც დაუწესებია.

ბუქარესტის ფართო გამზირზე ორიათას მოზარდს მოუყრია თავი და გაბრიელაც მათ ესალმება.

REUTERS ბუქარესტიდან

ინგლისი

I დივიზიონი. XIII ტური

ბლექბერნი 1:1 კრისტალ პელასი

II დივიზიონი. XIII ტური

რედინგი 2:0 ბერი

კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ე×b1 მფ×b1 49. მფ×g6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 b4 55. ლ×b4 ლf3+ 56. მფg7 d5. 57. ლb4+ მფb1 58. g6 ლe4 59. ლg1+ მფb2 60. ლf2+ მფc1 61. მფf6



REUTERS დეტროიტიდან

ემზადებიან

სახტუნელა მოკრივეთა განუყრელი თანამგზავრია, მის გარეშე საკრივო ვარჯიში შეუძლებელია. მაიკ ტაისონიც ერთგულად მუშაობს ამ უწყინარი საგნით. ახლოა რკინის მაიკის მორიგი დაბრუნება — ამ შაბათს ტაისონი ათრაუნდა ბრძოლაში შეერკინება ორლინ ნორისს და იმედოვნებს, რომ ნოკაუტით დასცემს. ერთგული „ემჯიემ გრანდ კაზინოს" დარბაზი კი მოთმინებით ელის თავის უძლებ შვილს.

ტაისონის ბრძოლამდე ერთი დღით ადრე კი, ამერიკაში ფეხმოკიდებული გიუმაჟი ბრიტი პრინს ნასიმ ჰამედი დეტროიტის „ჯო ლუის არენაზე" შეერკინება მექსიკელ სესარ სოტოს. ნასიმი კარგა ხანია დეტროიტშია და იქ უკვე შინაურ კაცად თვლიან. ნახეთ, როგორ ლაღობს მასთან შეხვედრით ამ ქალაქის მერი დენის არჩერი...



REUTERS ლას ვეგასიდან

REUTERS პარიზიდან

პარიზული გარბენი

მართალია, ამას მარათონს ვერ დაარქმევ, მაგრამ ერთი მადლიანი პარიზული გარბენი კია. ათასობით კაცს მოუყრია თავი ეიფელის კოშკის ახლო და ლაღ სამოყვარულო შეჯიბრში შეურგავს თავი. გამარჯვებული ის გამოვა, ვინც პირველი გაირბენს ოც კილომეტრს ლამაზ-ქალაქის ქუჩებში.

არენა ყველასთვის

ლოს ანჯელესის დაუნთაუნში გასულ შაბათს გაიხსნა ახალი სპორტული არენა „სთეფლზ სენთრი". ამიერიდან კალათბურთისა და ჰოკეის იქაური გულშემატკივრები სწორედ ამ მშვენიერ და ჯანსაღ ალაგას მოიყრიან თავს. „სთეფლზის" ტევადობა ოც ათასი ადგილით განისაზღვრება, მასზე სათამაშოდ კი მზად არიან ენბიეის „ლეიკერსი" და „კლიპერსი" და ენეიჩელის „კინგზი".



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli